

ISSN 1987-6890

ეკონომიკისა და
სტატისტიკის ეროვნული
სერვისების ცენტრი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
International Scientific-Analytical Journal

5

2 0 1 5

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

დეკემბერი **5** 2015

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:

ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე.

საქ. მეც. პროფესორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლევო ჩიქავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, ოლეგ ანათიანი, გივი ბელიანაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერუაშვილი, ვახტანგ ბურჯული, რევაზ გველეხიანი, რევაზ გოგონია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელიანი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მენსია, ელგუჯა მემვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, შუანგი სამაღაშვილი, როლანდ საჩხივანი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარბიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:

ნანუა არევაძე, თამილა არნანი-კეკელიძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი ბერბაია, მირაზ ბეგუაშვილი, შალვა გობიაშვილი, ლინა ღათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანტონ კურატაშვილი, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხაღუტი, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელვარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანაშვილი (ლიტვა), დავით კურატაშვილი (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტნიკოვი (აშშ), ბაღინა სავინა (უკრაინა), სლავომირ პარტიციპი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).

თამარ ღაღიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

December **1** 2015

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Vladimer Papava, Avtandil Silagadze

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava,

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:

Nanuli Arevadze, Tamila Arnanian-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMBERS:

Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Galina Savina (Ukraine), Dmitri Sorokin (Russia).

Tamar Dadiani (executive secretary)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

იზა ნათელაური – საგადასახდელი ბალანსები და ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური პრობლემები საქართველოში (1994-2012 წწ.) 5

დავით ასლანიშვილი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ადგილი და მნიშვნელობა ევროკავშირის ბაზარზე: ბოლო ტენდენციები და დისკუსიები 12

ბიზნესი

ირინე მამალაძე – მცირე ფირმების საგადასახადო სტიმულირება 15

ნინო ლომიძე – საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა სრულყოფის საკითხები დეველოპერულ ბიზნესში 20

საქართველოს ეკონომიკა

ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი – უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში 26

სოფლის მეურნეობა

თენგიზ ქავთარაძე – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის შესახებ 34

თინა ჩხეიძე – ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხები 40

მაკროეკონომიკა

მარინე ცუცქერიძე – ეკონომიკური მახასიათებლების პროგნოზირების ძირითადი ასპექტები 45

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

ლევან სილაგაძე – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისის ასპექტები 53

თეიმურაზ გოგონია – ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები 58

ქრისტინე ომაძე – საინვესტიციო ფონდების საქმიანობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება 66

ქეთევან დამბაშიძე – “ტექნოლოგიური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები 70

დავით ქადაგიძე – ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში 79

ზვიად ზედგენიძე – გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და შედეგები 86

თამილა სირბილაძე – სოციალური დაცვის აქტუალური საკითხები საქართველოში 61

თელმა გაწერელია – ამერიკის ჯანდაცვის სისტემის თავისებურებანი: ამერიკაში პაციენტთა ჯანმრთელობისა და უფლებათა დაცვის აქტი (ობამაქეარი) 97

იუბილე 105

ხსოვნა 110

ინფორმაცია 113

C O N T E N T S

INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS

| | |
|---|----|
| <i>Iza Natealauri</i> – Balance of Payment and Actual Problems of Foreign Economic Relations in Georgia (1994-2012) | 5 |
| <i>David Aslanishvili</i> – Place and importance of the government securities market in the European Union: recent trends and discussions | 12 |

BUSINESS

| | |
|--|----|
| <i>Irine Mamaladze</i> – Tax Incentives of small firms | 15 |
| <i>Nino Lomidze</i> – Improvement Issues for Activity Ratios in Real Estate Development Business | 20 |

ECONOMY OF GEORGIA

| | |
|--|----|
| <i>Nunu Kistauri, Medea Melashvili</i> – The Role of Foreign Investments in the Development of Country Economy | 26 |
|--|----|

AGRICULTURAL ECONOMY

| | |
|---|----|
| <i>Tengiz Kavtaradze</i> – About of Procurements Agricultural Products | 34 |
| <i>Tina Chkheidze</i> – On the Problem of Use and Protection of Natural Resources | 40 |

MACROECONOMICS

| | |
|--|----|
| <i>Marine Tsitskishvili</i> – The Main Aspects of Forecasting of the Economic Indicators | 45 |
|--|----|

SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

| | |
|---|-----|
| <i>Levan Silagadze</i> – Aspects of Direct Foreign Investments Genesis | 53 |
| <i>Teimuraz Gogokhia</i> – Incentives and Barriers of technological and marketing innovations | 58 |
| <i>Kristine Omadze</i> – The Activities of Investment Funds in Georgia and international experience | 66 |
| <i>Ketevan Ghambashidze</i> – Technological lock-in and Overcoming Difficulties | 70 |
| <i>David Kadagidze</i> – Electro Power Tariffs in Georgia and Neighboring Countries | 79 |
| <i>Zviad Zedgenidze</i> – Global financial crisis: Reason and Results | 86 |
| <i>Tamila Sirbiladze</i> – Actual Issues of Social Protection in Georgia | 61 |
| <i>Teona Gatserelia</i> – Specifics of The United States Health Care System: Patient Protection and Affordable Care Act (ObamaCare) | 97 |
| | 105 |

CONGRATULATION

MEMORY

INFORMATION

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

იზა ნათელაური
ეკონომიკის დოქტორი

საგადასახდელო ბალანსები და ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალური პრობლემები საქართველოში (1994-2012წწ.)

საგადასახდელო ბალანსი ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტარია დროის მოცემულ პერიოდში. მისი მეშვეობით შესაძლებელია ეროვნული სახელმწიფოსათვის დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრა, ეკონომიკური დამოკიდებულების დონის დადგენა და განვითარების პერსპექტივის პროგნოზირება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ-ქვეყნებში – მსოფლიოს 184 ქვეყანაში, საგადასახდელო ბალანსები მუშავდება ერთიანი მეთოდით, დაწყებული 1994 წლიდან. ეს კი, პარტნიორი ქვეყნებისთვის ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითი დახასიათების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ ასპექტებზე.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსების ცხრილების საანალიზოდ შევარჩიეთ დროის ორი პერიოდი: 1994-2002 წწ. და 2003-2012 წწ. ამ პერიოდებისთვის გავანალიზეთ და ერთმანეთს შევადარეთ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები და სარეზერვო აქტივების ცვლილებები.

დაწყებული 1994 წლიდან, 2012 წლის ჩათვლით, საქართველოში მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები ყოველწლიური დეფიციტით აღინიშნა. დეფიციტი 1997 წლამდე მზარდი იყო, შემდეგ კლებადი. ციფრების ენაზე, 1994 წელს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტმა საქართველოში შეადგინა 0,276 მლრდ აშშ დოლარი, 1997 წელს – 0,4991 მლრდ აშშ დოლარი, პერიოდის ბოლოს, – 2002 წელს – 0,209 მლრდ აშშ დოლარი. მთლიანად პერიოდისთვის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი ტოლი იყო – 2,8111 მლრდ აშშ დოლარის; საშუალოდ წლიურად ეს მაჩვენებელი გაუტოლდა – 0,3134 მლრდ აშშ დოლარს. 2003 წელს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტმა საქართველოში შეადგინა 0,390889 მლრდ აშშ დოლარი, პერიოდის ბოლოს, 2012 წელს – 1,9160666 მლრდ აშშ დოლარი, საშუალოდ წლიურად ეს მაჩვენებელი გაუტოლდა 1,34944647 მლრდ აშშ დოლარს, მთლიანად პერიოდისთვის კი – 13,4944647 მლრდ აშშ დოლარს; როგორც ვხედავთ, მეორე პერიოდში მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის საერთო მოცულობა გაიზარდა 10,6833647 მლრდ აშშ დოლარით, ანუ 4,8-ჯერ; საშუალო წლიური მაჩვენებელი შესაბამისად – 1,03604647 მლრდ აშშ დოლარით, ანუ 4,31-ჯერ [5,10]. საანალიზო პერიოდებში მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დეფიციტის ესოდენ დიდი მაჩვენებლები და, ასევე, დიდი განსხვავება მათ შორის პერიოდების მიხედვით დაკავშირებული იყო საქონლით საგარეო ვაჭრობასთან.

საქონლით საგარეო ვაჭრობა კვლევის დამოუკიდებელი სფეროა. მისი დეტალურად განხილვა ამჯერად ნაშრომის მიზანს არ შეადგენს. ამიტომ, ჩვენ მიერ საგარეო ვაჭრობის პრობლემაზე უკვე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ვიტყვით მხოლოდ შემდეგს:

ა) საქართველოში საგარეო ვაჭრობა, როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად, არის ეკონომიკური განვითარების შედეგიც და სტაბილურობის დამოუკიდებელი ფაქტორიც. ჩვენი ქვეყნისთვის, ისე, როგორც ნებისმიერი ქვეყნისთვის, გადაუჭარბებლად დიდია ისეთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის როლი, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო ვაჭრობის რაოდენობრივ

და სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე, პარტნიორთა წრის დივერსიფიკაციაზე და წმინდა ექსპორტის უნივერსალურობის (დამაბალანსებელი) ფუნქციის გააქტიურებაზე [1,2,3,10];

ბ) საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობაში ექსპორტის წილის ცვლილების ტენდენცია კლებადია, იმპორტის კი მზარდი. კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი მანევრებლები საჭიროებს ოპტიმიზაციას. ოპტიმიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ ექსპორტის გაფართოება, მისი რაოდენობრივი ზრდა და სტრუქტურული გაუმჯობესება. საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაციის საწყის ეტაპზე აუცილებელია ექსპორტის დივერსიფიკაცია. ექსპორტის დივერსიფიკაცია სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. საქართველოს რეალობაში, ვფიქრობთ, გაამართლებს ე.წ. საქმიანი ტურიზმი, კერძოდ მხედველობაში გვაქვს ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი და სხვ. ამ მიმართულების უპირატესობა მდგომარეობს დანახარჯების სიმცირეში და შედეგების მოკლევადიან პერიოდში მიღწევადობაში [2,4]. ექსპორტის გაფართოება და ოპტიმიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ინტეგრაციის ბედი საერთაშორისო თანამეგობრობაში, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პრობლემების მოგვარება ქვეყნის შიგნით;

გ) ექსპორტის გარდა სტრუქტურული ოპტიმიზაციის აუცილებლობა ეხება იმპორტსაც, რადგან ექსპორტის დივერსიფიკაცია ქვეყანას საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს წარმოების განვითარების სტრატეგია. ამის შემდგომ სტიმულირდება ინვესტიციებზე მოთხოვნა. ინვესტიციებზე მოთხოვნა, თავის მხრივ, აუცილებლად შეცვლის იმპორტის სტრუქტურას. ერთჯერადი მოხმარების საქონლის ნაცვლად განდგება მოთხოვნა წარმოების განვითარების ხელშემწყობ საქონელზე. ექსპორტი-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის გარდა, ოპტიმიზაციის პრობლემა ეხება საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიასა და პარტნიორთა წრესაც. ამჟამად საქართველო თანამშრომლობს 168-ზე მეტ ქვეყანასთან [10]. ჩვენი ქვეყნის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: აზერბაიჯანი, აშშ, ჩინეთი, იაპონია, ყაზახეთი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა. თურქმენეთთან და რუსეთთან საქართველოს კავშირები კლებადი ტენდენციისაა, დანარჩენ ქვეყნებთან ზრდადი. ჩვენი ქვეყნის კავშირები მუდმივად ფართოვდება აშშ-თან, შვეიცარიასა და კანადასთან. შედარებით გვიან გააქტიურდა საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა ავღანეთთან, არაბთა გაერთიანებულ სამეფოსთან, დომინიკელთა რესპუბლიკასთან, ინდოეთთან, ისრაელთან, პაკისტანთან, კატარსა და ჩინეთთან;

დ) ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. პერსპექტივაში საქართველოს, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი პარტნიორთა წრე და საგარეო სავაჭრო კავშირები სჭირდება რაოდენობრივადაც და სტრუქტურულადაც;

ე) ექსპორტთან და იმპორტთან ერთად, საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივით და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა, საქონელით ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო.

მომსახურებით საგარეო ვაჭრობა აღირიცხება მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის შემადგენლობაში. საქართველოში იგი ძირითადად წარმოდგენილია სატრანსპორტო მომსახურებით, ტურიზმით, საფინანსო და საკომუნიკაციო მომსახურებით. საერთაშორისო მასშტაბით მომსახურების ამ ფორმებს ემატება სამშენებლო მომსახურება, დაზღვევა, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება (მ.შ. როიალტი – გადასახადი პატენტებით, საავტორო უფლებებით, სასაქონლო ნიშნებით ლიცენზიებით და ნოუ-ჰაუთი სარგებლობისათვის), პირადი მომსახურება და სხვ. 1994-2002 წწ. პერიოდისათვის საქართველოში მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსი დეფიციტური იყო; დეფიციტმა შეადგინა 0,079 მლრდ აშშ დოლარი; საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ჯამობრივი მაჩვენებელი გაიზარდა 4,7235 მლრდ აშშ დოლარამდე. 2003-2012 წწ. პერიოდისათვის მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსი პროფიციტური გახდა; პროფიციტმა შეადგინა +3,314 მლრდ აშშ დოლარი; საქონელითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ჯამობრივი მაჩვენებელი შემცირდა 19,855409 მლრდ აშშ დოლარამდე. მეორე პერიოდში პირველთან შედარებით საქონლით საგარეო ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა თითქმის 5-ჯერ, საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობისა კი 4,2-ჯერ. ტენდენციურად, პირველ პერიოდში მომსახურებით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები კრედიტის ნაწილშიც და დებეტის ნაწილშიც იცვლებოდა არაკანონზომიერად, მეორე პერიოდში მათ ცვლილებაში კანონზომიერება იკვეთება; ისინი წლიდან წლამდე იზრდება, ამასთან, დებეტის ნაწილში უფრო სწრაფად, ვიდრე კრედიტის ნაწილში.

საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსის გარდა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში აერთიანებს შემოსავლებისა და ტრანსფერტების ბალანსებსაც. შემოსავლების ბალანსში აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების სახელფასო და საინვესტიციო შემოსავლები; სახელფასო შემოსავლებში აღირიცხება უცხო ქვეყანაში ერთ წელზე ნაკლები დროით, სეზონურად და დროებით მომუშავეთა შემოსავლები, აგრეთვე იმ პირების შემოსავლები, რომლებიც ცხოვრობენ მოსაზღვრე ქვეყნებში და რომლებსაც არ უხდებათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, გადადიან სამუშაოდ და სამუშაოს დამთავრების შემდეგ უკან ბრუნდებიან; თუ რეზიდენტები უცხო ქვეყანაში იმყოფებიან ერთ წელზე მეტი დროით, მაშინ მათი შემოსავლები აღირიცხება, როგორც მიგრანტების გზავნილები. საინვესტიციო შემოსავლები – შემოსავლები ძირითადად პირდაპირი ინვესტიციებიდან და პორტფელის ინვესტიციებიდან, აერთიანებს რეზიდენტების მიერ უცხო ქვეყანაში მიღებულ დივიდენდებსა და პროცენტებს. ტრანსფერტების ბალანსი აერთიანებს მიმდინარე ტრანსფერტებსა და კაპიტალურ ტრანსფერტებს და აღირიცხება მხოლოდ კრედიტის ნაწილში ან მხოლოდ დებეტის ნაწილში. მიმდინარე ტრანსფერტები ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს ერთი ეკონომიკის მიერ მეორესთვის, ცალმხრივად გაწეულს. მისი ძირითადი შემადგენლებია სამთავრობათაშორისო გრანტები და კერძო პირების საერთაშორისო ფულადი გზავნილები. მიმდინარე ტრანსფერტებში შედის აგრეთვე რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ჩუქებები, მემკვიდრეობა, მზითვეი, აღიმენტები, კერძო პირების მიერ მიცემული თანხები სამეცნიერო, საქველმოქმედო და რელიგიური საზოგადოებებისთვის, ლატარიის ბილეთების გავრცელება და კერძო სექტორის დახმარება სტიქიური უბედურებების დროს [5]. კაპიტალურ ტრანსფერტებში იგულისხმება საკუთრების უფლების გადაცემა ძირითად კაპიტალზე და საგარეო ვალის ანულირება. კაპიტალური ტრანსფერტები, მიმდინარე ტრანსფერტებისაგან განსხვავებით, კაპიტალურ ანგარიშში აღირიცხება. მაგალითად, ერთი ქვეყნის მიერ მეორესთვის სამხედრო ბაზის დატოვება. ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების დატოვება აღირიცხება, როგორც კაპი-

ტალური ტრანსფერტი, ტექნიკისა და იარაღის დატოვება კი როგორც მიმდინარე ტრანსფერტი.

1994-2002 წლებში შემოსავლების ბალანსი საქართველოში პროფიციტური იყო. პროფიციტმა შეადგინა + 0,4923 მლრდ აშშ დოლარი, მთელი პერიოდისთვის ერთობლივად; საშუალო წლიური მანვენებელი გაუტოლდა +0,0547 მლრდ აშშ დოლარს; 2000 წლის ჩათვლით პროფიციტი იზრდებოდა; ცალცალკე კრედიტის და დებეტის ნაწილებში კანონზომიერი ცვლილება არ ფიქსირდება. 2003-2012 წლებში შემოსავლების ბალანსი დეფიციტური გახდა და დეფიციტის საერთო მოცულობამ მთელი პერიოდისთვის შეადგინა 0,6717319 მლრდ აშშ დოლარი, საშუალოდ წლიურად ეს მანვენებელი გაუტოლდა 0,06717319 მლრდ აშშ დოლარს.

ტრანსფერტების ბალანსი ორივე პერიოდში დადებითია (კრედიტებისა და დებეტების სხვაობა). პირველ პერიოდში სხვაობის საერთო მოცულობამ შეადგინა +1,42 მლრდ აშშ დოლარი, მეორე პერიოდში +7,0321762 მლრდ აშშ დოლარი; საშუალოდ წლიურად ეს მანვენებლები იყო, შესაბამისად +0,15778 მლრდ აშშ დოლარი და +0,70321762 მლრდ აშშ დოლარი; მეორე პერიოდში, პირველ პერიოდთან შედარებით, ტრანსფერტების ბალანსების პროფიციტის საერთო მოცულობა გაიზარდა თითქმის 4,95-ჯერ.

ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, 1994-2002 წწ. პერიოდისათვის, საქონლის ექსპორტისა და რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის გაწეული მომსახურების ჯამი ტოლია 17,82%-ის, საქონლის იმპორტისა და არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის გაწეული მომსახურების ჯამი 32,79%-ის, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 50,61 %-ის, საშუალოდ ერთ წელზე გაანგარიშებით. 2003-2012 წწ.-ში რეალური მშპ გაიზარდა 79,7%-ით, საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის დეფიციტი 322%-ით. სტატისტიკა უცხოეთის ქვეყნებზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მეტყველებს; მდგომარეობას ართულებს საქონლის ექსპორტი-იმპორტის არასასურველი სტრუქტურაც. „სიღარიბის“ ექსპორტი და ერთჯერადი მოხმარების საქონლის იმპორტი მაღალი რაოდენობრივი ხვედრითი წილით მშპ-ში ნებისმიერი ქვეყნისთვის, თუნდაც ეკონომიკის რეფორმირების პროცესში, არასასურველია [8,9,10].

საგადასახდლო ბალანსის მეორე ნაწილის – კაპიტალური (კაპიტალური ანგარიში მოიცავს კაპიტალურ ტრანსფერტებს და არაწარმოებული, არასაფინანსო აქტივების – მიწისა და წიაღისეულის, ყიდვა-გაყიდვას) და ფინანსური ანგარიშის (ფინანსური ანგარიშის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციები) მიხედვით, საქართველოში 1994-2002წწ. და 2003-2012 წწ. პერიოდებისათვის მდგომარეობა შემდეგია: 1994-2002 წწ.-ში კაპიტალური და ფინანსური ანგარიშის ბალანსები წლების მიხედვით დადებითია. დადებითი სალდო მიღწეულია ფინანსური ანგარიშის ხარჯზე. საანალიზო პერიოდისათვის, სალდოს ერთობლივი სიდიდე ტოლია +2,8111 მლრდ აშშ დოლარის, საშუალო წლიური მანვენებელი +0,3134 მლრდ აშშ დოლარის; 1994-1999 წწ. ინვესტიციების სალდო იზრდებოდა; მისი ყველაზე დაბალი მანვენებელი დაფიქსირდა 2000 წელს; შემდგომ ისევ ზრდა ფიქსირდება. 2003-2012 წლებში კაპიტალური ანგარიშის ბალანსიც და ფინანსური ანგარიშის ბალანსიც დადებითი და წლიდან წლამდე მზარდია. მთლიანად საანალიზო პერიოდისათვის კაპიტალური და ფინანსური ანგარიშის სალდო ტოლია +12,8514789 მლრდ აშშ დოლარის, საშუალო წლიური მანვენებელი კი +1,28514789 მლრდ აშშ დოლარის. 2003-2012 წწ. პერიოდისთვისაც სალდოს დადებითი მანვენებელი მიღწეულია ფინანსური ანგარიშის ხარჯზე.

საქართველოს საგადასახდლო ბალანსები 1994-2012 წწ.-ში დეფიციტური იყო 1994,1997,1999, 2001, და 2002, 2003, 2007-2010 წწ., დანარჩენ წლებში საგადასახდლო ბალანსები პროფიციტით აღინიშნა; სალდოს მანვენებელი პირველი პერიოდისთვის მთლიანად უარყოფითი იყო; დეფიციტმა შეადგინა 0,52349 მლრდ

აშშ დღი, მეორე პერიოდისათვის მთლიანად საგადასახდელო ბალანსების სადღო დადებითი იყო და უდრიდა +0,2107402 მლრდ აშშ დოლარს.

სტატისტიკური ანალიზი მოწმობს, რომ საქართველოში საგადასახდელო ბალანსების მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები და კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები ერთმანეთს ვერ აბალანსებენ. პირველ პერიოდში გვაქვს დეფიციტი, მეორეში პროფიციტი, რასაც უკავშიდება სარეზერვო აქტივების ცვლილება.

სარეზერვო აქტივები განსაკუთრებული განსჯის საგანია. სარეზერვო აქტივებში, როგორც წესი, მოიაზრება მონეტარული ოქრო, სესხების სპეციალური უფლება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სარეზერვო პოზიცია, სავალუტო აქტივები და სხვა მოთხოვნები. სარეზერვო აქტივები – აქტივები, რომლებიც მაღალლიკვიდურია და რომელსაც განკარგავს ცენტრალური ხელისუფლება, საგადასახდელო ბალანსის დაფინანსების წყაროა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაშინ, როცა უარყოფითი სხვაობა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშსა და კაპიტალურ და ფინანსურ აგარიშებს შორის დიდია და ამ სხვაობას წმინდა შეცდომები და გამოტოვებები ვერ ფარავს.

დასასრულ, საქართველოს საგადასახდელო ბალანსების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უცხოეთის ქვეყნებზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი ძალიან მაღალია. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა მიმდინარე ოპერაციების ანგარიში, კერძოდ, საქონლით სავარყო ვაჭრობის ბალანსი, ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტრუქტურა და გეოგრაფია; სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლების წილი მშპ-ში, მშპ-სა და წმინდა ექსპორტის ზრდის ტემპები, წლებისა და საანალიზო პერიოდების მიხედვით;

საგადასახდელო ბალანსის ოპერაციებიდან, საქართველოს შემთხვევაში, ოპერაციები, რომლებსაც ქვეყანაში შემოაქვთ ვალუტა (ვალუტის შემომტანი ოპერაციები: საქონლის ექსპორტი კონტრაქტის კომერციული პირობით, რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის გაწეული მომსახურება, რეზიდენტების მიერ უცხოეთში მიღებული სახელფასო და საინვესტიციო შემოსავლები, მიგრანტების გზავნილები საქართველოში, მიმდინარე ტრანსფერტები საქართველოს მთავრობისათვის და კერძო პირებისათვის, საქართველოს რეზიდენტებისთვის ძირითად ფონდებზე საკუთრების უფლების გადაცემა უცხოეთში და სავარყო ვალების ანულირება – კაპიტალური ტრანსფერტები, რეზიდენტების მფლობელობაში უცხოეთში არსებული პირდაპირი, პორტფელისა და სხვა ინვესტიციები; ვალუტის შემომტანი ოპერაციები საგადასახდელო ბალანსის ცხრილში ჩაწერილია “კლუს“ ნიშნით) ბევრად ჩამორჩება იმ ოპერაციებს, რომლებიც ვალუტის გადინებასთან არიან დაკავშირებული (ვალუტის გატანას საქართველოდან უკავშირდება ჩამოთვლილის საპირისპირო ოპერაციები);

სარეზერვო ფონდის ცვლილება საქართველოში 1994-2002 წწ. პერიოდისათვის ტოლია +0,078746 მლრდ აშშ დოლარის, 2003-2012 წწ პერიოდისთვის კი – 2,1539818 მლრდ აშშ დოლარის. პირველ პერიოდში ნიშანი „+“ მიათითებს სარეზერვო აქტივების შემცირებაზე, მეორე პერიოდში ნიშანი „-“ მიათითებს სარეზერვო აქტივების გაზრდაზე. პირველ პერიოდში სარეზერვო აქტივებით დაიფარა საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი 0,52349 მლრდ აშშ დოლარის ტოლი თანხით, მეორე პერიოდში კი გაიზარდა სარეზერვო აქტივები 1,4957118 მლრდ აშშ დოლარის ტოლი თანხით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათელაური ი. საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ჟურნ. „ეკონომისტი“, 2015.
2. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა). თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.
3. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საგარეო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებები და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 4, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. ნათელაური ი. ვაზის ჯვარი და ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება: ტრადიციები, პრობლემები, პერსპექტივები. მეშვიდე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2013.
5. საქართველოს საგადასახდელო ბალანსები, <http://www.nbg.gov.ge>
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. საქათველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბილისი, გამომცემლობა „აზრი“, 1996.
7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2000დ2005 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო, თბილისი, 2001.
8. Беридзе Т., Исмаилов Э., Папава В. Центральный кавказ и экономика Грузии. Баку, “Нурлан”, 2004.
9. <http://www.inf.gov.ge>
10. <http://www.geostat.ge>

იზა ნათელაური
ეკონომიკის დოქტორი

**საგადასახდელო ბალანსები და ძველნის საბარეო ეკონომიკური
ურთიერთობების ანტიშალური პრობლემები საქართველოში
(1994-2012)
ანოტაცია**

საქართველოს საგადასახდელო ბალანსების მიხედვით გაანალიზებულია და ერთმანეთთან შედარებულია მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები და სარეზერვო აქტივების ცვლილება დროის ორი პერიოდისთვის, 1994-2002წწ. და 2003-2012წწ. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა საქართველოში მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების მზარდი დეფიციტი, დაკავშირებული საქონლით საგარეო ვაჭრობასთან. ჩვენი ქვეყნისთვის გადაუჭარბებლად დიდია ისეთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის როლი, რომელიც დაფუძნებული იქნება საქონლით საგარეო ვაჭრობის რაოდენობრივ და სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე, პარტნიორთა წრის დივერსიფიკაციაზე და წმინდა ექსპორტის დამაბალანსებელი ფუნქციის გააქტიურებაზე.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსების სტატისტიკური ანალიზი მოწმობს, რომ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები და კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები ერთმანეთს ძირითადად აბალანსებენ. დამაბალანსებელ პოზიციად გამოყენებულია “წმინდა შეცდომები და გამოტოვებები”. სარეზერვო ფონდის ცვლილება საქართველოში პირველი პერიოდისათვის „+“ ნიშანს ატარებს და მიუთითებს სარეზერვო აქტივების შემცირებაზე, მეორე პერიოდში კი „-“ ნიშანს ატარებს და მიუთითებს სარეზერვო აქტივების გაზრდაზე.

Iza Natelauri

Doctor of Economics

**BALANCE OF PAYMENT AND ACTUAL PROBLEMS OF FOREIGN ECONOMIC
RELATIONS IN GEORGIA
(1994-2012)
Annotation**

Current operational reports, capital and financial reports and changes of reserve assets are analyzed and compared for two time periods according to Georgian Balances of payment. The analysis done in 1994-2002 and 2003-2012 showed the growing deficit of current operational reports in Georgia connected with foreign trade in commodities. For our country the role is exaggerated for such a foreign trade policy which will be based on quantitative and structural optimization of foreign trade in commodities, on partner circles diversification and on activation of balancing function of net export.

Statistical analysis of balance of payment in Georgia indicates that reports on current operations and capital and financial reports are mainly balancing each other. “Net errors and emissions” are used as balancing position. In Georgia the change in reserve assets has the symbol “+” for the first period and indicates the reduction of reserve actives; for the next period it has a symbol “-” and indicates the increase of reserve actives.

დავით ასლანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის
ასისტენტ პროფესორი

სახელმწიფო უსიანი ძალადების აბილი და მნიშვნელობა
მეზოკავშირის ბაზარზე: ბოლო ტენდენციები და დისკუსიები

2007 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის მიმდინარეობს საუბარი და მსჯელობა, რომ ევროზონა სისტემურმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრდება. ამ სიტუაციის გამოსავალი ეკონომისტების ნაწილმა ერთიანი ევროპის სავალდებულებების – ევროზონდების ემისიაში გამოიხატა. კრიზისის პერიოდში ევროკომისიის ოფიციალურ პირებსა და ცნობილ ფინანსისტებს შორის იყო დისკუსია, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ იდეას¹⁻².

ევროკავშირის სტაბილურ განვითარებას ხელი შეუშალა და საგრძობლად უკან დახია საბერძნეთის კრიზისმა. ევროპის ბაზრები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული ძლიერი საექსპორტო ბაზრის შესანარჩუნებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური კრიზისი ევროზონის რამდენიმე ქვეყანაში მტკიცებულად აისახება მთლიანად ევროზონაზე და, შესაძლოა, მის ეკონომიკურ ზრდას შეუშალოს ხელი³.

ევროზონის პრობლემების გადაჭრის კარდინალური მეთოდი წევრ ქვეყნებს ცნობილმა ფინანსისტებმა⁴ და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შესთავაზა და ამ წინადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის მთელი ევროზონისთვის საერთო სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებას ითვალისწინებს. თუმცა, მიუხედავად რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, ევროკავშირის ოფიციალური პირები არ ეთანხმებიან ამ იდეას, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ძლიერი ეკონომიკების ხარჯზე სუსტი ეკონომიკების გადარჩენას და ამით სიტუაციის შემსუბუქებას. ამასთანავე, ამგვარი ობლიგაციების შექმნა ცალკეულ ქვეყნებზე ზეწოლას შეასუსტებს და ისინი თავიანთი დავალიანებების შემცირებაზე იმდენად აღარ იზრუნებენ. არადა, ამგვარი სიახლე სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ვალების რეფინანსირების, დროის მოგების და ბიუჯეტის მეტ-ნაკლებად წესრიგში მოყვანის საშუალებას მისცემდა⁵⁻⁶.

იდეა, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკის წინადადების ახლავს თან, არის შემდეგი⁷: ერთიანი ობლიგაციებისთვის შეიქმნება ფართო ინტეგრირებული ბაზარი, რომელიც მოცულობით და ლიკვიდურობით ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო ობლიგაციების ბაზარს არ ჩამოუვარდება.

ამ გეგმის თანახმად, ერთიანი ობლიგაციების გამოშვება გამოიწვევს „ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მნიშვნელოვან გაღრმავებას“ სამთავრობო დაფინანსების ახალი საშუალებების გამოშვების ხარჯზე. ამავე აზრით, ეს

¹ http://www.debatingeurope.eu/focus/arguments-for-against-eurobonds/#.VJEpMtKUf_Y

² <http://www.economist.com/economist-asks/should-euro-zone-issue-eurobonds>

³ www.economist.com, The economist, January 15th – 21st, Euro Crisis, Time for plan B, page 9-10

⁴ <http://www.theguardian.com/business/2013/apr/09/eurozone-crisis-germany-eurobonds>

⁵ http://www.debatingeurope.eu/focus/arguments-for-against-eurobonds/#.VJEpMtKUf_Y

⁶ <http://www.spinelligroup.eu/article/eurobonds-are-only-answer-europes-crisis>

⁷ <http://europeansting.com/2013/07/09/european-banking-union-like-the-issue-of-a-eurobond/>

ობლიგაციები, მაღალი სანდოობისა და ლიკვიდურობის გამო, ინვესტორებს შორის მოთხოვნადი გახდება.

ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოდის ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი წევრი სახელმწიფო – გერმანია⁸.

გერმანიის ოფიციალური პოზიცია შემდეგია: ერთიანი ობლიგაციების შემოღებას გერმანიისა და მთელი ევროკავშირისთვის ნეგატიური შედეგები ექნება, რადგან დავალიანების მქონე ქვეყნების წინაშე აღარ იდგება მწვავე აუცილებლობა, სასწრაფოდ შეამცირონ საბიუჯეტო დეფიციტი⁹.

გერმანია ევრობონდების შემოღებით ვერ მოიგებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოგებას ვერც მთელი ევროკავშირი ნახავს, რადგან ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო ვალები საერთო ვალებად იქცევა. დავალიანების მქონე ქვეყნებს მიზნად აღარ ექნებათ, რაც შეიძლება სწრაფად გაამყარონ ბიუჯეტები და სხვა სიტყვებით, ეს შეარყევს მთელი ბლოკის სტაბილურობას¹⁰.

ევროკომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ევროზონის რეფორმირების ეტაპობრივი გეგმა წარმოადგინა, რომელიც, უახლოეს მომავალში, ბლოკში ერთიანი ფინანსთა სამინისტროს შექმნას ითვალისწინებს. დროთა განმავლობაში აღნიშნულმა სამინისტრომ შესაძლოა საკუთარი გადასახადების დაწესება და ობლიგაციების გამოშვება დაიწყო. თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი დაახლოებისთვის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა ჯერ მზად არ არის.

ევროკომისიის ეს გეგმა ითვალისწინებს ევროზონაში სპეციალური ფონდის შექმნას ევროკავშირის ბიუჯეტის სახსრებიდან, რომელიც დახმარებას გაუწევს ქვეყნებს, მათ შორის ფინანსურსაც, განახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს სახელმწიფოებში, რომლებიც ამას დამოუკიდებლად ვერ აკეთებენ¹¹.

ფონდის სახელწოდება იქნება „დაახლოებისა და კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტი“ და ის სტაბილიზაციის ფონდის EFSF/ESM-ის მიერ უკვე აპრობირებულ ფორმულას დაეფუძნება. კერძოდ, დახმარების მისაღებად ქვეყნებისთვის აუცილებელი გახდება შეთანხმების დადება ევროკომისიასთან¹².

განსხვავება კი იმაშია, რომ მსგავსი კონტრაქტები ყველა ქვეყანასთან დაიდება, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მოცულობის ევროპულ პარამეტრებს არღვევენ (პირველ შემთხვევაში ეს მშპ-ს 3 პროცენტია, მეორეში კი 60 პროცენტი).

შედეგად, ევროკომისია მიიჩნევს, რომ 2018 წლისთვის, ამ ინსტრუმენტის საფუძველზე შექმნას „ფინანსთა სამინისტრო ევროკომისიის ფარგლებში,“ რომელსაც ექნება ვეტოს დადების უფლება მის წინაშე ანგარიშვალდებულების მქონე ქვეყნების საბიუჯეტო ინიციატივებზე, ასევე მათ ეროვნულ ბიუჯეტებში ცვლილებების მოთხოვნის შესაძლებლობა.

ბოლო ეტაპზე, 2018 წლისთვის, დაგეგმილია ევროზონის სრულმასშტაბიანი ბიუჯეტის შექმნა, რომელიც სავალუტო კავშირის პრობლემური ქვეყნების ნაციონალურ ბიუჯეტებს დაუჭერდა მხარს.

⁸ <http://www.thetrumpet.com/article/8286.4.0.0/economy/a-new-global-financial-system?preview>

⁹ <http://euobserver.com/news/120605>

¹⁰ <http://www.europarl.europa.eu/news/en/news-room/content/20120618IPR47077/html/Eurobonds-and-other-tools-for-debt-solidarity>

¹¹ <http://www.efsf.europa.eu/about/index.htm>

¹² http://www.efsf.europa.eu/attachments/faq_en.pdf

ევროკომისიას იმედი აქვს, რომ მისი წინადადებები დააკმაყოფილებს როგორც მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინის მომხრეებს, ისე მათ, ვისაც მიმდინარე პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება სურს.

დავით ასლანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის
ასისტენტ პროფესორი

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ადგილი და მნიშვნელობა
ევროკავშირის ბაზარზე: ბოლო ტენდენციები და დისკუსიები
ანოტაცია

ნაშრომში მიმოხილულია ევროკავშირში არსებული ვითარება და დისკუსიები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ირგვლივ, თანამედროვე მდგომარეობა. დეტალურადაა განხილული ერთიანი ევრობონდების იდეა, მისი მომხრე და მოწინააღმდეგე მოსაზრებები, ერთიანი ევროპის ფინანსთა სამინისტროს იდეა და სტაბილიზაციის ფონდების არსი და მნიშვნელობა. ნაშრომში გამოკვლეულია, თუ რამ შეუწყო ხელი ამ იდეების გავრცობას და რა საკითხზე ვერ თანხმდებიან ევროზონის წამყვანი ქვეყნები და ევროკომისია. დასკვნის სახით წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი, თუ რა დანიშნულებით არის შესაძლებელი ამა თუ იმ ინსტრუმენტის გამოყენება და რას ფიქრობს ამ საკითხზე რიგი წამყვანი საერთაშორისო მკვლევარი თუ პრაქტიული გამოცდილების მქონე ფინანსური წრე.

David Aslanishvili
Doctor of Economy,
Assistant Professor, Tbilisi State University,
Faculty of Business and Economy,
Finance and Banking and Finance department

PLACE AND IMPORTANCE OF THE GOVERNMENT SECURITIES MARKET IN
THE EUROPEAN UNION: RECENT TRENDS AND DISCUSSIONS
Annotation

The paper reviews the current situation in the EU and around the discussions with the Securities Market, the modern condition. Detailed descriptions of the Eurobond idea, its supporters and opponents, the idea of the united European Bonds, stabilization fund and the idea of the United Ministry of Finance of Europe is given. There is researched the ways how these ideas were developed and the issues still without consensus between EU leading member states.

In conclusion, we have used the comparative analysis to fix what might be used by a particular tool, and what are ideas expressed by a number of leading international researcher and practical financiers on European state securities market.

ბიზნესი

ირინე მამალაძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ესუ-ს ასოცირებული პროფესორი
მცირე ფირმების საგადასახადო სტიმულირება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი ღონისძიება არის მისი დაბეგვრის ისეთი წესის დამკვიდრება, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მცირე ფირმების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საზღვარგარეთის გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ეფექტიანი საგადასახადო რეჟიმების შემუშავებისას აუცილებლად ითვალისწინებენ მცირე საწარმოების სპეციფიკას. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას შედარებით მოკლე ხანში.

მრავალი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა მცირე საწარმოებს რეგულირების განსაკუთრებულ სუბიექტებად განიხილავს. ეს გამოდინარეობს მცირე საწარმოების მასობრიობიდან და მათი დიდი სოციალური მნიშვნელობიდან. გლობალიზაციისა და ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გამო მომხდარ ცვლილებებზე ადეკვატურად რეაგირება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების წამყვანი როლი და სხვა ფაქტორები ის სერიოზული მიზეზებია, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს აკისრებენ მცირე ფირმებს, როგორც ნებისმიერ ქვეყნის ეკონომიკის აუცილებელ ელემენტებს.

საკამათო არის, რომ მსხვილ ფირმებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები და უფრო ხელსაყრელი პირობები აქვთ მცირე ფირმებთან შედარებით. ბევრად მეტია მათი საწარმოო რესურსები, უფრო კვალიფიციურია მათი სამუშაო ძალა, მყარია პარტნიორებთან კავშირები, მძლავრი და საიმედოა ფინანსური და საინფორმაციო ბაზები. ისინი გაცილებით მეტი შედავათებით სარგებლობენ სასესხო სახსრების მიღებისას. ამ ყველაფრის გამო მცირე ფირმებს ძალიან უჭირთ კონკურენცია მსხვილ ფირმებთან მთელ რიგ მიმართულებებზე. შესაბამისად, გარდაუვალი ხდება მცირე ფირმების მიზანმიმართული წახალისება და სახელმწიფოს მხრიდან მათი საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა.

მცირე ბიზნესის სუბიექტების დაბეგვრის მსოფლიო პრაქტიკაში ამ პრობლემის გადაჭრისადმი ორი ყველაზე ზოგადი მიდგომაა ცნობილი:

1. მცირე ფირმებისთვის საგადასახადო შედავათების სისტემის შემოღება რამდენიმე მსხვილ გადასახადზე (როგორც წესი, მოგებასა და დამატებულ ღირებულებაზე);

2. მცირე ფირმების დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმების შემოღება.

ფირმების შემოსავლების დაბეგვრისას გამოყენებული შედავათები ირიბ და პირდაპირ შედავათებად იყოფა. მათგან ევროპასა და აშშ-ში ყველაზე უფრო პოპულარულია დანქარებული ამორტიზაციის გამოყენების შესაძლებლობა, რასაც იქ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იყენებენ. ეს შედავათი ამჟამად ყველაზე უფრო დიდ ბრიტანეთშია გავრცელებული. მაგალითად, ინგლისის კომპანიები უფლებამოსილი არიან, ფუნქციონირების პირველსავე წელს ჩამოწერონ ინოვაციური ღირებულების მთელი მოწყობილობა. საფრანგეთში ამის უფლება მცირე საწარმოებს მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკაზე აქვთ. სხვა სახის მოწინავე ტექნოლოგიებზე მათ ეს მთელი ღირებულების მხოლოდ 50%-ის ფარგლებში შეუძლიათ. რაც შეეხება გერმანიას, აქ პირველ წელს ნებადართულია

მეცნიერული კვლევებისა და საცდელი სამუშაოების მიზნით შექმნილი მოწყობილობისა და სხვა ქონების ღირებულების 40%-მდე ნაწილის ჩამოწერა.

მცირე ფირმების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი პირდაპირი შედეგადაა მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათთვის, რადგან ამ დროს მაღლდება მოგების ნორმა და მოცულობა, ეს კი ხელს უწყობს მცირე ფირმების განვითარებას. აშშ-ში, მაგალითად, ათწლეულების მანძილზე მცირე ფირმების მოგების ნორმა ხშირად 1,5-2-ჯერ აღემატებოდა ქვეყანაში მოგების საშუალო კორპორაციულ ნორმას.

დასავლეთის ქვეყნებში მცირე ფირმების სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკას, როგორც წესი, ახორციელებენ სტრატეგიული მიმართულებების პრიორიტეტულობის გათვალისწინების დროს (კერძოდ, საწარმოო სფეროში). ამდენად, წარმოების სფეროში მოქმედი მეწარმის მოგების საგადასახადო განაკვეთი მნიშვნელოვნად განსხვავდება მიმოქცევის სფეროში დაწესებული განაკვეთისაგან. ასეთი მექანიზმი ხელს უწყობს კაპიტალის სასურველ გადაღინებას წარმოების სფეროში.

მცირე ფირმების მიმართ საგადასახადო პროტექციონიზმის კიდევ ერთი ფორმაა მათთვის საგადასახადო კრედიტების მიცემა შედეგადად პირობებით. ეს პირველ რიგში გულისხმობს კრედიტის გაცემის გახანგრძლივებულ ვადებს. მაგალითად, საფრანგეთში იმ მცირე ფირმებს, რომლებიც 25%-ზე მეტით ზრდიან თავიანთ კაპიტალს, უფლება აქვთ, საკუთარი კაპიტალის ნომინალური გადიდების, ასევე 25%-ის ფარგლებში, მიიღონ საგადასახადო კრედიტი. მომდევნო 3 წლის მანძილზე ფირმა ვალდებულია, მიღწეულ დონეზე შეინარჩუნოს თავისი სახსრების მოცულობა.

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში მცირე ფირმებს რამდენიმე ისეთ შედეგადად ვარიანტს სთავაზობენ, რომლებიც ირიბი დაბეგვრის სქემებითაა გათვალისწინებული. ეს გამოიხატება გაყიდვათა დაუბეგრავი მოცულობის დაწესებით, დღგ-ის გაანგარიშების წესის გამარტივებით, საავანსო გადახდების გაუქმებით, მსხვილ ფირმებთან შედარებით საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარების ვადების შეცვლით. აღსანიშნავია, რომ ამის მსგავსი სპეციალური საგადასახადო რეჟიმები ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშიც შემოიღეს (აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი).

დასავლეთის ქვეყნებში საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე საწარმოების ზრდა-განვითარებას. ამიტომაც, რომ ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებში კერძო ფირმების 90%-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოებია. სწორედ ისინი ქმნიან მთელი დამატებული ღირებულების დაახლოებით 57%-ს. გარდა ამისა, მცირე ფირმებს ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქვთ დაკისრებული ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში. მათი ეს მაჩვენებელი 66%-ს აღწევს. ამავე დროს, ეკონომიკური სისტემისათვის მცირე ბიზნესის მნიშვნელობა განვითარებად ქვეყნებშიც კარგად აქვთ გაცნობიერებული. მაგალითად, ტაივანის სამრეწველო წარმოების დაახლოებით 90% მცირე და საშუალო ფირმებზე მოდის. ამ სფეროშია დასაქმებული მომუშავეთა 70%-ზე მეტი და აქვე იქმნება ქვეყნის მშპ-ის 55%-ზე მეტი. ყველა ფირმის 99% ტაივანში სწორედ მცირე და საშუალო საწარმოა. რაც შეეხება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს, აქ დაახლოებით 40 მლნ მცირე ფირმაა (საწარმოების მთლიანი რაოდენობის 95%), სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა დასაქმებული და ქვეყნების მშპ-ის 30-60% იწარმოება. განვითარებულ ეკონომიკურ სისტემებში მცირე ფირმების სტიმულირების მთავარი ფაქტორი საბაზრო მექანიზმებია. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ გაბატონებული როლი სახელმწიფოს პოლიტიკას ეკუთვნის.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მცირე ფირმების სტიმულირების მრავალფეროვან ღონისძიებებს შორის პრიორიტეტული სწორედ საგადასახადო პოლიტიკის ზომებია. მისი მთავარი ფორმებია:

1. საგადასახადო განაკვეთების შემცირება. ეს ძირითადად ეხება მოგების გადასახადს, ქონების გადასახადს და იმ სხვა გადასახადებს, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტს აყალიბებენ;

2. დაბეგვრის პროგრესული სკალა. მას აშშ-ში, ბელგიაში, ავსტრიაში, ინგლისსა და შვედეთში იყენებენ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მსხვილი კომპანიებისთვის საგადასახადო განაკვეთის რეგრესიული სკალის გამოყენებას. ეს ღონისძიება გარკვეულწილად უშლის ხელს ფირმის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას და მისი ფინანსური შედეგების განზრახ დაწევას, რაც, საბოლოო ჯამში, განვითარებას აძლევს სტიმულს;

3. „საგადასახადო არდადეგები“ მოგების გადასახადზე. ამ ღონისძიებას მრავალი ქვეყანა (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი და სხვა) იყენებს და მისი მთავარი მიზანია ახალი ფირმების დაფუძნების მაქსიმალურად შემსუბუქება და დაჩქარება, მთელი ამ პროცესის პირველი ეტაპის სიძნელეთა დაძლევა;

4. უმნიშვნელო ბრუნვის მქონე ფირმების გათავისუფლება დღგ-გან (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი);

5. მოგების დაუბეგრავი მინიმუმის ზღვრის დაწესება. მაგალითად, კანადის კერძო ფირმები იღებენ 16%-იან საგადასახადო შეღავათს, თუ მათი წლიური დასაბეგრი შემოსავალი 200 000 დოლარს არ აღემატება. ამ ღონისძიებას იაპონიაც აქტიურად იყენებს იმ მცირე ფირმების მიმართ, რომელთა შემოსავლის არსებითი ნაწილი ხელფასების გაცემას ხმარდება;

6. საპროცესო ხასიათის საგადასახადო პრეფერენციები. ეს ღონისძიება უშუალოდ არ ამსუბუქებს საგადასახადო ტვირთს, მაგრამ აუმჯობესებს საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადახდელთა ურთიერთობას. ასეთია, მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციების გამარტივება და შემოსავლების აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენება (შვედეთი);

7. ინოვაციური მცირე ფირმების შეღავათიანი დაბეგვრა. მაგალითად, იაპონიაში დიდი ხანია იყენებენ 50%-იან საგადასახადო შეღავათებს ისეთი მცირე ფირმებისათვის, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ პროდუქციას ქმნიან;

8. შეღავათიანი დაბეგვრა ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანი განახლების მიზნით (აშშ-ში მოქმედებს 1981 წლიდან). ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ამორტიზაციის ვადებს;

9. მეწარმეთა ცალკეული ჯგუფების მხარდაჭერაზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1983 წელს ამოქმედდა პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმეები“, რომელიც ითვალისწინებდა კაპიტალზე, საქმიან ოპერაციებსა და უძრავ ქონებაზე საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებას.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, მიკრო- და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები: მიკროსაწარმოები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ამ სტატუსის მქონე პირები თავისუფლდებიან საკონტროლო საღარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან, ხოლო მცირე ფირმების დაბეგვრა შეღავათიანი ხასიათისაა: მცირე ფირმების დასაბეგრი შემოსავალი საზოგადოებრივად იბეგვრება 5%-ით, რაც 3%-მდეც შეიძლება შემცირდეს იმ შემთხვევაში, თუ ფირმას ექნება ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების დამადას-

ტურებელი დოკუმენტები ან, თუ ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირი მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №999. 2010 წლის 31 დეკემბერი. ქ. თბილისი. საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ.
2. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. შემდგენლები: გ. შინაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ც. დალაქიშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი.“ თბ., 2012.
3. Никитин С., Никитин А., Степанова М. Налоговые льготы, стимулирующие предпринимательскую деятельность в развитых странах Запада // Мировая экономика и международные отношения. - 2012. - №11. - С. 54.
4. Рубе В.А. Малый бизнес: история, теория, практика - М.: ТЕИС, 2013. - 231 с.
5. Cafebabel.com - the first European media/Кафибэйбл - Первое европейское СМИ [официальный сайт]. URL: <http://www.cafebabel.co.uk/article/29090/eu-enterprise-network-businesses-small-medium.html>

ირინე მამალაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

მცირე ფირმების საბაღასახადო სტიმულირება ანოტაცია

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი ღონისძიება არის მისი დაბეგვრის ისეთი წესის დამკვიდრება, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მცირე ფირმების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საზღვარგარეთის გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ ეფექტიანი საგადასახადო რეჟიმების შემუშავებისას აუცილებლად ითვალისწინებენ მცირე საწარმოების სპეციფიკას. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას შედარებით მოკლე ხანში.

მრავალი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა მცირე საწარმოებს რეგულირების განსაკუთრებულ სუბიექტებად განიხილავს. ეს გამომდინარეობს მცირე საწარმოების მასობრიობიდან და მათი დიდი სოციალური მნიშვნელობიდან. გლობალიზაციისა და ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გამო მომხდარ ცვლილებებზე ადეკვატურად რეაგირება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების წამყვანი როლი და სხვა ფაქტორები ის სერიოზული მიზეზებია, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს აკისრებენ მცირე ფირმებს, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აუცილებელ ელემენტებს.

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში მცირე ფირმებს რამდენიმე ისეთ შეღავათიან ვარიანტს სთავაზობენ, რომლებიც ირიბი დაბეგვრის სქემებითაა გათვალისწინებული. ეს გამოიხატება გაყიდვათა დაუბეგრავი მოცულობის დაწესებით, დღგ-ის გაანგარიშების წესის გამარტივებით, საავანსო გადახდების გაუქმებით, მსხვილ ფირმებთან შედარებით საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარების ვადების შეცვლით.

Irine Mamaladze
Associated Professor

TAX INCENTIVES OF SMALL FIRMS
Annotation

One of the most effective measures to support small business taxation which will improve as much as possible an economic situation of small firms. Foreign experience confirms that an efficient tax policy is taken into consideration without fail a specific character of small firms when elaborating an efficient tax policy. Just this provides the achievement of desirable results in comparatively short time.

Small enterprises are considered by the legislation of many developed countries as special subjects of regulation. This proceeds from mass character of small enterprises and their great social significance. Because of globalization and changes in economic situation, adequate reaction on these changes, rapid development of science and technologies, leading role of quality indices of commodity and other factors are those serious reasons that make small firms to be indispensable economic elements of any country.

Most west countries offer to small firms some such preferential options which are envisaged by indirect tax schemes. This is expressed by setting not taxable volume of sale, simplifying VAT calculation rule, abolishing advance payment, changing tax-filing date in comparison with large firms.

ნინო ლომიძე

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თსუ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის
კათედრის ასისტენტ-პროფესორი*

**საქმიანი აქტივობის მაჩვენებელია სრულყოფის საპიტიზები
დეველოპერულ ბიზნესში**

საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერულ ბიზნესში საქმიანი აქტივობის ცნება საწარმოს კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება, რაც გამოიხატება მომხმარებელთათვის საცხოვრებელი ბინების დროულად მიწოდებაში. ზოგადად, საქმიანი აქტივობა გულისხმობს საწარმოს რესურსებში ავანსირებული სახსრების მოძრაობის სიჩქარეს, რომელიც, ტრადიციულად, ბრუნვადობის კოეფიციენტებით ფასდება.

ბინათმშენებლობის დეველოპერული ბიზნესის თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დეველოპერულ კომპანიათა საქმიანი აქტივობის ხარისხი შეფასდეს ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური კოეფიციენტებით. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა კოეფიციენტის დაზუსტება, რაც ტრადიციული ფორმულის მოდიფიცირებაში გამოიხატება. საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერული ბიზნესის საქმიანი აქტივობის რეკომენდებულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

1. მიღებული ავანსების (Overbillings) ბრუნვადობის კოეფიციენტი;
2. მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
3. სამუშაო კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი;
4. მთლიანი აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
5. სავაჭრო მოთხოვნების (Underbillings) ბრუნვადობის კოეფიციენტი;
6. სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვადობის კოეფიციენტი;

1. მიღებული ავანსების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Overbillings Turnover) – როგორც წესი, არ გაიანგარიშება ბრუნვადობის ტრადიციულ მაჩვენებლებს შორის. საყურადღებოა, რომ ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში წინასწარი გაყიდვების (ე.წ. presale) შედეგად წარმოქმნილ მიღებულ ავანსებს დაფინანსების წყაროების მნიშვნელოვნად მაღალი ხვედრითი წილი უკავია. მიღებული ავანსების შემცირება შემოსავლების აღიარების პარალელურად ხდება, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მომხმარებელთა უზრუნველყოფას საცხოვრებელი უძრავი ქონებით. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დეველოპერულ კომპანიათა საქმიანი აქტივობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნეს მიღებული ავანსების ბრუნვადობის მაჩვენებელი. მაჩვენებლის ზრდის დინამიკა დადებითად ფასდება, რადგან მიუთითებს საწარმოს აქტიურობაზე ბინების მშენებლობისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{მიღებული ავანსების ბრუნვადობა (ჯერებში)} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო მიღებული ავანსები}}$$

$$\text{მიღებული ავანსების ბრუნ. დღებში} = \frac{365}{\text{მიღებული ავანსების ბრუნ. (ჯერებში)}}$$

იმ შემთხვევაში, თუ წმინდა დეველოპერული კომპანია¹³ მიღებული ავანსების კლასიფიკაციას ახდენს მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად, საჭიროა აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებაში ჩართული იქნეს ავანსების ორივენაირი კატეგორია. კოეფიციენტი კი მიიღებს შემდეგ სახეს:

შემოსავალი რეალიზაციიდან

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიღებული ავანსების საშუალო ღირებ.

2. მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტით განისაზღვრება მარაგების ბრუნვის სისწილე, ანუ ის, თუ რამდენჯერ ხდება პერიოდის განმავლობაში მარაგების რეალიზაცია. კოეფიციენტი გაინგარიშება ფორმულით:

$$\text{მარაგების ბრუნ. (ჯერებში)} = \frac{\text{რეალიზებული საქონლის თვითღირებულება}}{\text{საშუალო მარაგი}}$$

$$\text{მარაგების ბრუნვადობა (დღებში)} = \frac{365}{\text{მარაგების ბრუნვადობა (ჯერებში)}}$$

უნდა აღინიშნოს, რომ მარაგების ბრუნვადობის ტრადიციული მანკენებელი, რომელიც საწარმოს აქტივობას აფასებს ერთწლიანი საოპერაციო ციკლის პირობებში, არასტანდარტულ, შეიძლება ითქვას, ალოგიკურ შედეგს იძლევა ბინათმშენებლობის ბიზნესში, რაც გამოწვეულია ამ საქმიანობისთვის დამახასიათებელი ერთ წელზე მეტხინანი საოპერაციო ციკლით. აქედან გამომდინარე, ბიზნესის თავისებურების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, აღნიშნული მანკენების გაანგარიშებაში მოკლევადიან მარაგებთან ერთად უნდა ჩაერთოს გრძელვადიანი სასაქონლო მარაგიც, იმ შემთხვევაში თუკი დეველოპერული საწარმო მარაგების კატეგორიზაციას ახდენს მიმდინარე და გრძელვადიან მუხლებად. ასეთ შემთხვევაში ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\text{მარაგ. ბრუნ. კოეფ.} = \frac{\text{რსთ}}{\text{საშუალო (გრძელვადიანი მარაგი + მოკლევადიანი მარაგი)}}$$

3. სამუშაო კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტით ხასიათდება მისი პროდუქტიულად გამოყენების ხარისხი საოპერაციო შემოსავლების გამომუშავების თვალსაზრისით და გაინგარიშება ფორმულით:

$$\text{სამუშაო კაპიტალის ბრუნვადობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო სამუშაო კაპიტალი}}$$

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ აღნიშნული კოეფიციენტის სარეკომენდაციო სიდიდე სამშენებლო-დეველოპერული კომპანიისთვის უნდა მერყეობდეს 8-12 შორის [1, გვ. 21] ჯერებში და 30-45 შორის დღებში.

¹³ წმინდა დეველოპერული საწარმო ეწევა ბინათმშენებლობის დეველოპმენტს, ახდენს საცხოვრებელი უძრავი ქონების რეალიზაციას, თუმცა უშუალოდ მშენებლობის პროცესს ახორციელებს დაქირავებული სამშენებლო კომპანიის მეშვეობით.

4. მთლიანი აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტით ფასდება საწარმოს მთლიან რესურსებში ავანსირებული ღირებულების მოძრაობის სინქარე, ანუ მათი გამოყენების ტემპი, რაც პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია შემოსავლების და შესაბამისად მოგების ზრდასთან. საყურადღებოა, რომ საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების დინამიკა გავლენას ახდენს საწარმოს მომგებიანობაზე საოპერაციო საქმიანობის ნაწილში, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემული კოეფიციენტის გაანგარიშებისას მთლიანი აქტივებიდან გამოეთიშოს ის მუხლები, რომლებიც არ მონაწილეობს საოპერაციო შემოსავლების ფორმირებაში, კერძოდ კი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები, ანუ ნაყიდი ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში კოეფიციენტი ფორმულირდება შემდეგნაირად:

$$\text{მთლიანი აქტივების ბრუნ.} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო (მთლიანი აქტივები - ინვესტიციები)}}$$

წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოსავალს რეალიზაციიდან უნდა დაემატოს პროცენტის და დივიდენდის სახით გამომუშავებული შემოსავლები.

5. სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვალობის კოეფიციენტის (Underbillings Turnover) გამოყენება უფრო მეტად მიზანშეწონილია შერეული ტიპის დეველოპერული კომპანიებისთვის¹⁴. ამ მაჩვენებლით ხასითდება მოთხოვნების ფულად გადაქცევის სიხშირე და გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{სავაჭრო მოთხოვნების ბრუნ. (ჯერებში)} = \frac{\text{კრედიტით რეალიზაცია}}{\text{საშუალო სავაჭრო მოთხოვნები}}$$

$$\text{სავაჭრო მოთხ. ბრუნ. დღეებში} = \frac{365}{\text{სავაჭრო მოთხ. ბრუნ. (ჯერებში)}}$$

6. სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვალობის კოეფიციენტი ახასიათებს მომწოდებლების დავალიანების დაფარვის სიხშირეს და მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია შერეული ტიპის დეველოპერული კომპანიებისთვის, რამდენადაც ისინი თავად ახორციელებენ ბინების მშენებლობას და, შესაბამისად, უწევთ საჭირო ნედლეულის მობილიზება და ასევე სუბკონტრაქტორების დაქირავება. კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{სავაჭრო ვალდებ. ბრუნ. (ჯერებში)} = \frac{\text{კრედიტით შესყიდვების თვითღირებულება}}{\text{საშუალო კრედიტორული დავალიანება}}$$

$$\text{სავაჭრო ვალდებ. ბრუნ. (დღეებში)} = \frac{365}{\text{სავაჭრო ვალდებ. ბრუნ. (ჯერებში)}}$$

ჩვენ მიერ რეკომენდებულ მაჩვენებელთა გამოყენებით შეფასდა ორი წამყვანი დეველოპერული კომპანიის, სს “m² უძრავი ქონება”-ს და შპს “აქსი-

¹⁴ **შერეული ტიპის დეველოპერული საწარმო** უძრავი ქონების დეველოპმენტთან ერთად ახორციელებს მშენებლობასაც. პრაქტიკიდან გამომდინარე, შერეული ტიპის დეველოპერულ კომპანიებში საცხოვრებელი უძრავი ქონების რეალიზაცია ხორციელდება შვილობილი კომპანიების მიერ. ძირითადი საწარმო კი წარმოდგენილია როგორც სამშენებლო კომპანია.

სის” საქმიანი აქტივობა. შედეგები განზოგადდა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სს “მ² უძრავი ქონება”-ს საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები

| მაჩვენებლები/წლები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|--------------------------------|------|------|------|------|------|
| მიღებული ავანსების ბრუნვალობა | - | - | 0.88 | 0.23 | 0.94 |
| სასაქონლო მარაგების ბრუნვალობა | - | - | 0.42 | 0.12 | 0.80 |
| სამუშაო კაპიტალის ბრუნვალობა | 0.74 | 0.89 | 1.15 | 0.54 | 1.74 |
| მთლიანი აქტივების ბრუნვალობა | 0.06 | 0.03 | 0.17 | 0.09 | 0.46 |

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სს “მ² უძრავი ქონება”-ს საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა შედეგები განსხვავდება ბრუნვალობის მაჩვენებელთა ტრადიციული შედეგებისგან, რაც წმინდა დეველოპერული საქმიანობის თავისებურებით აიხსნება. კერძოდ, ბინათმშენებლობის ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი) საოპერაციო ციკლის პირობებში ბრუნვალობის რიცხვის თითქმის ყველა მაჩვენებელი 1-ს ქვემოთ ფიქსირდება. შესაბამისად, დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ მაჩვენებლის 1-თან მიახლოება.

ამ თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგები დაფიქსირდა 2012 და 2014 წლებში, რაც განპირობებული იყო პროექტების – “მ² ჩუბინაშვილზე” და “მ² იპოდრომზე” ჩაბარებასა და შემოსავლების დიდი მოცულობით აღიარებასთან. 2013 წელს მაჩვენებელთა დაბალი სიდიდეები არ მიუთითებს კომპანიის აქტივობის დაბალ ხარისხზე, არამედ გამოწვეულია იმით, რომ მოცემულ წელს არ დასრულებულა ბინათმშენებლობის არც ერთი პროექტი და არ მიღებულა ექსპლუატაციაში, რაც შემოსავლების და რსო-ს აღიარების წინაპირობას წარმოადგენს.

ამდენად, ბინათმშენებელი წმინდა დეველოპერული კომპანიების საქმიანი აქტივობის შესაფასებლად მხოლოდ ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი. ეს, ანალიზის კუთხით, თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფინანსური კოეფიციენტების გარკვეულ შეზღუდულობად.

შპს “აქსისის” საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა ანალიზით ირკვევა, რომ ბრუნვალობის არც ერთი მაჩვენებელი 2008-2013 წლებში არ გაუმჯობესებულა საბაზისო 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გამონაკლისს წარმოადგენს სასაქონლო მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წელს და 5.55-ს მიაღწია. ვფიქრობთ, ეს განპირობებული იყო ვადაგადაცილებული მშენებლობების დასრულებით.

შპს “აქსისის” საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები

| მაჩვენებლები/წლები | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|----------------------------|------|------|------|------|------|------|------|
| მიღებული ავანსების ბრუნვა | 1,01 | 0,70 | 0,33 | 0,52 | 0,62 | 0,43 | 0,49 |
| სასაქონლო მარაგების ბრუნვა | 0,88 | 0,51 | 0,17 | 0,24 | 0,20 | 0,46 | 5,55 |
| სამუშაო კაპიტალის ბრუნვა | 2,13 | 1,48 | 0,51 | 0,55 | 0,64 | 0,81 | 1,16 |
| მთლიანი აქტივების ბრუნვა | 0,52 | 0,36 | 0,15 | 0,19 | 0,21 | 0,17 | 0,19 |
| სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა | 1,22 | 0,98 | 0,82 | 1,22 | 0,79 | 0,34 | 0,53 |
| სავაჭრო ვალდებულ. ბრუნვა | 5,82 | 4,52 | 1,75 | 1,98 | 1,45 | 0,82 | 0,83 |

საყურადღებოა, რომ სს “მ² უძრავი ქონება”-სგან განსხვავებით, შპს “აქსისის” შემთხვევაში საქმიანი აქტივობის შეფასების ფინანსური მაჩვენებლები შეზღუდულობით არ ხასიათდება, რადგან შპს “აქსისი” ყოველწლიურად ახდენს შემოსავლების და ხარჯების აღიარებას. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, **შერეული ტიპის დეველოპერული კომპანია**, საქმიანი აქტივობის კოეფიციენტების გაანალიზებისას, დავერდნოს საერთაშორისო პრაქტიკით გამოცდილ სარეკომენდაციო ნიშნულებს და გამოიყენოს ისინი, როგორც შედარების სტანდარტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Tang S.L.& bookboon.com. Construction Financial Management. 1st Edition. 2013.
2. Gibson, C. Financial Reporting & Analysis: Using Financial Accounting Information, 11th Edition. 2009.
3. Jae K. Shim. Analysis and Uses of Financial Statements. 2008.
4. Pamulu M. Sapri., Kajewski Stephen., Betts Martin. Evaluating Financial Ratios in Construction Industry: A Case Study of Indonesian Firms. 2007.
5. Wild John.J., Subramanyam K.R. Financial Statement Analysis. 10th Edition. 2009.
6. Пожидаева Т.А. Анализ Финансовой Отчетности. Кнорус, 2010.
7. Толпегина О.А. Анализ финансовой отчетности. Москва, 2007.
8. Шеремет А.Д., Ионова А.Ф. Финансовый Менеджмент. Москва, 2005.
9. სს “მ² უძრავი ქონებას” ფინანსური ანგარიშგება.
10. შპს “აქსისის” ფინანსური ანგარიშგება.

ნინო ლომიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თსუ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის
კათედრის ასისტენტ-პროფესორი
საქმიანი აქტივობის მაჩვენებელია სრულყოფის საპიტიხები
დეველოპერულ ბიზნესში
ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები, რომელთა გამოყენებაც, ავტორის შეხედულებით, მიზანშეწონილია ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში.

რეკომენდებულ მაჩვენებელთა გამოყენებით ჩატარებულია ორი წამყვანი დეველოპერული კომპანიის, სს “m² უძრავი ქონება”-ს და შპს “აქსისის” საქმიანი აქტივობის ანალიზი, რის საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

Nino Lomidze
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
PhD student
Chair of Accounting and Auditing, Assistant Professor

**IMPROVEMENT ISSUES FOR ACTIVITY RATIOS IN REAL ESTATE
DEVELOPMENT BUSINESS**
Annotation

The paper examines activity ratios that as per the authors' suggestions are practical for residential real estate development companies.

The conclusion was drawn based upon the findings of the suggested activity ratio analysis of the two leading company's financial statements (JSC “m² Real Estate Group” and “Axis Ltd”).

საქართველოს ეკონომიკა

ნუნუ ქისტაური
ეკონომიკის დოქტორი
მედეა მელაშვილი

უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

გლობალიზაციის პროცესმა მთელ მსოფლიოში შექმნა კაპიტალის მობილურობის წინაპირობა. დღეისათვის კაპიტალის საერთაშორისო მასშტაბით მოძრაობამ წარმოქმნა საერთაშორისო ინვესტირების უზარმაზარი მოცულობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. დღეს კაპიტალის უცხოეთში გატანის ყველაზე მომგებიანი ფორმაა მისი ფულადი ფორმით გატანა, დაბანდება. ეს ხდება ეროვნული ეკონომიკიდან კაპიტალის გარკვეული მოცულობის ამოღების და ამ წილის უცხო ქვეყნის ეკონომიკაში "გადასმის" სახით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოგების "გამომუშავების" პროცესი გადაიტანება საზღვარგარეთ.

ამას ხელი შეუწყო იმან, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბდა საქონლის და მომსახურების წარმოებისა და ვაჭრობის გარკვეული სპეციალიზაცია. ამა თუ იმ ქვეყანას წარმოექმნა საჭიროება იმ საქონელსა თუ მომსახურებაში, რომელსაც აწარმოებს სხვა ქვეყანა და სწორედ ამან შექმნა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის წინაპირობა.

ამ მოვლენამ განსაკუთრებული გასაკანი შეიძინა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც უფრო შესამჩნევი გახდა II მსოფლიო ომის შემდეგ. ეს განხორციელდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და მისი განვითარებად ქვეყნებში გადატანის ხარჯზე. დღეისათვის პროცესი, რა თქმა უნდა, უფრო გაღრმავებულია. მან შეიძინა მულტინაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათი, ანუ შეიქმნა კომპანიები, რომლებიც "შესული" არიან არა ერთი ქვეყნის, არამედ თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკაში თავიანთი კომპანიების, ფილიალების, განყოფილებების და წარმომადგენლობების სახით. ანუ შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალის ეროვნული ბაზრიდან საერთაშორისო ბაზარზე "გასვლის" გარკვეულ ფორმას.

აქედან უცხოური ინვესტიციების ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება განიმარტოს, როგორც წინაპირობა კაპიტალის საერთაშორისო დაყოფისათვის და ასევე როგორც უფრო მომგებიანი გზების ძიება სამეურნეო საქმიანობისათვის უცხოეთში, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში.

უცხოური ინვესტიციების როლი აისახება როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე კერძოდ, მისი მიმღები ობიექტის (საწარმო, წარმოების დარგი და ა.შ.) ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნისათვის, რა თქმა უნდა, უცხოური ინვესტიციები მომგებიანია. ისინი ესმარებიან ადგილობრივ წარმოებას. იქმნება ახალი ინოვაციური წარმოებები, ახალი სამუშაო ადგილები, ხოლო გადასახადები შედის ადგილობრივ ბიუჯეტში. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მით უმეტეს ძალიან მწვავედ დგას ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი წარმოების ახლით შეცვლის პრობლემა. ბევრ ქვეყანაში ძირითადი საშუალებების ცვეთის მაჩვენებელი მერყეობს 50%-დან 80%-მდე, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 15%-ს არ აღემატება, ხოლო საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მაქსიმალურ დონედ მხოლოდ 25% ითვლება. რადგან ქვეყანას საკუთარი ძალებით არ შეუძლია ძველი წარმოების

ახლით შეცვლა, სწორედ აქ ჩნდება უცხოური ინვესტიციების აუცილებლობა. თუმცა, როგორც იტყვიან, ყველა მედალს ორი მხარე აქვს. ბევრი ავტორის აზრით, უცხოური ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგება, რომელთაგან ძირითადია მიმდებ ქვეყნებში მომძლავრებული კორუფცია და დაუსჯელობა, საბანკო სისტემების არასტაბილურობა, ბიზნესგარემოს განვითარების დაბალი დონე. ჩამოთვლილთაგან ყველაზე წონადია კორუფცია და დაუსჯელობა. ეს პრობლემა ინვესტირების პროცესს არა მხოლოდ ანელებს, აძნელებს, ართულებს და ა.შ., არამედ “წამების” პროცესად აქცევს. ინვესტორს უსასრულოდ უხდება სიარული ერთი კაბინეტიდან მეორეში მხოლოდ იმიტომ, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები არაფერზე არ დათანხმდებიან, თუ საკუთარ “ინტერესს” ვერ დაიკმაყოფილებენ. ბიზნესგარემოს განვითარების დაბალი დონე ყველა განვითარებადი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესი მხოლოდ ფორმირების პროცესშია და მათ უხდებათ თავის დაცვა არა მარტო რეკეტისგან, არამედ ხშირად სახელმწიფოსგანაც და ა.შ. საბანკო სისტემა წარმოადგენს ბიზნესისთვის სასიცოცხლო არტერიას. იგი შესაძლებლობას აძლევს ბიზნესს, ხარჯოს ან შეინახოს საკუთარი ფულადი საშუალებები. მაგრამ თუ სისტემა არასტაბილურია, რა თქმა უნდა, იქმნება ამ სახსრების დაკარგვის რისკი, რაც, ბუნებრივია ინვესტიციებისათვისაც ასევე სახიფათოა.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, უცხოური კაპიტალის შემოდინებას დადებითი მომენტები გააჩნია:

- რეალური კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდა, ეკონომიკური განვითარების ტემპების ზრდა და ქვეყნის საგადაამხდლო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესება;

- მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების, საორგანიზაციო და მმართველობითი გამოცდილების შემოტანა;

- ადგილობრივი ფინანსების გამოყენება მომგებიანი პროექტების გამოსაყენებლად;

- ბუნებრივი რესურსების უფრო სრული გამოყენება;

- ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის და დასაქმებულობის დონის ზრდა;

- გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ზრდა;

- მოსახლეობის ცხოვრების დონის და მსყიდველობითი შესაძლებლობების ზრდა;

- ინფრასტრუქტურის და მომსახურების სფეროს განვითარება;

- ქვეყნისადმი ნდობის ვექტორის გაჩენა, რაც მოძიების საშუალებას იძლევა ახალი უცხოელი ინვესტორების;

- ეროვნულ ეკონომიკაში კონკურენციის გაჩენა და მონოპოლიზაციის დონის შემცირება;

- ქვეყანაში სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაჯანმრთელება.

ამ პროცესს უარყოფითი მხარეებიც გააჩნია და ეს შემდეგია:

1. მანქანა-დანადგარების, მასალების იმპორტის ზრდა, რაც ასევე ზრდის სავალუტო ხარჯებს;

2. ადგილობრივი წარმოებების შეფერხება და კონკურენციის შემცირება;

3. ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების გაზრდა, რაც საშიშროებას უქმნის ეკონომიკას და ეკონომიკურ უშიშროებას;

4. უცხოელი ინვესტორების მიერ ადგილობრივი პირობების და თავისებურებების იგნორირება;

5. ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაციის რისკი;

6. ეროვნული ეკონომიკის ტრადიციული დარგების გაქრობის რისკი;

7. სოციალური დაძაბულობის და დიფერენციაციის ზრდა (კერძოდ, უცხოურ კომპანიებში უფრო მაღალი ანაზღაურების სახით);

8. სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების შექმნისა და დანერგვის სტიმულის შესუსტება ქვეყანაში უცხოური ტექნოლოგიების შემოდების გამო;

9. გარემოს მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში ე.წ. “დაბინძურებული” წარმოებების შემოტანის და ადგილობრივი რესურსების მოუფრთხილებელი ექსპლუატაციის შედეგად;

10. სოციალურ-კულტურულ სფეროზე ნეგატიური ზეგავლენა, რაც დაკავშირებულია ეროვნული ტრადიციების თავისებურებების იგნორირებით.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა, შეიძლება ვიმსჯელოთ თუ რამდენად სტაბილურია ქვეყანა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, როგორია მისი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, რა მდგომარეობაშია ბიზნესგარემო და ა.შ.

ფორმების მიხედვით გამოყოფენ;

1. პირდაპირ (რეალურ) ინვესტიციებს – ისინი პირდაპირ არიან დაკავშირებული საწარმოო პროცესთან, დაბანდება ხდება ძირითად ფონდებში;

2. პორტფელური (ფინანსური) ინვესტიციები – დაბანდება ფასიან ქაღალდებში, შემდგომში კურსის ცვლილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მათ, როგორც წესი, სპეკულაციური ხასიათი აქვთ. ისინი პირდაპირ არ ერევიან წარმოების პროცესში, მაგრამ ირიბად ძალიან დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე.

3. სხვა ინვესტიციები – საშუალო და გრძელვადიანი საერთაშორისო კრედიტები, სესხები საწარმოო და სავაჭრო კორპორაციებს, ბანკებს და სხვა საფინანსო ორგანიზაციებს. ამ სესხების ვერ დაბრუნების შემთხვევაში ბევრი სტრატეგიული აქტივი უცხოელების ხელში გადადის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ის ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. სწორედ ამიტომ მათ მოზიდვას საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თვისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი მყარ საფუძველს წარმოადგენს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

საქსტატის მონაცემებით 2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 8,270,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მანქვინებელი - 2,014.8 მლნ. აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც


69.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2012 წელს, საქართველოში 911,6 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 18.4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემებზე. რაც შეეხება ბოლო წლების მონაცემებს (იხ. ცხრ. 1), 2013 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 941.9 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2014 წელს 1 მლრდ 758.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. როგორც ვხედავთ, 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 29 მლნ, ხოლო 2014 წელს - 816.5 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის მონაცემებს. საინტერესოა ისიც, რომ 2014 წელს შემოსული ინვესტიციების 21 პროცენტი რეინვესტირებული თანხებია, რაც გულისხმობს პირველადი ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლების ხელმეორედ დაბანდებას.

2013 წლის მონაცემებით უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში ლიდერობენ: ნიდერლანდები – 20%-ით; ლუქსემბურგი – 16%-ით, ჩინეთი – 11%-ით. შემდეგ ადგილებს იკავებენ აზერბაიჯანი – 10%-ით, თურქეთი – 8%-ით, აშშ – 6%-ით და სხვები, ხოლო 2014 წელს ეს ქვეყნები შემდეგი რიგითობითაა განლაგებული: ნიდერლანდები (26 პროცენტი), აზერბაიჯანი (24 პროცენტი), ჩინეთი (15 პროცენტი). ამ სამი უმსხვილესი ქვეყნის წილმა მთლიან ინვესტიციებში 65 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა 1).

ცხრილი 1

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)

| წელი | სულ |
|------|---------|
| 1996 | 3,8 |
| 1997 | 242,6 |
| 1998 | 265,3 |
| 1999 | 82,2 |
| 2000 | 131,2 |
| 2001 | 109,8 |
| 2002 | 167,4 |
| 2003 | 340,1 |
| 2004 | 499,1 |
| 2005 | 449,8 |
| 2006 | 1 190,4 |
| 2007 | 2 014,8 |
| 2008 | 1 564,0 |
| 2009 | 658,4 |
| 2010 | 814,5 |
| 2011 | 1 117,2 |
| 2012 | 911,6 |
| 2013 | 941,9 |
| 2014 | 1 758,4 |



აღსანიშნავია ერთი რამ: ბოლო წლების განმავლობაში ერთი ტენდენცია შეიმჩნევა: ინვესტიციების მოცულობაში ძირითადად ე.წ. აზიური ინვესტიციები ჭარბობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ევროპელი ინვესტორები ერიდებიან კონფლიქტურ რეგიონებს და ისეთ ქვეყნებს, სადაც ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურები ხშირი ცვლილებებით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით, აზიური კაპიტალი შედარებით დაბალი „პრეტენზიის“ მქონეა, ვინაიდან ასეთი წესებით ბიზნესის წარმოება მისაღებია აზიური კაპიტალისთვის. უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ძირითადად იაფი მუშახელი, გამართული ინფრასტრუქტურა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იზიდავთ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის პარალელურად, ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ინვესტიციებში სახელმწიფოს წილი შემცირდა, შესაბამისად, გაიზარდა კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (როგორც პროცენტულად, ასევე რაოდენობრივად).

2009 – 2012 წლის სტატისტიკის მიხედვით, სახელმწიფო ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში მცირდება (როგორც პროცენტულად, ასევე თანხობრივად). როგორც ვხედავთ, ეს პროცესი 2013 წელსაც გაგრძელდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 35 პროცენტით აღემატება.

სექტორულ ჭრილში ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა საფინანსო სექტორში - მთლიანი ინვესტიციების 34 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილზე, ინვესტიციების მოცულობის მხრივ, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაა. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის სექტორში, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, ლიდერ პოზიციებს იკავებდა, 88 პროცენტით შემცირდა ინვესტიციების ნაკადი და პირველი კვარტალისთვის მხოლოდ 5 მილიონი დოლარი შეადგინა (იხ. ცხრ. 2)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის
სექტორების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---|-----------|-----------|-----------|-------------|-----------|-----------|------------|
| სულ | 1563962,4 | 658400,6 | 814 496,6 | 1 117 244,1 | 911 564,3 | 941 902,6 | 1 758422,9 |
| მათ შორის: | | | | | | | |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 7 844,3 | 22 326,9 | 8 631,9 | 14 907,6 | 16 119,3 | 11 857,4 | 12 290,3 |
| სამთომშობვებითი მრეწველობა | 18 105,2 | 15 023,4 | 53 435,9 | 40 219,6 | 4 862,2 | 43 704,9 | 42 781,5 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 188 287,8 | 124 781,7 | 175 334,5 | 120 339,7 | 167 906,5 | 99 765,1 | 205 417,4 |
| ენერჯეტიკა | 294 864,8 | -2 130,6 | 21 877,9 | 203 951,6 | 179 402,6 | 244 745,1 | 189 945,0 |
| მშენებლობა | 56 725,3 | 105 218,8 | 4 705,9 | 48 112,2 | 41 839,2 | 49 847,5 | 316 588,1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 181 939,2 | 37 542,3 | 17 121,8 | 22 705,6 | 17 652,3 | -13 360,1 | 124 851,8 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 422 690,0 | 98 432,0 | 215 116,2 | 126 517,2 | 72 828,9 | 140 104,4 | 433 654,7 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 550,6 | 289,1 | 1 182,4 | 16 827,0 | 17 550,8 | 720,0 | -9 507,6 |
| უძრავი ქონება 1 | 277 837,7 | 147 410,3 | 119 253,0 | 224 776,3 | 52 805,6 | 42 294,6 | 138 654,8 |
| საფინანსო სექტორი 2 | 10 891,7 | 49 663,4 | 107 406,4 | 167 701,8 | 162 552,2 | 166 386,3 | 115 322,6 |
| დანარჩენი სექტორები 3 | 104 225,8 | 59 843,3 | 90 430,7 | 131 185,5 | 178 044,8 | 155 837,4 | 188 424,2 |

რაც შეეხება ინვესტიციების სხვა სახეობებს, ბოლო პერიოდისათვის საქართველოში შემდეგი მდგომარეობაა: 2014 წელს პორტფელურმა ინვესტიციებმა 247 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 289 მლნ აშშ დოლარით აღემატება (2013 წელს პორტფელური ინვესტიციების 43 მილიონიანი გადინება დაფიქსირდა). პორტფელური ინვესტიციების ზრდაში უმთავრესი წვლილი საბანკო სექტორის მიერ მოზიდულმა უცხოურმა კაპიტალმა შეიტანა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა სხვა ინვესტიციების წვლილი. 2014 წელს სხვა ინვესტიციების წმინდა შემოდინებამ 218 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სხვა ინვესტიციების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სამთავრობო სექტორის მიერ მოზიდული სესხებით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. დიდი ყურადღება დაეთმო ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ამისათვის გატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. მოხდა გადასახადების ოპტიმიზაცია, გამარტივდა ბიზნესის რეგისტრაცია, ამოქმედდა

გაეორგების კანონი, ორმაგი დაბეგვის თავიდან ასაცილებლად 26 ქვეყანასთან გაფორმდა ორმხრივი ხელშეგრულებები, შეიქმნა „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ და სხვა მრავალი ცვლილება, რამაც უცხოური ინვესტიციების შემოსვლას შეუწყო ხელი.

თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოურ ინვესტიციებს გააჩნია უარყოფითი მხარეც, კონკრეტულად კი შესაძლებელია გაიზარდოს ინვესტორი ქვეყნის გავლენა იმ ქვეყანაზე, სადაც მან ინვესტიცია განახორციელა, ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპანტი ქვეყნის კომპანიები აქ საკმაოდ მსხვილ ინვესტიციებს ასორციელებენ.

დასასრულ, როგორც ციფრების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, ბოლო წლებში საქართველოში ადგილი კი ჰქონდა უცხოური ინვესტიციების გარკვეულ ზრდას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში ხდება მათი კლება და საერთო სურათი სრულიად არადადამაკმაყოფილებელია. ამას ზოგადად ორი მიზეზი გააჩნია. ერთი მხრივ, ეს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს ბრალდება, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. პირველი მიზეზი: საერთაშორისო საინვესტიციო რესურსების ბაზრებზე პოსტკრიზისული პერიოდები ყოველთვის ხასიათდება საინვესტიციო აქტივობის დაცემით და ინვესტორები, გარკვეულწილად, მოლოდინის და ბაზრების ანალიზით არიან დაკავებული. მეორე მიზეზი: საქართველოში ინვესტიციების შემცირების შიდა ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური არასტაბილურობა. სწორედ ამის ჯეროვანი ანალიზი და გათვალისწინება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf.
2. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors>.
3. <http://www.ireporter.ge>.
4. <http://www.radiotavisupleba.ge>.
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.
6. თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი, უცხოური ინვესტიციები და მისი მოზიდვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. VI. გვ.337.
7. თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, პროფ. გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (28-29 ივნისი 2013) გვ.210.
8. თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი, ინვესტიციები და საინვესტიციო გარემო საქართველოში. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები (27-28 ივნისი 2014). გვ. 329.
9. საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში 2006-2014.

ნუნუ ქისტაური
ეკონომიკის დოქტორი
მედეა მელაშვილი

**უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის
განვითარებაში
ანოტაცია**

ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის მეტად აქტუალურ თემას - უცხოური ინვესტიციების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

კაპიტალის საერთაშორისო მასშტაბით მოძრაობამ წარმოქმნა უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი მოცულობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მათ რიცხვშია საქართველოც. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხოური ინვესტიციების განხორციელებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რაც ნაშრომში არის ნაჩვენები. ასევე გაანალიზებულია საქართველოში ბოლო (2006-2014) წლების მიხედვით უცხოური ინვესტიციების განხორციელების ციფრული მონაცემები.

Nunu Kistauri
Doctor of Economics,
Medea Melashvili

**THE ROLE OF FOREIGN INVESTMENTS IN THE
DEVELOPMENT OF COUNTRY ECONOMY
Annotation**

The work is dedicated to an actual issue – the role of Foreign investments in country economy.

International movement of capital has created a huge volume of foreign investments especially in developing countries, including Georgia. As international experience shows the realization of foreign investment has positive as well as negative sides that is shown in the work. Is also analyzed digital data of realization of foreign investments according to last years in Georgia (2006-2014).

სოფლის მეურნეობა

თენგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის დოქტორი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ის ღონისძიებანი, რომელიც დასახულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვების განსახორციელებლად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებას გარკვეული ადგილი უკავია ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში და წარმოადგენს მათ შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებისა და განვითარების მძლავრ ბერკეტს, გაცვლით ფორმას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ძირითად ფორმას. მას აქვს უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური დანიშნულება. შესყიდვების წარმატებით ჩატარება ხელს უწყობს ფასების შემცირებას და ფულის კურსის განმტკიცებას. ის უშუალო ზეგავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადება და მისი მოცულობა უშუალოდ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოების დონეზე, მაგრამ, თავის მხრივ, შესყიდვების სისტემა, მისი ფორმები და შესყიდვების ფასები გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაზე. შესყიდვის პოლიტიკის მიზანია სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვების ორგანიზაციულად მოწყობა და მათი გამოყენება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების პირობების შესაბამისად იცვლება შესყიდვა-დამზადების პოლიტიკა და მისი ორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით ცნობილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორი ფორმა: სასურსათო გაწერა (შესყიდვა) და სასურსათო გადასახადი (ნატურაში). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადების წესების, მისი ფორმებისა და მეთოდების თანმიმდევრული განვითარების ისტორიულ-ეკონომიკურ მიმოხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკულად მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში. 1917 წელს ქვეყნის წინაშე გადაჭრით დადგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა-დამზადების მოწესრიგებისა და მოსახლეობის საარსებო მინიმუმით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამ მიზნით შეიქმნა სასურსათო სახალხო კომისარიატი, საბჭოებთან მოეწყო საასურსათო კომისიები, გამოქვეყნდა დეკრეტი მარცვლეულის საცავების ნაციონალიზაციის შესახებ. გამოცხადდა დაუნდობელი ბრძოლა სპეკულანტებისა და მოროდორების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ, შეეფერხებინათ სასურსათო მომარაგების საქმე, ღონისძიება ითვალისწინებდა განსაზღვრულ ფარგლებში მოწყობილიყო სახელმწიფო მასშტაბით სწორი საქონელგაცვლა, ე.ი. სამრეწველო საქონლის ნაწილი გარკვეული წესით და ნორმით გაეცვალათ სასურსათო პროდუქტებზე იმ მიზნით, რომ გაძლიერებულიყო პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო დამზადება. მაგრამ 1918 წლის გაზაფხულიდან დაწყებულმა უცხოეთის ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა არ მისცა საშუალება სახელმწიფოს, განეხორციელებინა დასახული ღონისძიებანი. უკიდურესობამდე გამწვავდა ეკონომიკური მდგომარეობა.

რობა. ქვეყანას აღარ გააჩნდა სამრეწველო საქონელი სურსათსა და ნედლეულზე გადასაცემლად.

1918 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა დეკრეტი (სოფლის მეურნეობის ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ), რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ პროდუქტების ნაწილის მტკიცე ფასებში გადარიცხვას, რაც საკუთარ მოხმარებას აღემატებოდა. აღნიშნული ნატურალური გადასახადი წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას სასურსათო გაწერაზე გადასვლისათვის. “სასურსათო გაწერით” გლეხს ევალებოდა მთლიანად ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნადლეული, გარდა თესლის, ოჯახის წევრებისათვის აუცილებელი საჭირო პროდუქტებისა და პირუტყვის გამოსაკვები ფურაუისა, რაც განსაზღვრული იყო სათანადო ნორმებით. ჩაბარებულ პროდუქტებში სახელმწიფო უხდიდა ფულს. ეს იყო იძულებითი დროებითი ღონისძიება სოფლად სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პირობებში წარმოების ძლიერი დაცემის პერიოდში. გაჩანაგებულ და ჩამორჩენილ ქვეყანაში 1918-1919 წლებში სახელმწიფომ შეაგროვა 110 მილიონი ფუთი პური; მომდევნო მეორე წელს – 220; მესამე წელს – 285 მილიონ ფუთზე მეტი.

სასურსათო გაწერის შედეგად 1921 წელს გაზაფხულისათვის მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად, ქვეყანა ეკონომიკურად ისე იყო დასუსტებული, რომ მრეწველობას არ შეეძლო სოფლისათვის სურსათის სანაცვლოდ მიეცა სამრეწველო საქონლის ის რაოდენობა, რაც ქვეყნისთვის იყო საჭირო. აღნიშნულის გამო სოფელსა და ქალაქს შორის გაშლილ საქონელმომოქცევაზე გადასვლისათვის მიღებულ იქნა გარდამავალი ფორმა – ერთი მხრივ ნატურალური გადასახადი, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ გლეხობისაგან პროდუქტების სრულიად უეკვივალენტოდ მიღებას, ხოლო მეორე მხრივ დამატებითი პროდუქტების მიღებას საქონელგაცემის სახით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაში ფართოდ იქნა ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვა სპეციალური ორგანიზაციები. სასურსათო გაწერა სურსათის, ნედლეულისა და ფურაუის სახელმწიფო შესყიდვა-დამზადების წესით, შეიცვალა ნატურალური სასურსათო გადასახადით.

სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა გლეხობის მდგომარეობა და სავსებით გაამართლა თავისი თავი როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. გლეხს უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილისამებრ გამოეყენებინა საკუთარი შრომით შექმნილი პროდუქტები. სახელმწიფომ გაათავისუფლა გლეხი ნატურით გადასახადისაგან და ნება დართო გადასახადის ნაწილი ფულით დაეფარა.

აღნიშნულმა ღონისძიებამ გამოიწვია საქონელმომოქცევის შემდგომი გაფართოება და ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესება. სამეურნეო ცხოვრების გამოცდილებამ გამოიწვია ბაზრის გაფართოება, საქონელბრუნვის ზრდა, რამაც შესაძლებელი გახდა პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მთლიანად შესყიდვის გზით განხორციელებულიყო. ყოველივე ამის შედეგად, 1924 წლის იანვარში სასურსათო გადასახადი სრულად გაუქმდა და შეიცვალა ფულადი გადასახადით. სახელმწიფო მთლიანად გადავიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის წესით დამზადებაზე.

საბჭოთა საქართველოში მიწის ნაციონალიზაციის შედეგად გლეხობამ დამატებით მიიღო 896 ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც მემამულეების, ბურჟუაზიის, ხაზინის, მონასტრებისა და ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა. გლეხები გაათავისუფლდნენ მემამულეთა მიწების სარგებლობისათვის ყოველწლიურად 802,2 ათასი მანეთი ღალისა და მიწის იჯარით აღებისათვის 2500 ათასი მანეთი ოქროთი გადასახადისაგან [1]. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების

დამყარებისთანავე იქნა შემოღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და სასურსათო გადასახადი. შეიქმნა სპეციალური ორგანო – სასურსათო სახალხო კომისარიატი, რომელმაც დანიშნა დამზადების რწმუნებულები მაზრებში. მათ ეკისრებოდათ სასურსათო პროდუქტების დამზადება ცენტრის დირექტივების მიხედვით. მათ არ ჰქონდათ დამზადებულ პროდუქციაზე განკარგულების გაცემის უფლება ცენტრის ნებადართვებლად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება წარმოებდა მეტწილად გაცვლითი ოპერაციის სახით – სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არსებულ სამრეწველო საქონელზე გადაცვლით და ფულზე შესყიდვით. ამ წესით ხორციელდებოდა პურეულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების დამზადება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გაიშალა მუშათა კოოპერატივების ქსელი.

საქართველოს კოოპერატივების გაერთიანების ცენტრს და რაიონულ კოოპერაციულ კავშირებს ევალებოდათ დამზადებინათ სასურსათო პროდუქტები და ნედლეული, ხოლო მუშათა კოოპერაციას ეკისრებოდა პროდუქტების განაწილება და სამეურნეო ანგარიშზე გადასულ საწარმოთა მომარაგება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შემოღებულ იქნა ნატურალური გადასახადი. დაწესდა პურისა და მატყლის, ასევე რძის პროდუქტებზე, ხორცზე, მევენახეობის პროდუქტებზე ნატურალური გადასახადები. ხორცის ნატურალური გადასახადი დაკისრებული ჰქონდა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებს ვისაც კი ჰყავდა გარკვეული რაოდენობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი. რძის პროდუქტების ნატურალური გადასახადის აკრეფისათვის დაწესებული იყო 5 ზონა და თითოეულ ზონაში განაკვეთების 4 ჯგუფი ძროხების რაოდენობის მიხედვით. საქართველოს სსრ სასურსათო-სახალხო კომისარიატს უფლება ჰქონდა, ნება დაერთო ცალკე მეურნეობისათვის ერთი სასურსათო პროდუქტი შეეცვალა მეორეთი სათანადო ეკვივალენტით.

თითოეული მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობას აწესებდა სამაზრო ნატურალური გადასახადის კომისია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნატურალური გადასახადით არ იბეგრებოდა მეურნეობა: ერთი ძროხის ყოლის შემთხვევაში – რძის პროდუქტებით; 11 სულამდე ცხვრის ყოლის შემთხვევაში – რძის პროდუქტებითა და მატყლით; თუ ჰქონდა ერთ დესეტინამდე ხორბლისა და ნახევარ დესეტინამდე სიმინდის ნათესი პურის გადასახადი; თუ ჰყავდა მოზარდი პირუტყვი 2 წლამდე, ღორი 1 წლამდე, აგრეთვე ერთი ძროხა და დედა ღორი არ იბეგრებოდა ხორცით.

ქვეყანას არ გააჩნდა იმდენი სამრეწველო საქონელი და ფული, რომ საჭირო რაოდენობით შეესყიდა სასურსათო პროდუქტები და ნედლეული წარმოება დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად და საწარმოების მოსამარაგებლად. ამისათვის აუცილებელი იყო სასურსათო გადასახადის შემოღება და ამ გადასახადის განაკვეთებისა და მოცულობის განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გათვალისწინებით. სასურსათო გადასახადის შესახებ დეკრეტის გამოცემამდე დაწერილებით იქნა შესწავლილი მიწათსარგებლობის პირობები, სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მოხმარების ფორმები, საწარმოთა მოთხოვნილება და სხვა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ეყრდნობოდა საქონლის გაცვლით ოპერაციებს. ამასთან ერთად საქონელბრუნვაში დაშვებული იყო კერძო მწარმოებელიც, რადგან სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული საქონლის მარაგი არ იყო საკმარისი სოფლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სასურსათო გადასახადის საშუალებით საქართველოში 120 ათას ფუტამდე ხორბალი შეგროვდა. ნატურალური გადასახადის აკრეფა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. გადასახადის სიმ-

რავლე ზღუდავდა გლეხობის ინციატივას სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების საქმეში და იწვევდა მათ უკმაყოფილებას. ყველა ნატურალური გადასახადის გამარტივებისა და გაერთიანებისათვის 1922-23 წელს შემოღებულ იქნა ერთიანი ნატურალური გადასახადი, 11 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე დაწესებული გადასახადი გადაყვანილ იქნა ხორბალზე. გადამხდელთ უფლება მიეცათ, გადასახადი შეეცვალათ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით, აგრეთვე ფულადი ეკვივალენტით. სასურსათო გადასახადი გატარებული იყო კლასობრივი პრინციპის მიხედვით და ეკისრებოდა კულაკობას, შეძლებულ და საშუალო გლეხობას, ხოლო ღარიბი გლეხობა თავისუფლდებოდა მისგან.

სასურსათო გადასახადი 1924 წლიდან მთლიანად გაუქმდა და ფულადი გადასახადით შეიცვალა. სახელმწიფო დამზადება წარმოებდა თავისუფალი საბაზრო შესყიდვის წესით. იგი წარმოადგენდა ქალაქსა და სოფელს შორის ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის დროსაც ერთპიროვნული გლეხები მთელ თავის სასაქონლო პროდუქციას ასაღებდნენ თავისუფალი გაყიდვის წესით, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იძენდნენ გლეხობისაგან, რომელითაც გამოჰქონდათ პროდუქტები გასაყიდად. გამახვილდა ყურადღება – ფართოდ მოემარაგებინათ ბაზარი საჭირო რაოდენობის სამრეწველო საქონლით მოსავლის რეალიზაციის მომენტისათვის. ქვეყნის ხელისუფლება სისტემატურ აგრონომიულ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდა ღარიბ და საშუალო გლეხობას მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. ხელისუფლებამ დიდძალი სახსრები გაიღო დანგრეული და გაჩანაგებული სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ, კერძოდ, მშრომელი გლეხობის მატერიალური დაინტერესების პრინციპის გატარებამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამის შედეგად, 1925 წელს დამთავრდა სოფლის მეურნეობის აღდგენითი პერიოდი. თუ 1913 წელს ნათესი ფართობი შეადგენდა 747,4 ათას ჰექტარს, 1925 წელს მან მიადწია 790 ათას ჰექტარს, ე.ი. 105,7 პროცენტს. 1909-13 წლებში საშუალოდ წლიური სასურსათო პურეულის მოსავალი შეადგენდა 742928 ტონას, 1925 წელს მიღებულ იქნა 749246 ტონა, ე.ი. 6318 ტონით მეტი ვიდრე 1913 წელს.

დამზადების ახალი წესი – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბაზრო შესყიდვა – 1924-დან 1928 წლამდე არსებობდა. მან უფრო მეტად წაახალისა და მძლავრი სტიმული მისცა გლეხობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განვითარების საქმეში. თითქმის ერთიორად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება წარმოკავშირის, ცეკავშირისა და ძირითადი სამომხმარებლო კოოპერატივების ხაზით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საწარმოო-გამსაღებელ გაერთიანებათა უკვე ჩამოყალიბებული ფორმების განვითარებას, სოფლის მეურნეობის საარტელო და კოლექტიური სახეების ჩამოყალიბებას. ყურადღება ექცეოდა საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას, როგორც კოოპერაციის ყველაზე უფრო მასობრივ და ყოვლისმომცველ ფორმას, რომელსაც შეეძლო მიეზიდა გლეხობის ყველაზე ფართო ფენები და უშუალოდ მომსახურებოდა გლეხურ მეურნეობათა მრავალფეროვან საწარმოო საჭიროებებს. 1925 წლიდან ცეკავშირს (სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს) ჩამოშორდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საქმე და ამის უფლება გადაეცა მარტო წარმოკავშირს, როგორც მთელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამეურნეო ცენტრს. მისი საორგანიზაციო საქმიანობა მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოწყობისათვის (ამხანაგობა, არტელი და კომუნა) სპეციალური

დარგების მიხედვით: მეღვინეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის, წვრილი და მსხვილი მეცხოველეობის (მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მერძევეობა და სხვა), მებაბზობის, მეთამბაქოეობის, მეფუტკრეობის, ჩაის კულტურისა და სხვა სპეციალურ კულტურათა; ხოლო იმ რაიონებში, სადაც სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი, შერეული ხასიათისა იყო, ეწეობოდა შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია თავის მოკავშირე კოოპერატივთა შემწეობით აწარმოებდა სხვადასხვა სახით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი საწყოებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასამუშავებელი საწარმოების მშენებლობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციები იყო წარმოკავშირი (შემდეგ მას ეწოდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული კავშირი), ანუ ცეკავშირი. სოფლად კოოპერაციის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის გაწევრიანებისა და თანამშრომლობისათვის კერძო შუამავლის გარეშე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისა და სამრეწველო-სამეურნეო საქონლით მომარაგების საქმეში. ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებებით წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადება, გასაღება და გლეხობის მომარაგება სამრეწველო და სამეურნეო საქონლით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. „მეცნიერება“ 1982.
2. Маисеев. Экономические основы государственных заготовок сельскохозяйственных продуктов. Москва, 1955. стр. 75,178.
3. რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემის შესახებ, თბილისი, 1982.
4. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
5. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ. გვ. 256-257.
6. ყამარაულის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და ორგანიზაციის სრულყოფის გზები, „საბჭოთა საქართველო“.
7. ჯანიაშვილი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიური პრობლემები საქართველოში, „საბჭოთა საქართველო“, 1974.

თენგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის დოქტორი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის შესახებ ანოტაცია

ნაშრომში დახასიათებულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დონის ძიებანი, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვების განსახორციელებლად. გაშუქებულია ეკონომიკური ურთიერთობა საქონელმომოქცევის სფეროში, რომლის გამოსატყულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადება. ნაჩვენებია შესყიდვა-დამზადების პოლიტიკის მიზანი. მოცემულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეს-

ყიდვების ფუნქციონირებაში არსებული ნაკლოვანებანი; შესწავლილია ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განვითარების საქმეში.

Tengiz Kavtaradze
Doctor of Economics

ABOUT OF PROCUREMENTS AGRICULTURAL PRODUCTS

Annotation

In this article are reviewed most significant measures of Georgian Economical Policy, which are undergoing to procurement of Agricultural products. Are announced economic relations in the field of commodity, which itself represents agricultural commodities procurement and making. Also are shown the essence of procurement and making. Here are shown procurements of agricultural products and its functionality existing problems; Set an appropriate measures in the business development productionsof agricultural manufacturing.

**ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის
საკითხები**

სიტყვა „რესურსი“ ფრანგული წარმომავლობისაა (ressurce) და დამხმარე საშუალებას, მეშველ საშუალებას ნიშნავს [3]. ქართულ და რუსულ ლექსიკონებში რესურსი განმარტებულია, როგორც „მარაგი“, დამხმარე საშუალება [1, 2].

ბუნებრივი რესურსები არის ბუნების ელემენტები, ობიექტები და მოვლენები, რომლებიც გამოიყენება აწმყოში, წარსულში ან მომავალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მოხმარებისთვის, რომელთა ჩართვა სამეურნეო საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, მათ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ხელს უწყობს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ბიოსფეროს რესურსების ჩართვამ ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში წარმოშვა ბუნებრივი რესურსების „ეკონომიკური კატეგორია“.

თანამედროვე წარმოდგენა ბიოსფეროზე, როგორც ძლიერ, თვითრეგულირებად სისტემაზე, მოგვცა აკადემიკოსმა ვერნადსკიმ.

რესურსად ითვლება არა მარტო ის მარაგი, რომელიც ამჟამად სახეხეა – ახალი ან სათადარიგო მარაგი, მომარაგების წყარო, არამედ რესურსს უწოდებენ იმ საშუალებებსაც, რომლებიც უკვე მოხმარებული მარაგის განახლებას ემსახურება, ე.ი. რომლებიც მოხმარებულ მარაგს აღადგენენ საწყის მდგომარეობამდე.

ბუნებრივი რესურსის ცნება ლექსიკონში მას შემდეგ გაჩნდა, რაც კაცობრიობამ გააცნობიერა, რომ მისი არსებობისა და განვითარების საჭირო პირობები არის აქ – პლანეტაზე, ბიოსფეროში; რომ ადამიანი ბიოსფეროს განუყოფელი ნაწილია, არსებობს მის ფარგლებში და თავის არსებობისათვის, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და განვითარებისათვის იყენებს მის რესურსებს, რომ მხოლოდ დედამიწაზე არსებობს სიცოცხლის განახლებისა და განვითარების პირობები. ბიოსფერო აგროვებს და ანაწილებს ენერჯის უზარმაზარ რესურსს, რომელიც ხმარდება მიწის საფარის და მიმდებარე ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს გარდაქმნას. ბიოსფეროს გააჩნია უზარმაზარი მარაგი (რესურსი) თვითგანვითარებისა და განახლებისათვის, რაც საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს ეკოლოგიური წონასწორობა, ბალანსი ნივთიერებასა და ენერჯიას შორის.

საყოველთაოდ მიღებულია ბუნებრივი რესურსების დაყოფა ორ ჯგუფად:

1. ამოუწურავ რესურსებად – მზისა და ქარის ენერჯია, კლიმატური რესურსები;
2. ამოწურვად რესურსებად, რომელიც თავის მხრივ იყოფა:
 - ა. აღდგენად რესურსებად (ტყის, მიწის რესურსები);
 - ბ. აღუდგენელ რესურსებად (სასარგებლო წიაღისეული).

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნების ცალკეულ ელემენტზე და ცვლის ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს. ბუნებრივი რესურსების ერთი ნაწილი გამოუღვეველია, რადგან მათი სწორი ექსპლუატაციის კვალდაკვალ თვითგანახლებაც ხდება. არის ისეთი ბუნებრივი რესურსებიც, რომელთა მარაგი თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ამოიწურება.

ბიოსფეროს თვითრეგულირების თვისებამ მისცა კაცობრიობას საშუალება, ბიოსფეროს რესურსების ხარჯვას არ მიაქციოს ყურადღება, არ გააუწიოს ანგარიში მას და მის ხარჯზე გაიფართოვოს ეკონომიკა, რადგან ბიოსფეროს ჯერ კიდევ შესწევს უნარი, გაუმკლავდეს უარყოფით ზეგავლენებს და შეინარჩუნოს წონასწორობა. არასწორია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს ბიოსფერო იყოს რესურსების უძირო ქვევრი, საიდანაც დაუსრულებლად, უკან დაუბრუნებლად შეიძლება ვისარგებლოთ მისი რესურსებით ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის.

ბიოსფეროს კომპონენტების ცვლილება, მისი ბალანსის დარღვევა არ უნდა სცილდებოდეს დადგენილ „საზღვრებს“. წინააღმდეგ შემთხვევაში საშიშროების ქვეშ აღმოჩნდება ევოლუციური ურთიერთკავშირები, რომლებიც ახასიათებს ბიოსფეროს, როგორც სისტემას, მისი თვითრეგულირების უნარი უსაზღვრო არ არის, ხოლო შეუქცევადი ცვლილებები საშიშია მთელი კაცობრიობის არსებობისათვის.

უხსოვარი დროიდან ადამიანი იყენებდა არა მარტო ცოცხალი ბუნების პროდუქტებს, არამედ სულ უფო მეტ და მეტ მინერალურ ნედლეულს (რესურსს), რაც აისახა კაცობრიობის განვითარების ეტაპების დასახელებებზე, მაგალითად, როგორც არის „ქვის ხანა“, „ბრინჯაოს ხანა“, „რკინის ხანა“. ბუნებრივ მინერალურ რესურსებზე მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იზრდება (მაგ., თუ 1913 წელს საერთო მსოფლიო მოხმარებასთან რუსეთის სახელმწიფოზე მინერალური ნედლეულის 10% მოდიოდა, 1940 წლისათვის იგი გახდა 50%, ხოლო 1960 წლისათვის მთელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საერთო მანქანებელს გადააჭარბა).

ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობებია: წიაღისეული, კლიმატური, წყლის, ნიადაგის, მცენარეული, ფაუნისტური რესურსები.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ მიემატა ატომური პლანეტურ-კოსმოსური რესურსებიც, როგორცაა ბირთვული, გეოთერმული, ზღვის მიმოქცევისა და სხვა ენერჯის წყაროები. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ საწარმოო ძალთა განვითარების კვალდაკვალ ხდებოდა ბუნებრივი რესურსების სახეობათა განუხრელი ზრდა. იზრდებოდა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ თითოეულის მოხმარების წილიც და საზოგადოების სარგებლიანობაც.

XIX საუკუნეში ძრავების გავრცელებამ, რომლებიც სითბურ ენერჯიას მექანიკურ და ელექტრულ ენერჯიად გარდაქმნის, გამოიწვია წიაღისეული რესურსების მოხმარების არნახული ზრდა. ჩვენს ეპოქაში ბირთვული ენერჯეტიკული, რაკეტულ-ტექნოლოგიური, რადიოელექტრონიკის სწრაფმა განვითარებამ ბუნებრივი რესურსების უმნიშვნელოვანეს სახეობად აქცია რადიოაქტიური, ლითონური და არალითონური ელემენტები (ურანი, გერმანიუმი, სილიციუმი და სხვა).

სასარგებლო წიაღისეულის რესურსები არ არის უსაზღვრო და, რაც მთავარია, იგი არაადგენადია. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გვეყოფა წიაღისეული სიმდიდრე, კვლავ ხშირად გაისმის საზოგადოებაში, რომ ალბათ მომავალ თაობებს არ შეეძლება მისი მოხმარება.

ბოლო დროს უფრო ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი ხმები იმის შესახებ, რომ კაცობრიობას დიდხანს აღარ ეყოფა ბუნებრივი რესურსები: მინერალური ნედლეული, მიწა, ტყე, წყალი და ა.შ. მართალია – რესურსების რამდენიმე სახეობა ამოწურვის საშიშროების ქვეშ არის, ხოლო მათი შევსება ან განახლება დედამიწაზე პრაქტიკულად შეუძლებელია, ჯერ იმიტომ, რომ შეიცვალა ის გარემოება და პირობები, რომლებშიც ისინი წარმოიქმნა მილიონი წლის წინ, მერე იმიტომ, რომ მათი წარმოქმნის დრო გაცილებით ნელია, ვიდრე მათი ხარჯვა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამო. ისეთი ადღე-

ნადი ბუნებრივი რესურსები, როგორც არის ტყე, ნიადაგი, წყალი, ხშირად მოითხოვს ადღგენის ხანგრძლივ პერიოდს.

ტექნიკური პროგრესი ზოგჯერ თიშავს კიდევ ამა თუ იმ ბუნების ელემენტს ბუნებრივი რესურსების შემადგენლობიდან, მაგალითად, მცირე საბადოებმა, წყლის ნაკადებმა, მიწის პატარა სავარგულებმა და ა.შ. თანამედროვე ტექნიკურ პირობებში დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა.

ბოლო წლებში არცთუ მცირე რაოდენობის ბუნებრივი რესურსების მარაგი ამოიწურა, გამოიღია. მაგ., ახლა ხდება მადნის უფრო ღრმა ფენებიდან ან ღარიბი საბადოებიდან მოპოვება, ნავთობის ზღვის ფსკერიდან ამოღება, გამოიკვეთა მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში მტკნარი წყლის დეფიციტი.

არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ დანახარჯები ბუნებრივ რესურსებსა და ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე აფერხებს ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რასაც ასაბუთებენ შემდეგნაირად: 1. ბუნებრივი რესურსების დეფიციტის ზრდით და მათი ექსპლუატაციის სიძვირით; 2. დანახარჯების ზრდით უტილიტარიზაციაზე და სამრეწველო ნარჩენების განადგურებაზე; 3. დანახარჯების ზრდით მომატებულ გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლაზე.

ასეთი შეხედულება, ერთი შეხედვით, თითქოს სწორია და სამართლიანი. მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე თანდათან იზრდება. მაშინ, როდესაც ზოგი მათგანი შეზღუდულია, ცხადია, იზრდება ამავე დროს წარმოების ნარჩენებიც და მოხმარებაც. რა თქმა უნდა, იზრდება გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ღონისძიებები მისი თავიდან ასაცილებლად.

ხშირად, მეურნეობის განვითარების დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული „ის საზღვარი“, რომლის შემდეგაც ირღვევა ეკოლოგიური სისტემის ნორმალური განვითარება და შენარჩუნებულია ეკოლოგიური წონასწორობა, გვეჩვენება, რომ ეკონომიკური განვითარება ეფექტურია, რადგანაც ეფექტურობის საზომი არის წარმოების დანახარჯები. როდესაც წარმოების დანახარჯები ნაკლებია, ეფექტურობა მაღალია, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ჩვენ არ ვიწუხებთ თავს და არ ვხარჯავთ ფინანსებს გამწმენდი საშუალებების შექმნაზე, ნარჩენების უტილიზაციაზე, გარემოსდაცვით ღონისძიებებზე. როცა არ ხდება დახარჯული ბუნებრივი რესურსების შევსება, მაშინ გარდაუვალია ეკონომიკის ჩამოშლა. როცა ეკონომიკური ზარალი გარემოს გატყუყვანებით უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური ეფექტიანობა, მაშინ ეკონომიკა არის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ჩვენი სამეურნეო რესურსების უმეტესობა მიმართულია იქითკენ, რომ მოვეხმართ ბუნებას რესურსების ადღგენაში, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ზუსტი ეკონომიკურ-ეკოლოგიური გაანგარიშებები.

მიწა (ნიადაგი) სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით არის დედამიწის ქერქის პერიფერიული ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობას სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებით. მიწა არის სიცოცხლის საფუძველი. შეუძლებელია სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარება ნიადაგის გარეშე. მიწა, როგორც ფართობი, ესაჭიროება ქალაქთმშენებლობას, სამრეწველო ობიექტების, სარკინიგზო და საავტომობილო ტრასების, აეროდრომების და სხვათა მშენებლობას, რა დროსაც ნიადაგის ნაყოფიერებას ყურადღება არ ექცევა, ხოლო სოფლის მეურნეობისათვის ნაყოფიერი ნიადაგი წარმოების ძირითად საშუალებას და შრომის საგანს წარმოადგენს.

მიწის ფართობის გადიდება შეუძლებელია, სამწუხაროდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობები სულ უფრო და უფრო მცირდება მათი საამშენებლო, საგზაო და სხვა მიზნებისათვის გამოყენების გამო. გარდა ამისა, სახნავე მიწების ფართობები მცირდება ეროზიის, დამლაშების, გაუდაბნოების და ა.შ. შედეგად. ბოლო ასი წლის განმავლობაში პლანეტის სახნავი

მიწების 27% განადგურებულია, ე.ი. დაახლოებით 2 მილიარდ ჰა-ზე მეტი. იმაზე მეტი ვიდრე დღეს არის დამუშავებული.

ამავე დროს, მოსახლეობა იზრდება. ექსპერტთა გაანგარიშებით, თითოეულ ადამიანს საცხოვრებლად ესაჭიროება დაახლოებით 0,1 ჰა მიწის ფართობი. თუ ვიანგარიშებთ, რომ ყოველ წელიწადს პლანეტის მოსახლეობა იზრდება 100 000 000 ადამიანით, მაშინ საჭირო იქნება 10 მლნ ჰექტარი მიწის დამატებით დამუშავება, რაც ფიზიკურად შეუძლებელია.

მიწა კაცობრიობის უძვირფასესი მონაპოვარია. მას, ისე, როგორც პლანეტის სხვა ბუნებრივ რესურსს, გაფრთხილება სჭირდება. კაცობრიობას მხოლოდ ერთი დედამიწა აქვს და სხვა არც არსებობს და არც იქნება.

ბიოსფეროს რესურსები კაცობრიობას უზრუნველყოფს სივრცით, სურსათით, ენერჯით და ა.შ. ტრადიციული რესურსი – „სივრცე“, როგორც ადამიანის საცხოვრებელი, გამოიყენება სამი ასპექტით:

1. როგორც რესურსების წყარო მრეწველობის განვითარებისათვის;
2. როგორც სივრცითი ბაზისი მოსახლეობის დასახლებისა და მრეწველობის განვითარებისათვის;
3. როგორც ეკოლოგიური წონასწორობის განვითარების სისტემა ყოველგვარი ცოცხალის განსავითარებლად. ის, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის აღწარმოებას.

ამიტომ არის, რომ სივრცეს, როგორც ბუნებრივ რესურსს, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. არ უნდა გადავტვირთოთ სივრცე სამეურნეო საქმიანობით, რათა არ შევაფერხოთ ბიოსფეროს თვითადგენის შესაძლებლობა (მაგ., თუ საჭიროება მოითხოვს სამრეწველო ობიექტის გახსნას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამას მოჰყვება ობიექტის მომსახურე პერსონალის დასახლების ადგილის გამოყოფაც, ამიტომ, საჭიროა, წინასწარ იქნეს შესწავლილ აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ფართობის სივრცითი შესაძლებლობა ისე, რომ არ შეიზღუდოს ადგილის ბიოსფეროს თვითგანახლების უნარი. მაგ., ვაკე-საბურთალოს რაიონის ბინათმშენებლობის ორგანიზაციები ბორატად იყენებენ ვაკე-საბურთალოს რაიონის სივრცით რესურსებს. მშენებლობა მიდის სივრცითი რესურსების შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე, შენობები ისე ახლოს არის ერთმანეთთან, რომ ხანძრის შემთხვევაში სახანძრო მანქანა ვერ მიადგვს ობიექტამდე, მაგ., ატენის ქუჩა).

დღეისათვის არ დგას საკითხი – ან ეკონომიკური ზრდა, ან ბუნების დაცვა. მეტად მკაფიოდ დგას საკითხი, რომ ეკონომიკური ზრდის საფუძველი უნდა იყოს ზუსტი ეკონომიკურ-ეკოლოგიური გაანგარიშება, კაცობრიობის მდგრადი განვითარების სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

ამიტომ, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუცია კიდევ უფრო აფართოებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროს და საშუალებას გვაძლევს, გამოვაგლინოთ ბუნებრივი რესურსების ახალ-ახალი სახეობები.

რაციონალური ბუნებათსარგებლობა წარმოუდგენელია ეკონომიკის ზრდის გარეშე. იმისათვის, რომ ბუნებაზე უარყოფითი ზეგავლენა შევწყვიტოთ და, პირიქით, გავაუმჯობესოთ გარემოს დაცვა, საჭიროა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალი, ძლიერი ტექნიკა რესურსდამზოგი ტექნოლოგიებით და ა.შ., რომ შეიქმნას ბუნებისდაცვითი საშუალებები, საჭიროა ძლიერი ეკონომიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, 1986.
2. Советский энциклопедический словарь, 1979.
3. <https://ka.wikipedia.org/wiki/ბუნებრივი-რესურსები>.

თინა ჩხეიძე

სმმდ, პროფესორი

**ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის
საკითხები
ანოტაცია**

ბუნებრივი რესურსები არის ბუნების ელემენტები, ობიექტები და მოვლენები, რომლებიც გამოიყენება სამურნეო საქმიანობაში საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ხელს უწყობს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ამავე დროს, ბიოსფეროს თვითგანვითარებისა და განახლების შესაძლებლობებს საზღვარი გააჩნია, რომლის დარღვევა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით. გამომდინარე იქიდან, რომ მისი დარღვევა საშიშია მთელი კაცობრიობისათვის, საჭიროა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, რათა არ დაირღვეს ბალანსი ბიოსფეროს კომპონენტებს შორის.

ბოლო დროს უფრო ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი ხმები იმის შესახებ, რომ კაცობრიობას დიდხანს აღარ ეყოფა ბუნებრივი რესურსები და ზოგიერთი სახეობა ამოწურვის საშიშროების ქვეშაა კი არის, ხოლო მათი შევსება ან განახლება შეუძლებელია.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია.

Tina Chkheidze

Professor

**ON THE PROBLEM OF USE AND PROTECTION
OF NATURAL RESOURCES
Annotation**

Natural resources are natural elements, subjects and phenomena used in economic activity to meet material and cultural requirements of society. It favours the reproduction of labor resources and the increase of standard of life. At the same time the possibilities of self development and renewal of biosphere are limited, the destroy of which is caused by various reasons and is dangerous for humanity as a whole. Therefore it an optimal use of natural resources is necessary not to distort the balance among the components of biosphere.

Last time are often heard preventive voices that humanity will soon be short of natural resources some kinds of which are nearly exhausted and their renewal or replenishment is impossitble. Rational use and protection of natural resources is particular concern of humanity.

მაკროეკონომიკა

მარინე ცუცქირიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკური მახასიათებლების პროგნოზირების ძირითადი ასპექტები

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკის განვითარება ძირეულად უკავშირდება მისი საწარმოო და მომსახურების სისტემის ორგანიზაციის გაუმჯობესებას. იგი ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი საქმიანობის გაფართოებისათვის აუცილებელ საფუძველსაც წარმოადგენს. ამით ის ფირმათა საბაზრო სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ამდენად იგი ძირითადად უკავშირდება ბიზნესის განვითარებისათვის მიზანშეწონილი სტრატეგიის შემუშავებასა და მისი ეკონომიკაში გატარებისათვის საჭირო საფუძვლის შექმნას. ის დამოკიდებულია წარმოებისა და მომსახურების სისტემის ფუნქციონირების, მისი საბოლოო შედეგების ამსახველი მახასიათებლების ზრდის საპროგნოზო ტემპების სიზუსტესა და მათი პროგნოზირების მეთოდის საიმედოობაზე. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლებელ და ეკონომიკური ზრდის მახასიათებელთა დასადგენად არსებულ მეთოდებს შორის ძირითადს საწარმოო ფუნქციონირების საპროგნოზო მოდელები წარმოადგენს.

პროგნოზირებაში საწარმოო ფუნქციის მეთოდის გამოყენება, ეკონომიკური განვითარების, წარმოებისა და შემოსავლების ზრდის ტემპებისა და მათი მერყეობის პროცესების ასახვისათვის საჭირო, მთავარ ასპექტს წარმოადგენს. ამას ისიც განაპირობებს, რომ საწარმოო ფუნქციის მოდელით შეიძლება გამოისახოს წარმოების ზრდასა და განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების – დანახარჯებისა და საწარმოო სისტემის საბოლოო შედეგების ურთიერთთანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება, რაც გლობალიზაციის პროცესის უშუალო შედეგად და მის ერთ-ერთ საფუძვლად გვევლინება. გლობალური საბაზრო გარდაქმნებისა და მისი შედეგების გავლენა ეკონომიკური ზრდისა და ასევე სოციალური განვითარების ტემპებზე, მისი გათვალისწინება საპროგნოზო მახასიათებლების სიდიდეთა დადგენის დროს, პროგნოზირების თანამედროვე და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ამრიგად პროგნოზირება საწარმოო ფუნქციის მეთოდით ძირითადად დამოკიდებულია: 1. ეკონომიკის საწარმოო სისტემის ფუნქციონირების პროცესში მიღწეული წარმოების ძირითადი შედეგების ამსახველ მაჩვენებელთა და მათი ზრდის ტემპების დროითი დინამიკის არსებობაზე; 2. წარმოების შედეგების წარმომქმნელი საწარმოო და რესურსულ ფაქტორთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების რაციონალურობაზე; 3. ეკონომიკური ზრდის შემფასებელ მახასიათებელთა ტრაექტორიის ოპტიმალურობაზე; 4. ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მიზნებისა და რესურსების დროის პერიოდების მიხედვით ურთიერთშესაბამისობაზე; 5. წარმოების, ბიზნესისა და საბაზრო ურთიერთკავშირების განვითარების სტრატეგიათა საიმედოობასა და მის მიზანდასახულობაზე; 6. ეკონომიკური სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, ძირითად საწარმოო ფაქტორებს შორის მიღწეულ, ურთიერთთანაფარდობათა ოპტიმალურობის დასაბუთებულობაზე; 7. ძირითადი საწარმოო ფაქტორის (კაპიტალისა და დასაქმების) საბაზრო მოხმარების პროცესზე, მაკროეკონომიკურ სისტემაში დროის პერიოდებში მიღწეულ, მათი საბაზრო წონასწორობის დონეთა მიზანშეწონილობაზე.

ეკონომიკურ სისტემაში წარმოების ძირითადი შედეგები დროის პერიოდებთან შესაბამისად აისახება. ამის საფუძველად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბოლოო პროდუქტის და საწარმოო ფაქტორების მახასიათებელთა დროში ურთიერთთანაფარდობის გამომხატველი ეკონომეტრიკული ფუნქცია. მათი ზრდის ტემპების დინამიკა ან აბსოლუტურ მანვენებელთა დროითი ნაზრდი მიანიშნებს მათთან ურთიერთშესაბამისობაში მყოფ მახასიათებელთა გაზრდის შესაძლებლობაზე. ამდენად, საწარმოო ფუნქციის მოდელი შეიძლება შეიცავდეს როგორც შემთხვევით, ასევე დეტერმინირებულ, ანუ მრავალ ფაქტორთა საშუალებით ასახულ მახასიათებლებს. იგი ახასიათებს იმ ძირითად რაოდენობრივ ურთიერთდამოკიდებულებას წარმოებაში გამოყენებულ ფაქტორებსა და მის საბოლოო შედეგს – პროდუქციას შორის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მათ მახასიათებელთა დროითი დინამიკა საპროგნოზო პერიოდებისათვის.

როგორც ცნობილია, საწარმოო ფუნქციით შეიძლება გამოისახოს წარმოებაში გამოყენებული რესურსების და საბოლოო პროდუქტის რაოდენობათა შორის ურთიერთდამოკიდებულება, რაც დროის ყოველი პერიოდისათვის შესაბამისი მოდელით შეიძლება იქნეს დახასიათებული. საწარმოო ფუნქციის მოდელის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი საწარმოო ფაქტორების მახასიათებლები. ისინი დროის სხვადასხვა პერიოდებისათვის ურთიერთგანსხვავებული სიდიდეებით აისახება. აღნიშნული მოდელის გამოყენება მიზანშეწონილია ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების მიზნით, ასევე შესაძლებელია მისი ძირითადი საპროგნოზო მახასიათებლები პროფ. გ. პაპავას ეკონომიკურ მანვენებელთა ანალიზურ-შემფასებელი სისტემის აგებისა და დეტერმინირებული მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდით იქნეს დადგენილი.

ამ მიმართულებით ეკონომიკური სისტემის საბოლოო შედეგების პროგნოზირების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს:

1. მრავალფაქტორიან შეფასებათა საფუძველზე დროის სხვადასხვა პერიოდების საპროგნოზო მახასიათებელთა შედარებითი ანალიზი;
2. საწარმოო ფუნქციის ორფაქტორიანი დეტერმინირებული მოდელებით მათი პროგნოზირება;
3. ეკონომიკური ზრდის პროცესების პროგნოზირება ანალიზური და კომბინირებული ფუნქციების მოდელების საშუალებით.

ამავე ასპექტებს მჭიდროდ უკავშირდება ბიზნესის ორგანიზაციულ სისტემაში არსებული წარმოებისა და მომსახურების დარგების ფუნქციონირების საბოლოო შედეგების პროგნოზირება. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგრესიული ანალიზის მოდელების საფუძველზე მის მახასიათებელთა ძირითადი საპროგნოზო შეფასების დადგენას. ამასთან ერთად, ეკონომიკის, ასევე ბიზნესის მმართველობითი სისტემის საშუალებით, შრომის პროცესების ტექნიკურ უზრუნველყოფასა და დასაქმების პროცესების წარმართვის მიზნით, მოხმარებული კაპიტალის ზრდის ტემპების პროგნოზირებაცაა შესაძლებელი, ამ ფაქტორის დანახარჯების დროში განაწილების, ანუ ლაგების ფუნქციის საფუძველზე. პროგნოზირების აღნიშნულ ასპექტებს შორის მნიშვნელოვანი სიზუსტისა და საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ეკონომიკურ სისტემათა საბოლოო შედეგების პროგნოზირება საწარმოო ფუნქციის მოდელით. ხოლო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავება უკავშირდება სტრატეგიულ დაგეგმვაში გამოყენებულ პროფიტ მოდელის ძირითადი მახასიათებლების ანალიზს. ის ფირმათა ფუნქციონირების პროცესების და მათ შედეგების სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებს შორის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

რეფორმირებული ეკონომიკური სისტემების განვითარებაზე, აგრეთვე პროდუქციისა და მომსახურების მოცულობათა მაჩვენებლების ზრდის ტემპებზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზირების მოდელით ასახვის მნიშვნელოვან საფუძველს საწარმოო ფუნქციათა აგების მეთოდი წარმოადგენს. იგი რაციონალურია მაშინ, როდესაც ძირითადი საწარმოო ან სხვა ფაქტორების მოქმედების არეთა, ასევე წარმოების მასშტაბის მოსალოდნელი ცვლილებანი შესაძლებელი ხდება და განპირობებულია ძირითადი ფაქტორების (დასაქმებისა და კაპიტალის) საბაზრო მიწოდებისა და მომხმარების სიდიდეთა შორის არსებული ურთიერთშესაბამისობით.

თანამედროვე საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გავლენით საწარმოო და მომსახურების სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირება ხასიათდება მისი საბოლოო შედეგებისა და მათი განმაპირობებელი ფაქტორების მახასიათებლებს შორის არსებული ურთიერთთანაფარდობით. მისი პროგნოზირების მიზანს წარმოადგენს წარმოების მასშტაბისა და მისი ეფექტის შეცვლით გამოწვეული საბოლოო შედეგების მაჩვენებელთა დინამიკისა და ზრდის ტემპების მახასიათებლების დადგენა. ამ გზით კი – ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების შემუშავება. ამისათვის აუცილებელია საწარმოო ფუნქციის აგების ცნობილ მეთოდებზე დაყრდნობით, მთლიანი შემოსავლების ზრდის ან მისი შემადგენელი მახასიათებლების დროში მატების და მერყეობის დადგენა სტრატეგიულ პერიოდებთან ურთიერთშესაბამისად.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების შემუშავება და საწარმოო ფუნქციის აგების ცნობილ მეთოდებზე დაყრდნობით მთლიანი შემოსავლების ზრდის, ან მისი შემადგენელი მახასიათებლების დროში მატების და მერყეობის დადგენა დროის პერიოდებთან შესაბამისობაში, ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების წინაპირობას წარმოადგენს.

ეკონომიკური სისტემების განვითარების მახასიათებლების, ასევე წარმოების ზრდის ტემპების პროგნოზირების მიზანს წარმოადგენს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის არსებული ურთიერთთანაფარდობის დადგენა. იგი დროის პერიოდებთან ურთიერთშესაბამისობაში მყოფი მაჩვენებლების მიხედვითაა შესაძლებელი. ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა კი დროის პერიოდებისათვის, შეიძლება ასახული იქნეს მის მმართველობით ელემენტებს შორის არსებული სქემური და ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულების გზით.

ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემაში არსებული ძირითადი საწარმოო ფაქტორების ურთიერთკავშირი დარგობრივი, საბაზრო და ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელ ფაქტორებთან. ამათგან მთავარს ძირითადი საწარმოო ფაქტორების მახასიათებლები წარმოადგენს. მათი ზრდის ტემპები დამოკიდებულია საწარმოო რესურსების, დასაქმებულთა და ინვესტიციების მოცულობათა მაჩვენებლებზე. მათ სიდიდეზე გავლენით გამოირჩევა ბუნებრივი და შემოზიდული რესურსების საბაზრო ელემენტები, წარმოებისა და მომსახურების, საბაზრო გარემოს რეგულირების საშუალებანი. დარგობრივი საბაზრო ფაქტორის გავლენა ეკონომიკური სისტემის საბოლოო შედეგებზე გამოისახება დარგობრივი დანახარჯების შემცირების, პროდუქციისა და რესურსებზე საბაზრო ფასების ზრდის მახასიათებლებით. მათზე გავლენას ახდენს აგრეთვე კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები, რომლის რეგულირება მმართველობითი სისტემის ფუნქციონალური ელემენტების მიზანს წარმოადგენს. აღნიშნული ურთიერთკავშირის შეფასების მიზნით პროგნოზირების მეთოდოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ანალიზური, საპროგნოზო და მიზნობრივი მაჩვენებლები, რომელთაც დროის პერიოდებთან ურთიერთშესაბამისობაში გამოსახვა შეიძლება საშუალო

წლიური, ან ინტეგრალური მახასიათებლებით. მათი საპროგნოზო შეფასებით ფაქტობრივად მიიღება დროის სტრატეგიული პერიოდების მანქვენებლები. მათი საშუალებით ხორციელდება აგრეთვე წარმოების საბოლოო შედეგების და საბაზრო ფასების, ასევე წარმოების ფაქტორების საბაზრო მოხმარებაზე დანახარჯების მანქვენებლების გამოსახვა დროის საშუალო და ხანგრძლივი პერიოდებისათვის.

ამ ასპექტის მიხედვით, საწარმოო ფუნქციის მოდელის საფუძველზე დადგენილი პარამეტრებისა და მახასიათებლების საპროგნოზო შეფასების ერთ-ერთ საფუძველს შესაძლებელია წარმოადგენდეს საწარმოო ფაქტორების, რესურსების და შრომის დანახარჯების ნორმებიდან მათი ფაქტობრივი მახასიათებლების დროის პერიოდთან ურთიერთშესაბამისად არსებული მოსალოდნელი გადახრები. იგი საშუალებას იძლევა ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ფაქტორთა შორის არსებული მრავალფაქტორიანი ურთიერთკავშირის ამსახველ მახასიათებელთა შედარებითი ანალიზის განხორციელებისათვის.

ეკონომიკური განვითარების მანქვენებლების პროგნოზირება და სოციალური განვითარების შესაბამის პარამეტრებზე მათი გავლენის შეფასება შესაძლებელია საწარმოო ფუნქციის მაკროეკონომიკური მოდელის საფუძველზე. ძირითადი ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და მანქვენებლებს შორის შეიძლება გაანალიზდეს მისი შემდეგი ელემენტების მიხედვით: 1. საწარმოო ფაქტორების მახასიათებლებით, რომლებიც $f(x_i(t))$ ფუნქციის კომპონენტებს წარმოადგენენ; 2. მაკროეკონომიკურ მანქვენებელთა საპროგნოზო ტემპების დადგენით, რომლის საფუძველად მიზანშეწონილია ფაქტორების შეფასებათა $x^0(t), x^1(t), A_x(t)$ და $\Delta x(t)$ -ს და მათი შესაბამისი მახასიათებლების წარმოების სტაბილური დონიდან გადახრათა $\Delta y_i(t)$ და ასევე $A(t)$ შეფასების გამოყენება. 3. მაკროეკონომიკურ მანქვენებელთა მნიშვნელობიდან დროში მოსალოდნელ გადახრებზე საწარმოო და საბაზრო ფაქტორების გავლენის გათვალისწინება, რაც შრომატევადობისა და კაპიტალტევადობის კოეფიციენტებით აისახება.

პროგნოზირების ამ ასპექტებთან დაკავშირებული ერთ-ერთი საშუალებათაგანია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების შეფასება. ასეთი პირობით მაკროეკონომიკური განვითარება აისახება $f(x_i(t))$ ფუნქციითა სიმრავლეზე, მისი მანქვენებლების დეტერმინირებული სისტემის $y_i(t)$ -ს (სადაც $i = 1, 2, \dots, n, i \in I$) საშუალებით:

$$|Y(t)| = \{f_i(x, p, t)\} \quad (1)$$

ამ ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე შესაძლებელია მაკროეკონომიკური განვითარების პროგნოზირება. იგი ძირითადად ემყარება მაკროეკონომიკურ მანქვენებელთა მნიშვნელობების $Y(t) = [y_1(t), y_2(t), \dots, y_n(t)]$ დადგენას დროის t_1, t_2, \dots, t_n პერიოდებისათვის. ამისათვის მიზანშეწონილია x_{it} ფაქტორების $x^0(t)$ და $x^1(t)$ მნიშვნელობათა საშუალებით განხორციელებული დეტერმინირებული შეფასების $\Delta x(t)$ -სა და $y(t)$ მანქვენების დადგენა, $y^0(t)$ და $y^1(t)$ მახასიათებლებით განსაზღვრული, $\Delta y(t)$ შეფასების საფუძველზე. მათ შორის არსებული ურთიერთკავშირი დროის t პერიოდისათვის წარმოადგენს $Y(t) = f_i(x_{1t}, x_{2t}, \dots, x_{nt})$ საწარმოო ფაქტორებისა და მაკროსისტემის საბოლოო

შედგის ამსახველი მაჩვენებლების საპროგნოზო ტემპების დასადგენ დამოკიდებულებას.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების ოპტიმალური ურთიერთანაფარდობის გამოსახვის მიზნით, ასევე საბაზრო პროცესების გასათვალისწინებლად აუცილებელია ფასების დეტერმინირებული შეფასების $\Delta p(t)$ -ს დადგენა მის $p^0(t)$ და $p^1(t)$ მნიშვნელობათა გზით. იგი შემდეგის საფუძველზეა შესაძლებელი:

$$p(t) = f_2(p_1(t), p_2(t), \dots, p_n(t))$$

$p_i(t)$ ფასების მახასიათებელია. იგი მიანიშნებს $y(t)$ -ით ან $x_i(t)$ ფაქტორების საფუძველზე ასახული ეკონომიკური სიდიდეების საბაზრო ფასების ზრდაზე დროის t პერიოდისათვის.

ეკონომიკური განვითარებით მიღწეული სოციალური ეფექტის მაჩვენებელთა პროგნოზირების წინაპირობას წარმოადგენს მაკროსისტემის ეფექტიანობის მახასიათებლების შეფასება. ამისათვის აუცილებელია სოციალური განვითარების მახასიათებელთა და მათზე მოქმედი ფაქტორების შეფასება შემდეგი საშუალებით:

$$A(x_t) = f_3(A(x_{1t}), A(x_{2t}), \dots, A(x_{nt}))$$

სადაც, $A(x_t) = f\{A_1(x_{1t}), A_2(x_{2t}), \dots, A_n(x_{nt})\}$ მნიშვნელობები დროის t პერიოდისათვის i -ური საწარმო ფაქტორის საფუძველზე მიღწეული სოციალური ეფექტის მაჩვენებლებია, ე. ი. $|A(x(t))| = \{A_i(x_i(t))\}$.

ზოგადად, როგორც საწარმო, ასევე მასთან ურთიერთკავშირში მყოფი სოციალური სისტემების განვითარების პროცესების პროგნოზირება ამ ასპექტებთან შესაბამისობაშია შესაძლებელი. ასეთი მაკროსისტემის ფუნქციონირების მოდელის ელემენტების დადგენა ხორციელდება შემდეგის საფუძველზე

$$y(t) = \lambda_0 e^{\lambda_1 t} x_i(t)^{\lambda_2} \quad (2)$$

λ_0 პარამეტრის, λ_1 და λ_2 კოეფიციენტების შეფასება (1)-ის საფუძველზე და $x_i(t)$ საწარმო ფაქტორებით შეიძლება დადგინდეს. ამით ხორციელდება $y(t)$ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობათა და ზრდის ტემპების დროის პერიოდებთან შესაბამისობაში ასახვა. ფაქტორების $-\Delta x_i(t)$ და მაჩვენებლის $\Delta y(t)$ დეტერმინირებული შეფასების $\Delta x_i(t)$ და $\Delta y_i(t)$ -ს საშუალებით, ორი და სამი ფაქტორის პირობებში მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობა დროის t პერიოდისათვის შემდეგი დამოკიდებულებით გამოისახება:

$$y_t = \lambda_0^2 e^{\lambda_1 t} x_{1t}^{\lambda_2} x_{2t}^{1-\lambda_2}, \quad y_t = \alpha_0 x_{1t}^{1-\lambda_1} x_{2t}^{n-\lambda_2} x_{3t}^{k-\lambda_3}$$

ამ მეთოდით განხორციელებული ანალიზის შედეგად განისაზღვრება საწარმო ფაქტორებს შორის არსებული წრფივი დამოკიდებულება, რომლის პირობებში მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპების პროგნოზირება შეიძლება განტოლების საფუძველზე:

$$\ln \Delta y_t = 2 \ln \lambda_0 + \lambda_1 t + \ln \Delta x_{1t} + (1 - \lambda_2) \ln \Delta x_{2t} + e_t$$

იგი წარმოადგენს ძირითადი საწარმო ფაქტორების ეფექტიანობის მახასიათებლებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპების დასადგენად საჭირო საფუძველს.

საბაზრო პროცესებისა და ფასების ზრდის გავლენა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობაზე შეიძლება აისახოს $P(t)$ -ს საშუალებით. მისი გათვალისწინების მიზნით დროის მოცემული t პერიოდისათვის საშუალო ფასების მაჩვენებლის მნიშვნელობიდან საბაზისო P_t^0 და ფაქტობრივი P_t^1 ფასების გადახრები და მათი ΔP_t შეფასება განისაზღვრება, ამით მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთან შესაბამისობაში – ფასების P_t -ს მნიშვნელობა – დამოკიდებულებიდან:

$$P_t = \alpha_i P_t^0 + \lambda_i P_t^1 \text{ და } \Delta P_t = (1 + \lambda_i) \sum_{i \in I} (P_{it}^1 - \alpha_i P_{it}^0)$$

სადაც $\lambda_i P_{it}^0$ არის i -ური მაჩვენებლის ფასების საწყისი, ანუ საბაზისო მნიშვნელობა, $\lambda_i P_{it}^1$ იმავე მაჩვენებლის ფასების საბოლოო, ანუ ფაქტიური სიდიდეა, α_i – ფასების საშუალო მნიშვნელობათა, ხოლო λ_i – ფასების ზრდის სიდიდეებია, რომლითაც ინფლაციის საპროგნოზო შეფასებაც შეიძლება დროის t პერიოდებისათვის. ΔP_t – მათი დეტერმინირებული შეფასებაა, რომელიც დროის t პერიოდში ფასების საშუალო მნიშვნელობიდან მისი ფაქტობრივი სიდიდის გადახრის ტოლია.

მაკროეკონომიკური განვითარების პროცესში წარმოების საბოლოო შედეგებისა და მათი სოციალური ეფექტიანობის ზრდა ურთიერთშებრუნებული მაკროპროცესების საფუძველზე აისახება. მისი მაჩვენებლების საპროგნოზო შეფასება ხორციელდება განტოლებით:

$$\Delta Y_t = \sum_{i \in I} A_i (\Delta x_i(t))$$

$$A(\Delta x_i(t)) = \sum_{i \in I} \alpha_i \Delta y_i(t), \text{ რომელიც მაკროსისტემაში ძირითადი საწარმოო}$$

ფაქტორების გამოყენების (1) და (2) დამოკიდებულებასთან ერთად, მისი განვითარების მიმართულებათა დასადგენად საჭირო საფუძველს წარმოადგენს. იგი მაკროეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ერთ-ერთი საშუალებაა.

საპროგნოზო ცდომილება e_t განისაზღვრება აღნიშნულ მახასიათებელთა საპროგნოზო და ფაქტობრივ სიდიდეთა თანაფარდობის საშუალებით:

$$e_t = \frac{\sqrt{\sum_{i=1}^n (\Delta y_{it}^1 - \Delta y_{it}^0)^2}}{\sqrt{\sum_{i=1}^n (\Delta y_{it}^1)^2}}$$

ეკონომიკურ მახასიათებელთა პროგნოზირების აღნიშნული ასპექტებით შესაძლებელია მაკროეკონომიკური საწარმოო ფუნქციის მაჩვენებლებისა და მათი მნიშვნელობაზე მოქმედი ფაქტორების საპროგნოზო შეფასების დადგენა. ასევე შეიძლება სოციალური ფაქტორების საწარმოო ფაქტორებთან ურთიერთკავშირის გამოსახვა, რაც მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდის საფუძველზეა მიზანშეწონილი.

სოციალური განვითარების ფაქტორების, კერძოდ დასაქმების, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის თანაფარდობის გავლენა ეკონომიკურ მახასიათებელთა ზრდის ტემპებზე და მისი პროგნოზირება წარმოადგენს საფუძველს:

- მაკროეკონომიკური განვითარების საშუალებად გამოყენებული წარმოებისა და მომსახურების სისტემის გაფართოებისათვის აუცილებელი სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისათვის;
- ეკონომიკური განვითარების მახვენებლებზე სოციალური ფაქტორების გავლენის, სოციალური განვითარების მიზნისა და მის მისაღწევად საჭირო ფინანსური და სხვა რესურსების შეფასებისათვის;
- მაკროეკონომიკური განვითარების საპროგნოზო ტემპების დადგენისა და მისი პერსპექტიული მიმართულებების შემუშავებისათვის ეკონომიკის საბაზრო ელემენტებთან მისი ურთიერთკავშირის პირობებში.

საბაზრო ურთიერთობების ვითარებაში მაკროეკონომიკური განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად აუცილებელი საწარმოო ფაქტორების, საწარმოო და საბაზრო სისტემის ფუნქციონირების შესაძლებლობათა ეფექტიანად გამოყენება. იგი რეფორმის პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., თეთრაული ც., მაკროეკონომიკურ მახვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
2. ანანიაშვილი ი. პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასების შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
3. Берулава Г. экономическая оценка влияния внутренних и внешних факторов на конкурентоспособность фирмы в странах переходной экономики, сборник научных трудов, том I, Тбилиси, издательство института экономики им. Паата Гугушвили, 2008.
4. პაპავა ვლ. ეკონომიკური ზრდის მახვენებელთა სივრცობრივი შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. V, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.
5. Папава Г. Роль генетических мультиоператоров в формировании экономик на примере промышленной фирмы, сборник научных трудов, т. I, Тбилиси, издательство института экономики им. Паата Гугушвили, 2008.
6. ჩხეიძე თ., სასურსათო უსაფრთხოება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
7. ცუცქირიძე მ., მაკროეკონომიკური განვითარების პროგნოზირების საკითხისათვის, სამეცნიერო შრომების კრებული, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, ტ. II, თბილისი, „მეცნიერება“, 2002.

მარინე ცუცქირიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკური მახასიათებლების პროგნოზირების ძირითადი ასპექტები
ანოტაცია

სტატიაში განხილულია საწარმოო ფაქტორებისა და იმ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ურთიერთანაფარდობის ანალიზისა და პროგნოზირების ძირითადი ასპექტები, რომლებიც გამოიყენება შემდგომი მაკროეკონომიკური განვითარებისათვის. გამოკვლეულია ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობანი საწარმოო ფუნქციისა და მრავალფაქტორიანი მოდელის ძირითად განტოლებათა საფუძველზე. გადმოცემულია ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ანალიზისა და მათი მაკროეკონომიკური განვითარების პროგნოზირებაში გამოყენების ზოგადი საკითხები.

Marine Tsutskiridze
Doctor of Economics

THE MAIN ASPECTS OF FORECASTING OF THE ECONOMIC INDICATORS
Annotation

The article deals with the analysis and forecasting aspects of relations between factors of production and macroeconomic indicators used as the basis for macroeconomic development, are investigated economic development possibilities on the basis of principle equation of productive functions and linear multifactor models. There are also given general problems of economic and social factors analysis and macroeconomic development forecasting.

მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

ლევან სილაგაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბენეფისის ასაქმტები

თანამედროვე ეტაპზე პირდაპირი ინვესტიციების გლობალური ნაკადები დიდმნიშვნელოვანია და ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს მისგან სარგებლის მიღებას, მათ შორის განვითარებადი ქვეყნები. ამ უკანასკნელში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შედინება, ექვსწლიანი ზრდის ციკლის შემდეგ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს (2009) 21,4%-ით (წინა წელთან შედარებით) - 532,6 მლრდ აშშ დოლარამდე დაეცა. ამასთან, 2013 წელს განვითარებადი ქვეყნებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მსოფლიო ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 53,6% შეადგინა¹⁵.

გამოყოფენ გადინებად (კონკრეტული ქვეყნის სუბიექტების მიერ უცხოეთში განხორციელებული) და შედინებად (პუი, უცხოელი ინვესტორების მიერ კონკრეტულ ქვეყანაში განხორციელებული) FDI-ს. მათ შორის თანაფარდობა ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მაჩვენებელია. მაგალითად, თუ ქვეყანა ნეტო-ექსპორტიორია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნიდან გადინებული პირდაპირი ინვესტიციის ჯამური მაჩვენებელი აღემატება ამ ქვეყანაში შედინებულ პირდაპირ ინვესტიციას.

სპეციალისტთა უმრავლესობა FDI-ს მიმღებ ქვეყნებში დადებითად აფასებს, რამდენადაც მათი მიზნობრივი გამოყენება დამატებითი სტიმულია პროდუქტიულობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის. მსოფლიო პრაქტიკამ ასევე იცის „რამიზნობრივი ინვესტიციების“ ნეგატიური შედეგებიც, რაც აისახება სამამულო მწარმოებლების შეზღუდვაში, ეროვნული რესურსების აუმოქმედებლობაში, ზემოგებების ქვეყნის გარეთ გატანაში და სხვ.

ამჯერად მოკლედ განვიხილავთ FDI-ის ზოგიერთ თეორიულ კონცეფციას. მათი ჩამოყალიბება უკავშირდება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს, განვითარებადი ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის გადრმავებას.

კლასიკური კონცეფციების მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალაა. მეცნიერებაში დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივების კვლევა¹⁶. ქვეყნების უმრავლესობა დაინტერესებულია I-ის მოზიდვით და მათგან არაპირდაპირი თუ პირდაპირი სარგებლის მიღებით. ამ ინვესტიციებმა შეიძლება ნეგატიურადაც იმოქმედოს მიმღებ ქვეყანაზე, კერძოდ, შეზღუდოს სამამულო მწარმოებლები, გააუარესოს მიმღები ქვეყნის სავაჭრო ბალანსი და სხვ. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობისადმი მიდგომებში ბევრი რამ შეიცვალა, რომლებიც კლასიკური თეორიებიდან აღარ გამოდინარეობს.

ნეოკლასიკური თეორია განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიის ჩარჩოებში. ამ თვალსაზრისით, მისი ერთ-ერთი საფუძველია დ. რიკარდოს (1772-1823) შედარებითი უპირატესობის პრინციპი საერთაშორისო

¹⁵ http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2014_en.pdf

¹⁶ <http://www.zavtrassessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1965>

ვაჭრობაში¹⁷. მასზე დაყრდნობით ბრიტანელმა ჯ. ს. მილმა მე-19 საუკუნეში ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის საკითხები დაამუშავა¹⁸.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მოდელი ასევე ჩამოაყალიბეს ე. ჰეკშერმა, ბ. ოლინმა, პ. ნურსემ და კ. ივერსენმა. შვედი ეკონომისტის ელი ჰეკშერის (1899-1979)¹⁹ კონცეფციით, საერთაშორისო ვაჭრობით წარმოების ფაქტორებზე საერთაშორისო ფასები გაწონასწორდება. ნობელიანტი (1977) შვედი ეკონომისტის ბ. ოლინის (1899 – 1979) მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობას განაპირობებს ქვეყნებს შორის „განსხვავებული შემოსავლის მქონე ფაქტორები“, რომლებიც განსხვავებულ დანახარჯებსაც განაპირობებს²⁰. ჰეკშერ-ოლინის მოდელის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჭარბი რესურსის შედარებითი უპირატესობის მქონე ქვეყანა ამ რესურსით წარმოებული საქონლის ექსპორტს ახდენს. პარალელურად, ასეთი ქვეყნები მიმართავენ იმ საქონლის იმპორტს, რომლის წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია.

ესტონური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტის რაგნარ ნურსეს (Ragnar Nurkse: 1907-1959) „სიღარიბის მოხადოებული წრის“ კონცეფციის მიხედვით, ღარიბი ქვეყნები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ სიღარიბის დაძლევას, რამდენადაც მცირე შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს წარმოების ინვესტირებას და გამოსავალი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას²¹.

თავის დროზე კ. მარქსი ქვეყნიდან კაპიტალის გატანის მიზეზს მის სიჭარბესთან აკავშირებდა. ნეომარქსისტებმა კაპიტალის ექსპორტის განმაპირობებელ მარქსისეულ მიზეზებს დაამატეს: წარმოების მზარდი ინტერნაციონალიზაცია, მონოპოლიების გაძლიერებული კონკურენცია და განვითარების ტემპების ზრდა.

ნეოკეინზური მაკროეკონომიკური ანალიზის მოდელი კაპიტალის დინამიკისა და საგადასახდელო ბალანსის ურთიერთკავშირის ანალიზზე კონცენტრირდება. თავად ჯ. მ. კეინზის (1883-1946) აზრით, კაპიტალის მოძრაობა წარმოშობა სხვადასხვა ქვეყნების საგადასახდელო ბალანსების უწონასწორობიდან. ბ. ოლინთან კამათში იგი ხაზს უსვამს, რომ ქვეყნიდან კაპიტალი მაშინ გაიტანება, როდესაც პროდუქტის ექსპორტი აჭარბებს მის იმპორტს, და ამ წესის დარღვევისას აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა²².

ინგლისელი ეკონომისტის რ. ჰაროდის (Roy Forbes Harrod; 1900-1978) „ეკონომიკური დინამიკის“ მოდელის მიხედვით, რაც ნაკლებია კაპიტალით მდიდარი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, მით მეტად სურს ამ ქვეყანას კაპიტალის გატანა²³.

დიდბრიტანელი კეინზელი ჯეიმზ ედუარდ მიდი (Meade, 1907-1995, 1977 წლის ნობელიანტი „საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო დინამიკის თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისთვის“), ნაშრომში „საერთაშორისო ვაჭრობის გეომეტრია“ (1948)²⁴ იყენებს ტერმინს „საერთაშორისო ვაჭრობის პეპელა“, სადაც საერთაშორისო წონასწორობა აღწერილია ორი ქვეყნისა

¹⁷ ა. სილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები. თბ., 2010, გვ. 186-187.

¹⁸ იქვე, გვ. 223.

¹⁹ Eli Heckscher, International Trade, and Economic History, Findlay, Ronald, Rolf G. H. Henriksson, Håkan Lindgren and Mats Lundahl, eds., The MIT Press, 2007.

²⁰ Bertil Gotthard Ohlin. Interregional and International Trade, Cambridge, 1933.

²¹ Ragnar Nurkse. Patterns of Trade and Development», Stockholm, 1959.

²² ჯ. კეინზი. დასაქმების, პროდუქტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.

²³ R. Harrod. Towards a Dynamic Economics. London, 1948.

²⁴ J. E. Meade. JA Geometry of International Trade. L., 1952.

და ორი სახეობის საქონლის პირობებში. მისი დასკვნით: საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების გამორიცხვა მნიშვნელოვანია; იმპორტზე ბაჟი არის სალდო ექსპორტიორ ქვეყანაში საქონლის ფასსა და იმპორტიორ ქვეყანაში მის ფასს შორის²⁵.

ნეოკეინზური თეორია საფუძვლად დაედო განვითარებადი ქვეყნების დახმარების პოლიტიკას, რამდენადაც ითვლებოდა, რომ კაპიტალის ექსპორტი ასტიმულირებდა ბიზნეს აქტივობებს, როგორც კაპიტალის ექსპორტიორ, ასევე, კაპიტალის იმპორტიორ ქვეყნებში.

ნეოკლასიკური სინთეზი: ჰეკშერ-ოლინის მოდელის განვითარებით, ნობელიანტმა პოლ სამუელსონმა (1915-2003) ვ. ფ. სტოლპერთან ერთობლივ სტატიაში²⁶ წინა პლანზე წამოსწია საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების საკითხი, რომლითაც კაპიტალით და მუშახელით მდიდარი ქვეყნები, რომლებიც შესაბამისად კაპიტალტევადი და შრომატევადი პროდუქტის წარმოებაზე სპეციალიზდებიან, საბოლოო ჯამში იწვევენ კაპიტალზე და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას.

ნეოკლასიკური სინთეზის დოქტრინა განავრცო ამერიკელმა ნობელიანტმა (1981) ეკონომისტმა ჯეიმზ ტობინმა (Tobin, 1918-2002). მან 70-იან წლებში წამოაყენა წინადადება უცხოური ვალუტის ოპერაციებზე გადასახადების 0.1-0.25%-ის ფარგლებში შემოდების შესახებ. მისი აზრით, ეს გადასახადი წელიწადში მოიტანდა 150 მლრდ დოლარამდე თანხას, რომელიც უნდა განაწილებულიყო ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის და უნდა გამოეყენებინათ ჩამორჩენილ ქვეყნებში სიღარიბის დასაძლევად, განათლების მისაღებად, ჯანდაცვაზე და ეკონომიკის ასაღორძინებლად. ამ წინადადებას ჰყავდა ბევრი მომხრე (უ. ჩავესი, ლ. სილვა, ანტიგლობალისტები), მაგრამ ნეოლიბერალების უმრავლესობა მას ეწინააღმდეგება და თვლიან, რომ ასეთი გადასახადის დამწესებელი ქვეყანა იზოლირებული აღმოჩნდება²⁷.

ჯ. ტობინის „გადასახადი“ ევროკავშირის ქვეყნების დავალიანებასთან დაკავშირებით, ისევ დღის წესრიგში დადგა გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან, მაგრამ მას შეეწინააღმდეგა დიდი ბრიტანეთი, ევროზონის სხვა ქვეყნები და საკითხი ღიად დარჩა²⁸.

ცნობილი „მფრინავი ბატების“ თეორია შეიმუშავა იაპონელმა ეკონომისტმა კ. აკამაცუმმა (1932)²⁹, რომლის მიხედვით, დარგის განვითარებაში გამოიყოფა სამი ფაზა: 1) უცხოელი მწარმოებლები სამამულო ეკონომიკას პროდუქტს იმპორტით აწვდიან; 2) მზარდი ეროვნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იხსნება ახალი ადგილობრივი საწარმოები; 3) ზედმეტი პროდუქტი ექსპორტირდება ახალ უცხოურ ბაზრებზე. გრაფიკულად ამ ფაზების განვითარება ველური ბატების ფრენას წააგავს. ავტორმა თავისი მოდელი შეიმუშავა იაპონიის საფეიქრო დარგის ნახევარსაუკუნოვან განვითარებაზე დაკვირვების შედეგად. მოგვიანებით, იგი გამოიყენეს ახალ ინდუსტრიულ (სამხრეთ კორეა, ტაივანი...) და განვითარებადი ქვეყნებში (ტაილანდი, მალაიზია...)³⁰.

²⁵ J. E. Mead. The Theory of International Economic Policy: 1. The Balance of Payments; 2. Trade and Welfare. L., 1951, 1955.

²⁶ The Collected Scientific Papers of Paul A. Samuelson, V. 2, pp. 831-846.

²⁷ https://ru.wikipedia.org/wiki/Тобин,_Джеймс; The Tobin Tax. New York, Oxford, 1996 - <http://cowles.econ.yale.edu/archive/reprints/tobin-tax-96.pdf>

²⁸ <http://ru.euronews.com/2012/01/09/opposition-mounts-to-financial-transaction-tax/>

²⁹ <http://www.infeconomy.ru/ininv/970--l-r.html>

³⁰ <http://www.zavtrasessiya.com/index.pl?act=PRODUCT&id=1965>

ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტკ) თეორიები (განვითარდა 1950-60-იანი წლებიდან) ხსნის ტკ-ის წარმოშობისა და მათ მიერ FDI-ს განხორციელების თავისებურებებს. ამერიკელი ეკონომისტის ჯონ გელბრეიტის აზრით, ტკ-ის გენეზისი უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებს. ტკ-ის კონცეფციების ფარგლებში პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა მოდელი შეიქმნა.

60-იან წლებში საინვესტიციო ნაკადების ზრდის საკითხები დაამუშავა კანადელმა ეკონომისტმა ს. ჰაიმერმა (Stephen Herbert Hymer, 1939–1974)¹⁷, რომელიც შემდგომ განავითარა ამერიკელმა ეკონომისტმა ჩ. კინდლბერგერმა (Charles Kindleberger, 1910–2003), ასევე - გ. ჯ. ჯონსონმა (1916-2003)¹⁸. მათი მოდელის მიხედვით, უცხოელი ინვესტორი ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაშია ადგილობრივთან შედარებით - ნაკლებად იცნობს ადგილობრივ ბაზარს, თამაშის წესებს, საჭიროებს მეტ სატრანსპორტო დანახარჯებს, დგას მეტი რისკის წინაშე და ა.შ. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების განსახორციელებლად მას სჭირდება დამატებითი მონოპოლისტური უპირატესობები ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ მოგებას. უცხოელი ინვესტორისთვის კი მონოპოლისტური უპირატესობის მოპოვება შესაძლებელია, ადგილობრივ ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის არსებობით, მასშტაბებში უპირატესობებით, უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი (შედავათიანი) საკანონმდებლო ბაზის არსებობით და სხვ.

პროდუქტის სიცოცხლის ციკლის მოდელი 1966 წელს გამოაქვეყნა ამერიკელმა ეკონომისტმა რაიმონდ ვერნონმა (Raymond Vernon, 1913 – 1999), რომელშიც შეეცადა აეხსნა მზა პროდუქციის მსოფლიო ვაჭრობა მისი სიცოცხლის ციკლის ეტაპების მიხედვით. ამ მოდელში, FDI-ს განხორციელების საფუძველია ქვეყნებს შორის საქონელთა გაცვლა. მოდელში ნახსენებ სიცოცხლის ხანგრძლივობაში ნაგულისხმევია ბაზარზე პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობა, როდესაც იგი გამყიდველის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. პროდუქტის სიცოცხლის ციკლი მოიცავს სხვადასხვა სტადიას (დანერგვა, ზრდა, სიმწიფე, დაცემა)³¹.

ერების კონკურენტული უპირატესობის თეორიის ავტორია ამერიკელი ეკონომისტი მაიკლ პორტერი (Michael Eugene Porter, 1947 -). მან ნაშრომში „ერების კონკურენტული უპირატესობანი“ (1990)³² ათი წამყვანი სამრეწველო ქვეყნის მაგალითზე გამოიკვლია ექსპორტში ძირითადი წილის მქონე ასზე მეტი დარგის კონკურენტუნარიანობა და შეეცადა ეპასუხა კითხვებზე: რატომ იყვნენ რიგი კორპორაციები უცხოურ ბაზრებზე წარმატებულნი, რატომ იზიდავდა ზოგიერთი ქვეყანა გაცილებით მეტ FDI-ს, რატომ ამადლებდა ტკ-ის ინვესტიციები ზოგ ქვეყანაში და სექტორში ადგილობრივი კომპანიების ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ეფექტიანობას და სხვ. გაანალიზების შედეგად პორტერმა გამოყო ერების შემდეგი კონკურენტული უპირატესობები: ფირმების კორპორაციული სტრატეგია და მართვის კულტურა; ფაქტორული პირობები; მოთხოვნის პირობები, სტრუქტურა; მიმღებ ქვეყნებში ტკ - ში გასაერთიანებლად მსურველთა არსებობა.

80-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტებმა ნობელიანტმა (2008) პოლ კრუგმანმა (Paul Robin Krugman, 1953 -)³³ და კ. ლანკასტერმა (Kelvin John Lancaster,

³¹ R. Vernon, « International Investment and International Trade in the Product Cycle », Quarterly Journal of Economics, 1966, 2, 190-207 .
<http://bev.berkeley.edu/ipe/readings/International%20Investment%20and%20International%20Trade%20in%20the%20Product%20Cycle.pdf>

³² Porter, M.E. (1990, 1998) "The Competitive Advantage of Nations", Free Press, New York, 1990.

³³ P. R. Krugman. Strategic Trade Policy and the New International Economics. The MIT Press, Cambridge, Mass. London, 1986; P. R. Krugman. Trade Policy and Market Structure. MIT Press, Cambridge, MA, London, 1989.

1924-1999) შეიმუშავეს მასშტაბის ეფექტზე დამყარებული საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს, რომ: წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის განსაზღვრებაში გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები მცირდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდის კვადრატულად, ე.ი. წარმოიშობა ეკონომია მასობრივი წარმოების შედეგად. ასეთი მიდგომით ბევრი ქვეყნისათვის ხელსაყრელია ერთმანეთთან ვაჭრობა იმ დარგების სპეციალიზაციის პირობებში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია მასიური წარმოების ეფექტის არსებობა.

საკვლევე პრობლემასთან დაკავშირებით სხვა მასალების განხილვა სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეც შეიძლება დავასკვნათ, რომ: თანამედროვე პერიოდში არ არსებობს მხოლოდ ერთი რომელიმე ტრადიციული ან თანამედროვე თეორია, რომელიც ამომწურავად დაასაბუთებს FDI-ს ნაკადების განმაპირობებელ მიზეზებს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია სხვადასხვა კონცეფციების კრებსითი-სინთეზური მიდგომების გამოყენება.

ლევან სილაგაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზისის ასპექტები ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საკვლევე პრობლემასთან დაკავშირებული კლასიკური, ნეოკლასიკური, კეინზური, ნეოკეინზური, ნეოკლასიკური სინთეზის, „მფრინავი ბატების“, ტრანსნაციონალური კორპორაციების“ და სხვ. თეორიული მოდელები. ავტორის დასკვნით, თანამედროვე პერიოდში არ არსებობს მხოლოდ ერთი რომელიმე ტრადიციული ან თანამედროვე თეორია, რომელიც ამომწურავად დაასაბუთებს FDI-ს ნაკადების განმაპირობებელ მიზეზებს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია სხვადასხვა კონცეფციების კრებსითი-სინთეზური მიდგომების გამოყენება.

Levan Silagadze

Doctoral student of TSU

ASPECTS OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS GENESIS Annotatin

The article discusses theoretical models of neoclassical, Keynesian, neokeynesian, neoclassical synthesis, “flying geese”, “transnational corporations” etc. connected with the issue. According to the author's conclusion, nowadays there exist none of the traditional or modern theory able to substantiate the reasons conditioning FDI flows and hence, it is better to use general-synthetic approaches of various conceptions.

**ტიქნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის
სტიმულები და ბარიერები**

საყოველთაო აღიარებით, ფირმისთვის ინოვაციების განხორციელების მთავარი მოტივაცია მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაა.

აქედან გამომდინარე, ფირმის ეფექტიანობაზე ინოვაციების ზეგავლენის ემპირიული მანკენებლები ყველაზე მნიშვნელოვან რიცხვს განეკუთვნება [Рукководство Осло, 2010, გვ. 72].

ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ ფირმის უნარი, განახორციელოს ინოვაცია ან აითვისოს ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები, შესაძლოა ან შეიზღუდოს და შეფერხდეს, ან პირიქით, უფრო გაძლიერდეს სხვადასხვა ფაქტორის ამოქმედებით, ფირმის სხვადასხვა გარე ან შიდა არეალის პირობების ცვლილებების შედეგად. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფირმის ინოვაციური აქტიურობის მიზეზების ემპირიული კვლევა, რომლის შედეგად დადგინდება ის გარემოებები, რის გამოც ფირმა ინოვაციურ საქმიანობას ან ძალზე ზღუდავს და საერთოდ ვერ იწყებს, ან აძლიერებს ძალისხმევას ინოვაციური აქტიურობის მიმართულებით.

ასეთ მიზეზად შესაძლოა გამოვლინდეს:

1. ეგზოგენური ფაქტორები, ანუ ფირმის გარე არეალში მოქმედი ფაქტორები (მოთხოვნის არარსებობა, დაბალი კონკურენცია, კანონმდებლობა, გადასახადები და სხვ.) ან

2. ენდოგენური ფაქტორები, ანუ ფირმის შიდა არეალის ფაქტორები (ფირმაში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სათანადო ცოდნის დეფიციტი, ანუ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული პრობლემა, ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემა, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემა და სხვ.).

მაგალითად, ფირმა კარგავს სტიმულს, წამოიწყოს ინოვაციური საქმიანობა, თუ არ ძალუძს დაიცვას საკუთარი ინოვაციები კოპირებისაგან კონკურენტების მხრიდან. გარდა ამისა, ფირმის ფუნქციონირება ინოვაციების განხორციელების მიმართულებით ნაწილობრივ მისი მრავალფეროვანი კავშირების სტრუქტურაზე დამოკიდებული, მათ შორის ფირმის კავშირებზე, დამყარებული ინფორმაციის, ცოდნის, ტექნოლოგიების, პრაქტიკული გამოცდილების, ადამიანური და ფინანსური რესურსებისა და სხვა წყაროებთან [Рукководство Осло, 2010].

აღსანიშნავია, რომ დასახული მიზანი, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, შესაძლოა ვერ იყოს მიღწეული. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ მწვავე კითხვებს:

1. ერთი მხრივ, რა აძლევს ბიძგს საწარმოებს, განახორციელონ ინოვაციები და რა ძალები ამოძრავებენ ინოვაციურ პროცესს? და
2. მეორე მხრივ, რა უშლის ხელს საწარმოებს, განახორციელონ ინოვაციები და რა ძალები აფერხებენ ინოვაციურ პროცესს?

აღსანიშნავია ისიც, რომ ინოვაციათა ტიპის მიხედვით³⁴ ინოვაციის განხორციელების მოტივაცია და ბარიერები ერთმანეთისგან განსხვავდება [Рукководство Осло, 2010, გვ. 72].

³⁴ ჩვენს ნაშრომში ვეყრდნობით ინოვაციების *მონენისა* და *პოლის* კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით, ტექნოლოგიურ ინოვაციებს განეკუთვნება პროდუქტული და პროცესული, არატექნოლოგიურს კი – მარკეტინგული და ორგანიზაციული ინოვაციები [Mohnen, P. and Hall B., 2013].

საერთოდ, ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უამრავი ფაქტორი არსებობს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფირმის ინოვაციურ აქტიურობაზე, მათ შორის: კონკურენციის ინტენსივობა, ფირმის სიდიდე, ფირმის კაპიტალში უცხოური მესაკუთრის წილის არსებობა, ფირმის საექსპორტო საქმიანობა, ადამიანური კაპიტალი ფირმაში, ბიზნესგარემო პირობები, ადმინისტრაციული ბარიერები, კორუფცია და სხვ.

როგორც თეორიული, ასევე ემპირიული ხასიათის ლიტერატურის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო წრეების ყურადღების ცენტრშია ინოვაციების განხორციელების დეტერმინანტები და მათი გავლენა ფირმის მწარმოებლურობაზე სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.

ჩვენ განვიხილავთ ემპირიული ხასიათის ლიტერატურაში აღწერილი ტექნოლოგიური (პროდუქტული³⁵ და პროცესული³⁶) და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული³⁷) ინოვაციების განხორციელების დეტერმინანტებს, მათ შორის, ერთი მხრივ, წინაპირობებს, მოტივაციას, მიზნებს და ხელშემწყობ ფაქტორებს და, მეორე მხრივ – დაბრკოლებებს, ბარიერებს, შეზღუდვებსა და შემაფერხებელ ფაქტორებს.

აღსანიშნავია ძალზე საინტერესო ემპირიული კვლევა, რომელიც ჩატარდა ისეთ განვითარებად ქვეყანაში როგორცაა **არგენტინა**. კვლევა განხორციელდა სამრეწველო ფირმების შესახებ მონაცემთა პანელის (1992-2001) გამოყენების საფუძველზე. განხილულია ინოვაციური საქმიანობის როგორც წინამძღვრების, ასევე შედეგების დეტერმინანტები და მათი გავლენა სამრეწველო ფირმის მწარმოებლურობაზე. ემპირიული კვლევის შედეგად დასტურდება რომ, როგორც სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე (R&D³⁸), ასევე ტექნოლოგიის ათვისებაზე გაწეული ხარჯები პოზიტიურ დამოკიდებულებაშია ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) ინოვაციების დანერგვასთან. ამასთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ინოვაციურ საქმიანობით უფრო დაკავდებიან დიდი ზომის (ანუ მსხვილი) ფირმები [Chudnovky, D., Lopez, A. and Pupato G., 2004].

³⁵ პროდუქტული ინოვაცია გულისხმობს ისეთი საქონლის ან მომსახურების შემოღებას (დანერგვას), რომელიც, თვისებების ან გამოყენების ხერხების მიხედვით, არის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული. აქ შედის როგორც ტექნიკური მახასიათებლების, კომპონენტებისა და მასალის, ასევე დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფისა და გამოყენების მოხერხებულობის ან სხვა ფუნქციური მახასიათებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სრულყოფა [Руководство Осло, 2010, გვ. 32].

³⁶ პროცესული ინოვაცია გულისხმობს პროდუქტის წარმოების ან მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ხერხის დანერგვას. აქ შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიაში, საწარმოო დანადგარებსა და/ან პროგრამულ უზრუნველყოფაში [Руководство Осло, 2010, გვ. 33].

³⁷ მარკეტინგული ინოვაცია გულისხმობს მარკეტინგის ახალი მეთოდების დანერგვას. ამ სახეობის ინოვაციაში შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები: 1. პროდუქტის დიზაინსა და შეფუთვაში; 2. საქონლისა და მომსახურების გავრცელებაში (ადგილმდებარეობასა და მოთავსებაში), მათ შორის იგულისხმება გასაღების არხების ტიპებისა და ამ არხების ორგანიზაციის ხერხების გაუმჯობესება; 3. ბაზარზე წინ წაწევაში (სტიმულირებაში), მათ შორის იგულისხმება პროდუქტის იმიჯის გაუმჯობესება და პროდუქტის ცნობადობის ამაღლება; 4. ფასების დადგენაში, მათ შორის იგულისხმება საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დადგენის სპეციალური მეთოდების დანერგვა [Руководство Осло, 2010, გვ. 34].

³⁸ R&D – Research & Development (НИОКР – научно-исследовательские и опытно-конструкторские разработки).

ამასთან, აღსანიშნავია ემპირიული ხასიათის ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ფირმის დონეზე ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) ინოვაციების შექმნის, გავრცელებისა და განხორციელების პრობლემას **რუსეთის ფედერაციის** ბეზნესგარემო პირობებში. აქ ყურადღება ექცევა რუსეთის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის მიმდინარე ეტაპს, როდესაც მრეწველობის უმეტეს დარგებში დაწყებულია რუტინული საქმიანობა როგორც წარმოებისა და მართვის მეთოდების განვითარების, ასევე თვით ფირმის მიერ შექმნილი პროდუქტების გაუმჯობესების მიმართულებით. ავტორები რუსეთის მრეწველობაში მიმდინარე ინოვაციურ პროცესებს ანიჭებენ მთავარ და მნიშვნელოვან როლს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მდგრადობაში, არამედ მსოფლიო არენაზე ეროვნული ეკონომიკის წარმატებაში. მათი ემპირიული კვლევის მთავარი შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

1. ინოვაციური პროცესები უფრო ინტენსიურია ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლისას, და არამნიშვნელოვნად ინტენსიურია ფირმის მიერ ახალი ტექნოლოგიების ათვისებისას;
2. რუსეთის ფირმები უფრო მეტად ახალი პროდუქტის იმიტაცია და კოპირებას (გადმოტანას) ახორციელებენ, ვიდრე ახალი ტექნოლოგიისა;
3. ახალი ტექნოლოგიის ათვისება მკვეთრად ცვლის ფირმის საბაზრო ინფრასტრუქტურას (ფირმის მიმწოდებლებსა და სხვა პარტნიორებს);
4. ინსტიტუციური გარემო (მათ შორის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა) ფირმის მიერ ინოვაციების განხორციელებაზე თითქმის ვერ ახდენს გავლენას [Гурков И.Б., Тудалов В.С., 2004].

ძალზე მნიშვნელოვანია **რუსეთის ფედერაციაში** განხორციელებული ფირმების ინოვაციებზე ორიენტირებული საქმიანობის კიდევ ერთი ემპირიული კვლევა. ავტორები თავის ნაშრომში აღწერენ ემპირიული კვლევის შედეგებს, რომელიც რუსეთის ფირმების ინოვაციური აქტიურობის მონაცემებსა და ინოვაციების განხორციელებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას ეხება. ანალიზი ეყრდნობა სამრეწველო საწარმოების გამოკითხვებს, აღწერილია რეალურად განხორციელებული ინოვაციების სახეობები და ინოვაციების რეალიზაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორები. მკვლევრებმა ჩაატარეს ინოვაციებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების რეგრესიული ანალიზი. ემპირიული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფირმის ინოვაციური აქტიურობის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია საამისოდ საკუთარი სახსრების უქონლობა და გარე წყაროებიდან დაფინანსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამასთან, კვლევის შედეგების მიხედვით, ინოვაციების განხორციელების მასტიმულირებელ ფაქტორად ვლინდება ზომიერი ინტენსივობის კონკურენცია [Козлов К.К., Соколов Д.Г., Юдаева К.В., 2004].

CIS³⁹-ის და შესაბამისი ბუღალტრული მონაცემების (1996-2002) გამოყენების საფუძველზე საინტერესო კვლევა ჩატარდა **სლოვენის** ფირმების მიხედვით. განხორციელდა ფირმის ინოვაციების რეალიზაციის უნარიანობის გამაძლიერებელი დეტერმინანტებისა და მწარმოებლურობის დონის ზრდაზე მათი გავლენის ანალიზი. ინტეგრირებული დინამიკური მოდელის ფარგლებში ავტორებმა სტატისტიკურად შეაფასეს ინოვაციურ საქმიანობაზე როგორც შიდა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებების, ასევე გარე წყაროდან მიღებული ცოდნის გავლენა. წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები, რომლებიც აძლიერებენ ფირმის უნარს, განახორციელოს როგორც

³⁹ CIS – Community Innovation Surveys (ევროკავშირში, ნორვეგიასა და ისლანდიაში ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მიერ განხორციელებული გამოკვლევები, სხვადასხვა სექტორსა და რეგიონში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით).

ტექნოლოგიური, ასევე არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციები: ფირმის შიგნით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, ცოდნის გარე ეფექტები (როგორცაა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული სახელმწიფო სუბსიდიები), ფირმის საკუთრებაში უცხოური წილი და დარგთაშორისი ინოვაციების გარე ეფექტები [Damijan, P., Kostevc, Č. and Rojec, M., 2005].

აღსანიშნავია ემპირიული სასიათის კვლევა, რომელიც ჩატარდა ჩილეში. ნაშრომის ავტორმა მკვლევარმა განახორციელა ემპირიული კვლევა ე.წ. CDM⁴⁰ სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენების საფუძველზე. მან აღმოაჩინა, რომ შუმპეტერის ჰიპოთეზების უმეტესობა დასტურდება ჩილეს ქვეყნის მაგალითზე, მათ შორის ისიც, რომ ფირმის შიდა სამეცნიერო კვლევები და ინოვაციური საქმიანობა დამოკიდებულია ფირმის ზომასა და მის საბაზრო ძალაუფლებაზე. თუმცა, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ჩილეში მოკლევადიან პერსპექტივაში ფირმის მწარმოებლურობის ზრდა არ არის განპირობებული არც საინოვაციო საქმიანობის შედეგებით, არც სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული ხარჯებით [Benavente, J., 2006].

ყურადსადებაა ემპირიული კვლევა გადამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი ქვეყნის – **რუსეთის ფედერაციის** მიხედვით. ნაშრომის ავტორმა ემპირიული კვლევა განახორციელა ინოვაციებისა და მწარმოებლურობას შორის არსებული კავშირის დასადგენად, კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკის (განსაკუთრებით საინოვაციო გარემოს) გათვალისწინებით. კვლევის შედეგების მიხედვით გამოჩნდა, რომ ფირმების ინოვაციური საქმიანობა იზღუდება ფინანსური რესურსების დეფიციტის დროს და ვითარდება სახელმწიფო მხარდაჭერისას. გარდა ამისა, ფირმების უმრავლესობა უფრო არის ორიენტირებული ტექნოლოგიების გარედან შემოღებაზე, ვიდრე საკუთარი ძალებით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებების რეალიზაციაზე. და, რაც მთავარია, ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფირმების ინოვაციური საქმიანობა სერიოზულად ფერხდება კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო [Roud, V., 2007].

ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესოა 6 ლათინო-ამერიკული ქვეყნის (**არგენტინის, ჩილეს, კოლუმბიის, კოსტა-რიკას, პანამასა და ურუგვაის**) ფირმების მონაცემთა მიხედვით განხორციელებული ემპირიული კვლევა, რომელიც ეხება ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) ინოვაციების განხორციელების დეტერმინანტებს და მათ გავლენას ფირმაში შრომის მწარმოებლურობაზე. ნაშრომების ავტორები გამოვიდნენ შესაბამის ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებებიდან, რომ 1. ფირმებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციას ცოდნაში, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) ინოვაციები, ვიდრე ფირმებს, რომლებიც ზოგავენ ფულად თანხებს ამ მიმართულებით; 2. ფირმებს, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციებს, აქვთ უფრო მაღალი შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, ვიდრე ფირმებს, რომლებიც იკავებენ თავს ინოვაციების დანერგვისაგან. ე.წ. CDM სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით მათ მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგების შესაბამისად გამოტანილია დასკვნა, რომ ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრებები არ არის ცალსახა და არ დასტურდება ყველა იმ ლათინო-ამერიკულ ქვეყანაში, სადაც განხორციელდა ემპირიული კვლევა, ეკონომიკური თანამშრომლობისა

⁴⁰ CDM – C - Crepon, D - Duguet, M – Mairesse [Crepon, B., Duguet, E. and Mairesse J., 1998].

და განვითარების ორგანიზაციის წევრი-ქვეყნებისაგან განსხვავებით [Crespi, G. and Zuñiga, P., 2010].

საინტერესოა კვლევა, რომელიც ჩატარდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური და დასავლური აზიის ქვეყნებში) მსოფლიო ბანკის BEEPS⁴¹-ის მონაცემებზე დაყრდნობით. იგი ეხება ტრანსნაციონალური კორუფციის გავლენას ფირმების ინოვაციურ ქცევასა და შედეგიანობაზე. ავტორთა მთავარი დასკვნის მიხედვით, უცხოური ფირმების ჩართულობა კორუფციულ გარიგებებში მკვეთრად ამცირებს ადგილობრივ ფირმებში სურვილს, გაწიონ ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე ანდა ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნაზე [Habiyaremye, A. and Raymond, W., 2013].

განხორციელებულია აგრეთვე პირველი ემპირიული კვლევა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 7 ქვეყნის (ალბანეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქეთისა და უზბეკეთის) მიხედვით. ნაშრომი ეხება ფირმის დონეზე ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების განხორციელების დეტერმინანტებს. ავტორებმა მსოფლიო ბანკის BEEPS-ის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიკვლიეს ინოვაციების განხორციელების ძირითადი და სპეციფიკური დეტერმინანტები. მკვლევრების მიერ ძირითად დეტერმინანტებად წარმოდგენილია ფირმის ისეთი სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები, როგორცაა: ფირმის ზომა, ფირმის ასაკი, საწარმოო სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, კონკურენცია ქვეყნის შიგნით, ფირმის საკუთრებაში უცხოური კაპიტალის წილი. სპეციფიკური ფაქტორების მხრივ ყურადღება გამახვილდა ფირმის ფინანსურ განვითარებაზე, ადამიანურ კაპიტალსა და საგარეო ვაჭრობაზე. ავტორებმა ხაზი გაუსვეს სპეციფიკური ფაქტორების როლს ფირმის ინოვაციური აქტიურობის უნარიანობაში. ეკონომეტრიკული რეგრესიის მოდელების გამოყენების საფუძველზე მკვლევრებმა განახორციელეს ფირმის ინოვაციებზე ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის ემპირიული შეფასება, რის შედეგად დადგინდა ის, რომ რამდენად კარგი ფინანსური მდგომარეობა ექნება ფირმას, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მისთვის ფინანსები (მაგალითად, საბანკო კრედიტები), რამდენად მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური კაპიტალი იქნება დასაქმებული ფირმაში და რამდენად ჩართული იქნება ფირმა საგარეო ვაჭრობაში, იმდენად მეტი ექნება მას უნარი, განახორციელოს ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციები. გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ რაც უფრო მსხვილი და ასაკიანია ფირმა, რაც უფრო მაღალია საწარმოო სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, რაც უფრო მაღარია შიდა (საშინაო) კონკურენცია და რაც უფრო დიდია უცხოური კაპიტალის წილი ფირმის საკუთრებაში, მით უფრო მეტი ინოვაციური აქტიურობით გამოირჩევა ფირმა [Afandi, E. and Kermani, M., 2013].

რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო და ევროპული ბანკების BEEPS-ის 2009 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ავტორებმა ემპირიულად გამოიკვლიეს ფირმების ინოვაციური აქტიურობის (პროდუქტული და ორგანიზაციული ინოვაციების, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული ხარჯების) დეტერმინანტები სხვადასხვა ბიზნესგარემოს პირობებში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების (ცენტრალური, აღმოსავლური და სამხრეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 29 ქვეყნის) მიხედვით. ძირითადი აქცენტი მკვლევრებმა გააკეთეს ადმინისტრაციულ ბარიერებსა და

⁴¹ BEEPS – Business Environment and Enterprise Performance Survey (ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლების გამოკვლევა). – <https://www.enterprisesurveys.org>.

არსებულ კორუფციაზე, როგორც ფირმის ინოვაციური საქმიანობის შემაფერსებებელ ფაქტორებზე. **რუსეთის** მაგალითზე ნაშრომის ავტორებმა ემპირიული კვლევით დაადასტურეს ის რეალური გარემოებების არსებობა, რაც ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ახასიათებს. კერძოდ ის, რომ ინოვაციური საქმიანობით დაკავებული არიან: 1. სიდიდით მსხვილი ფირმები; 2. ფირმები, რომლის პერსონალის უმრავლესობა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და 3. ფირმები, რომლებსაც ფუნქციონირება უწევთ კონკურენციის პირობებში. გარდა ამისა, ამ ემპირიული კვლევით გამოვლინდა სერიოზული ადმინისტრაციული ბარიერებისა და ამ უკანასკნელის დასაძლევად კორუმპირებული გარიგებების არსებობა ინოვაციათა სხვადასხვა ტიპის განხორციელებისას [Баранов, А.Ю., Долгопятова, Т.Г., 2013].

მაშასადამე, შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი ემპირიული კვლევების მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზოგადად ინოვაციური პროცესის მსვლელობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ განსხვავებული სოციო-ეკონომიკური, კულტურული და ინსტიტუციური გარემოს გამო ფირმებში ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების განხორციელების დეტერმინანტები (როგორც მასტიმულირებელი, ასევე შემაფერსებელი ფაქტორები) სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ემპირიული კვლევები, რომლებიც, ე.წ. CIS-ისა და BEEPS-ის მონაცემების გამოყენებასთან ერთად, ეყრდნობა ფირმების უმაღლესი ხელმძღვანელების გამოკითხვებს.

ამრიგად, განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ სხვადასხვა განვითარებად (განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყანაში მოქმედებს ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის განსხვავებული სახის ან განსხვავებული ძალის მქონე დეტერმინანტები. ამ მდგომარეობას განაპირობებს ქვეყნის თავისებურებები და სპეციფიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძველები. თბილისი, გამომცემლობა „ენა“, 1991.
2. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. (ორტომეული). თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1998.
3. შენგელია თ. ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. თბილისი, საქპროფგამის გამომცემლობა, 1997.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2006. - 452 გვ.
5. ხარებავა რ. ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2012.
6. Баранов, А.Ю., Долгопятова, Т.Г. Эмпирический анализ инновационного поведения фирм при различных институциональных условиях [Электронный ресурс]: препринт WP1/2013/02 / А.Ю. Баранов, Т.Г. Долгопятова; Нац. исслед. ун-т «Высшая школа экономики». М.: Изд. дом Высшей школы экономики, 2013.
7. Гурков И.Б., Тубалов В.С. Инновации в российской промышленности: создание, диффузия и реализация новых технологий и социальных практик. Мир России, № 3, 2004.
8. Козлов К.К., Соколов Д.Г., Юдаева К.В. Инновационная активность российских фирм. Экономический Журнал ВШЭ, № 3, 2004 (с. 399-419).

9. Руководство Осло. Рекомендации по сбору и анализу данных по инновациям. // Совместная публикация ОЭСР и Евростата. Москва, 2010.
10. Шумпетер Й. А. Теория экономического развития. Москва, «Прогресс», 1982.
11. Afandi, E. and Kermani, M. What Determines Firms' Innovation in Eastern Europe and Central Asia. MPRA Paper No. 53255, February 17, 2013.
12. Benavente, J. The Role of Research and Innovation in Promoting Productivity in Chile. Economics of Innovation and New Technology, 15, 2006, pp. 301-315.
13. Chudnovky, D., Lopez, A. and Pupato G. Innovation and Productivity: A Study of Argentine Manufacturing Firms' Behavior (1992-2001). Research Policy, 35, 2004, pp. 266-288.
14. Crepon, B., Duguet, E. and Mairesse J. Research, Innovation, and Productivity: an Econometric Analysis at the Firm Level. NBER Working Paper, No. 6696, August, 1998.
15. Crespi, G. and Zuñiga, P. Innovation and Productivity: Evidence from Six Latin American Countries. IDB Working Paper Series, No. IDB-WP-218, Inter-American Development Bank, October, 2010.
16. Damijan, P., Kostevc, Č. and Rojec, M. R&D Spillovers, Innovation and Firm's Productivity Growth in Slovenia. Paper prepared within the Sixth Framework Program project Understanding the Relationship between Knowledge and Competitiveness in the Enlarging European Union (U-Know), 2005.
17. Habiyaremye, A. and Raymond, W. Transnational Corruption and Innovation in Transition Economies. UNU-MERIT Working Papers, #2013-050, ISSN 1871-9872, 18 September, 2013.
18. Mohnen, P. and Hall B. Innovation and Productivity: an Update. Eurasian Business Review, 3(1), 2013, pp. 47-65.
19. Roud, V. Firm-level Research on Innovation and Productivity: Russian Experience. Higher School of Economics. Moscow, mimeo, 2007.

თეიმურაზ გოგოხია
დოქტორანტი

**ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის
სტიმულები და ბარიერები
ანოტაცია**

სტატიაში განხორციელებულია შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი იმ ემპირიული კვლევების გარკვეული ნაწილის მიმოხილვა, რომელიც ეხება ფირმებში ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის სტიმულებსა და ბარიერებს.

ჩვენი დასკვნის მიხედვით, განვითარებად (განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყნებში ფირმის დონეზე ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები ერთმანეთისგან განსხვავდება ან ტიპის, ან მოქმედების ძალის მიხედვით. ამ მდგომარეობას განაპირობებს კონკრეტული ქვეყნის თავისებურებები და სპეციფიკა.

Teimuraz Gogokhia
Ph.D Student

**INCENTIVES AND BARRIERS OF TECHNOLOGICAL AND
MARKETING INNOVATIONS**

Annotation

In the article literature review of some empirical researches concerning the incentives and barriers of technological and non-technological (including marketing) innovations at a firm level are carried out.

According to our conclusions, in different developing countries (especially in transition economy countries) the incentives and barriers of technological and non-technological (including marketing) innovations at a firm level differ from each other in their kinds or in the intensity of their effects. This is caused by the peculiarities and specificity of a concrete country.

ქრისტინე ომაძე
საქართველოს საპარტიო რეფორმების ცენტრის დირექტორი

**საინვესტიციო ფონდების საქმიანობა საქართველოში
და საერთაშორისო გამოცდილება**

საქართველოში დღეისათვის სახეზე გვაქვს ორი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების დაფინანსებას (ინვესტირებას). სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს. „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე, ფონდის მთავარი დანიშნულებაა ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა – ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2012 წელს 750 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისაგან.

- საქართველოს რეინიგ ზა - 100% წილი.
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი.
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი
- სს „თელასი“ დ 24,5% წილი.

2. საინვესტიციო საქმიანობა – ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მლრდ აშშ დოლარს⁴². ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს ინვესტირება მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტიციების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში, როგორცაა: ენერგეტიკა, აგრობიზნესი, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს მეორე „თანაინვესტირების ფონდი“ (GCF)⁴³, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის ნოემბერში და წარმოადგენს კერძო საინვესტიციო ფონდს. აღნიშნული სააქციო ფონდის მიზანს წარმოადგენს ფონდში თავმოყრილი ქონების 80%-ის საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში (ტურიზმი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა) ინვესტირების განხორციელება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ არის განვითარებული ისეთი სპეციალური საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტი როგორცაა საბანკო სახლები. იგი უძველესი საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს კერძო ბანკებს და ეკუთვნოდა ცალკეულ ბანკირებს ან ბანკირთა ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობებში. საწყის ეტაპზე საბანკო სახლები ასრულებდნენ სავაჭრო, საანგარიშსწორებო და საემისიო ფუნქციებს. თავისი არსით ეს იყო თავდაპირველი საბანკო კრედიტის საორგანიზაციო ფორმა.

⁴² www.fund.ge

⁴³ www.gefund.ge

ევროპაში XVIII-XIX საუკუნეებში საბანკო სახლების მთავარი ფუნქცია იყო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება. ამ სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო სახელ „როტშილდის“ საქმიანობა საფრანგეთში და მისი შვილობილი განშტოებების მოღვაწეობა გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. XX საუკუნეში მრავალი საბანკო სახლი შთანთქმავს მსხვილმა კომერციულმა საინვესტიციო ბანკებმა. დაწესებული 80-იანი წლებიდან, განხორციელდა საბანკო სახლების საქმიანობის დივერსიფიკაცია, მაგრამ დღეისათვის მათ მთავარ ფუნქციად რჩება საემისიო-სადაამფუნდებლო საქმიანობა. ისინი გვევლინებიან საერთაშორისო საკრედიტო ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების განმთავსებელ შუამავალთა როლში და წარმატებით აგრძელებენ საკუთარ საქმიანობას აშშ-ში, დიდი ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

სპეციალური საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიდან ასევე აღსანიშნავია შემნახველი დაწესებულებები, ისინი, როგორც კერძო სტრუქტურები, დიდი რაოდენობით წვრილ დანაზოგებსა და შემოსავლებს იზიდავენ. ამ დაწესებულებების როლი განსაკუთრებით დიდია საკრედიტო ბაზრის სისტემაში. ისინი ხელს უწყობენ მოზიდული კაპიტალის ფართოდ გამოყენებას. დღეისათვის დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს შემნახველ ორგანიზაციათა ორი ძირითადი სახე. პირველი შემნახველი ბანკები, რომლებიც ძირითადად წვრილ ვადიან ანაბრებს იღებენ. ამ ბანკების მიერ მოზიდული და დაბანდებული სახსრები წარმართება სხვადასხვა ვალდებულებებსა და ფასიან ქაღალდებში, განსაკუთრებით კი იპოთეკური ბანკების გირავნობის ფურცლებსა და სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ობლიგაციებში განსათავსებლად.

მეორე, სასესხო-შემნახველი ასოციაციები, რომლებიც ყალიბდებიან საპაიო საწყისებზე, მათი კაპიტალი იქმნება განსაკუთრებული სახის სერტიფიკატების კლიენტებზე მიყიდვის გზით. ამ სერტიფიკატების გამოსყიდვა ხორციელდება მათ მფლობელთა პირველივე მოთხოვნისთანავე ნომინალური ღირებულების მიხედვით. ისინი საგრძნობ შემოსავალს იძლევიან სარგებლის სახით. სერტიფიკატები ვადიანი ანაბრების ანალოგიურია.

შემნახველი დაწესებულებები აქტიურად ვითარდებიან აშშ-ში და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებათა მთლიან აქტივებში მათი ხვედრითი წონა 20%-მდე აღწევს და დღესაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემნახველი დაწესებულებები წარმოდგენილია სხვადასხვა სახით. კერძოდ, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში გავრცელებულია შემნახველი საღაროები, დიდ ბრიტანეთში შემნახველი ბანკები, აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკრედიტო კაპიტალის ბაზრებზე ფართო განვითარება პოვა სპეციალურმა არასაბანკო ინსტიტუტებმა. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ფინანსური კომპანიები, საქველმოქმედო ფონდები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და ა.შ.

სპეციალური არასაბანკო დაწესებულებების გავლენის ზრდას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მოსახლეობისათვის ისეთი სპეციალური მომსახურების შეთავაზება, რომლის განხორციელების ძალა ბანკებს არ შესწევთ.

სპეციალური არასაბანკო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი ფორმაა საკრედიტო კაპიტალის ბაზარზე მოსახლეობის დანაზოგების აკუმულაცია, ობლიგაციური სესხების ფორმით კორპორაციებისა და სახელმწიფოსათვის კრედიტების გაცემა.

სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. სადაზღვევო კომპანიები საკუთარ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. სადაზღვევო კომპანიები დაზღვევის ობიექტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან: მოქალაქეთა სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიების შემოსავლები ბევრად აღემატება პოლისის მფლობელთათვის გადახდილ გადასახადებს. ამიტომ სადაზღვევო კომპანიებს საკმაოდ დიდი შემოსავლები გააჩნიათ და შესწევთ უნარი, ყოველწლიურად გაზარდონ საკუთარი დაბანდებანი მაღალ შემოსავლიან გრძელვადიან აქტივებსა და ობლიგაციებში.

ბანკებისაგან განსხვავებით, სადაზღვევო კომპანიებს უფრო ფართო ორგანიზაციული ფორმები გააჩნიათ. პირველი სახის ფორმა აგებულია აქციონერული საზოგადოების საფუძველზე. მეორე ფორმის დროს პოლისის ყველა მფლობელი აქციონერული კომპანიის თანამფლობელია, მაგრამ არა აქციის ბაზაზე, არამედ სადაზღვევო პოლისის საფუძველზე. მესამე ფორმა აგებულია კოოპერაციულ საწყისებზე, ხოლო მეოთხე ფორმა, ანუ ლიონის სისტემა, შედგება სინდიკატებისაგან და, როგორც წესი, მასში შეპაიებად სადაზღვევო კომპანიები და საბროკერო სადაზღვევო ფირმები შედის.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინტიტუტების ერთ-ერთი ფორმაა საპენსიო ფონდები, რომლებსაც ქმნიან კერძო კომპანიების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით.

კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშა-მოსამსახურეთა და მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე, რომელსაც მოსამსახურეები ნაწილ-ნაწილ იხდიან ხელფასიდან, ხოლო მეწარმეები – მოგებიდან ანარიცხების სახით. საპენსიო ფონდების აქტივების დაბანდება ძირითადად საწარმოებში ხორციელდება. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება ისაა, რომ ისინი, ძირითადად, წარმოებს მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისაგან ფორმირდება. საპენსიო ფონდები ძირითადად გრძელვადიან ფულად სახსრებს ფლობენ და ამ სახსრებს სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში აბანდებენ. მაგალითად, საპენსიო ფონდების აქტივების 80%-მდე კერძო კორპორაციების ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინტიტუტების განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია საფინანსო კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში, რომლებიც საცალო და საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვებს აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართო ქსელი მოქმედებს აშშ-ში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში და იაპონიაში. აშშ-ში განსაკუთრებით გავრცელებულია ხანგრძლივი მოხმარების საქონლის განვადებით გაყიდვების დაკრედიტება. საფინანსო კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახით. ორივე შემთხვევაში კომპანიები ხედავენ გასცემენ ერთიდან სამ წლამდე ვადით. ფინანსური კომპანიები დასაბამს იღებენ აშშ-დან, რადგან პირველად სწორედ აქ დაიწყო საქონლის განვადებით გაყიდვა, რომელიც შემდგომ გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით სიღარიბის დაძლევა. რაც შეეხება საკრედიტო კავშირებს, ისინი იგივე კოოპერატივებია, რომლებიც არსებობენ მოსახლეობის პროფესიული გაერთიანების პრინციპების საფუძველზე. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების შედეგად, განსაკუთრებული სახის აქციების შექმნის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტების მიზნით. მაგალითად, ავტომობილის შესაძენად, სახლის რემონტისათვის და სხვა. საკრედიტო

კავშირები მაღალი ტემპით ვითარდება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, იტალიაში და მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანაში.

ამრიგად, სპეციალური საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის გაცნობა-გაანალიზებამ დაგვანახვა, რომ ისინი თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო ბაზრის აქტიური სტრუქტურული ელემენტებია და მნიშვნელოვნად განაპირობებენ საკრედიტო ბაზრების ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მათ გამართულ ფუნქციონირებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისების პერიოდში.

ქრისტინე ომაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
საინვესტიციო ფონდების საქმიანობა საქართველოში
და საერთაშორისო გამოცდილება
ანოტაცია

საქართველოში დღეისათვის სახეზე გვაქვს ორი საინვესტიციო ფონდი, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების დაფინანსებას (ინვესტირებას). სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე, ფონდის მთავარი დანიშნულებაა ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს მეორე „თანაინვესტირების ფონდი“ (GCF)⁴⁴, რომელიც წარმოადგენს კერძო საინვესტიციო ფონდს. აღნიშნული სააქციო ფონდის მიზანს წარმოადგენს ფონდში თავმოყრილი ქონების 80%-ის საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში (ტურიზმი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა) ინვესტირების განხორციელება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

Kristine Omadze
Saint Andrew the First Called Georgian University
PhD Student

**THE ACTIVITIES OF INVESTMENT FUNDS IN GEORGIA AND
INTERNATIONAL EXPERIENCE**
Annotation

The article describes a Georgia-based non-bank institutions – co investment fund and partnership fund activities - two major nonbanking special organizations, its main areas of investment. Local activity is compared to worldly developed structure and its peculiarities.

⁴⁴ www.gefund.ge

ქეთევან ღამბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

“ტექნოლოგიური ხაფანგი” და მისი დაძლევის სირთულეები

“ტექნოლოგიური ხაფანგის“ ცენტრალური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა მიმდინარეობს გარკვეული ტრაექტორიით, ექცევა ე.წ. კალაპოტში, რომლისგან ამოვარდნა საკმაოდ ძვირი და რთული პროცესია, პირველ რიგში გადართვის დანახარჯების (switching costs) გამო.

სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ხდება არსებული, თუნდაც ნაკლებად ეფექტიანი, ტექნოლოგიების შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პოტენციური კონკურენტული შემცველებების არსებობის/გამოჩენის რეალური საფრთხე.

“ტექნოლოგიური ხაფანგი“ ეკონომისტთა, ისტორიკოსთა და სოციოლოგთა ინტერესთა სფეროში მოექცა 1980 წლიდან. (მაგ., David, 1985; Arthur, 1989; Cowan, 1990; Liebowitz & Margolis, 1995). “ტექნოლოგიური ხაფანგის“, ისევე, როგორც “ინსტიტუციური ხაფანგის“ თემას მჭიდროდ უკავშირებენ ე.წ. კვალ-დამოკიდებულების კონცეფციას (Concept of Path Dependency).

კვალ-დამოკიდებულება არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება როგორც ეკონომიკაში, ისე სამართალში და რიგ სხვა მეცნიერებებში. კვალ-დამოკიდებულება ნიშნავს შემდეგს: ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ დღეს, არის შედეგი იმისა თუ რა მოხდა წარსულში. მაგალითად, ფრაზა “ჩვენ დავზოგეთ და განვასორციელეთ ინვესტირება გასულ წელს, შედეგად, დღეს ჩვენ გავგაჩნია აქტივები“ შეიძლება შეიცვალოს უფრო თანამედროვე ფრაზით “კაპიტალის ბაზარი არის კვალ-დამოკიდებული“ (Liebowitz & Margolis, 1995).

კვალ-დამოკიდებულება გულისხმობს, რომ დღევანდელი და ასევე მომავალი მდგომარეობა, მოქმედებები ან გადაწყვეტილებები განპირობებულია წარსულში მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ მოქმედებების კვალით. ამ კონცეფციით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ აღწევს ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკა წარმატებას მაშინ, როდესაც ზოგი თავს ვერ აღწევს ეკონომიკურ რეცესიას. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური გახსნილობის პირობებში ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური ინოვაციების დიფუზიის პროცესი სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს, რაც ჩამორჩენილი ქვეყნების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უნდა განაპირობებდეს. როგორც ვიცით, თანამედროვე რეალობაში ასე არ ხდება.

კვალ-დამოკიდებულების მიზეზების შესახებ ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი კეთდება ოთხ დაკავშირებულ მახასიათებელზე (Arthur, 1989) :

✓ მზარდი უკუგება (increasing returns) - რაც უფრო მეტჯერ იქნება მიღებული ერთი და იგივე გადაწყვეტილება (ტექნოლოგიის შემთხვევაში - რაც უფრო მეტი “მიმდევარი“ ყვოლება ამა თუ იმ ტექნოლოგიას), მით უფრო მეტად მომგებიანი იქნება ის;

✓ თვითგაძლიერება (self reinforcement) - გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის გაკეთება ან მოქმედების განხორციელება აამოქმედებს გარკვეული ძალების კომპლექსს გაკეთებული არჩევანის მხარდასაჭერად;

✓ დადებითი უკუკავშირი (positive feedbacks) - მოქმედება ან არჩევანი ქმნის დადებით ექსტერნალიებს⁴⁵ სხვა, იმავე გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის;

✓ ხაფანგი (lock-in) - ნიშნავს, რომ ერთ არჩევანს ან ქმედებას ენიჭება უპირატესობა მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობამ გააკეთა ეს არჩევანი.

ანალოგიური იდეები ჯერ კიდევ 1890 წელს იყო განხილული ალფრედ მარშალის მიერ. დაახლოებით 30 წლის წინ ეს იდეები თავიდან იქნა განხილული და წამოწვეული წინა პლანზე რიგი ეკონომისტების მიერ (მაგ., Joe Stiglitz, Paul Krugman, Elhanan Helpman, Paul David, Brian Arthur). მეტად აქტუალური გახდა მზარდი უკუკავშირის მათემატიკური მოდელების შექმნა, რომლებიც მიბმული იქნებოდა ეკონომიკური გადაწყვეტილებების თეორიულ ნაწილთან. მათემატიკური მოდელების ძალიან კარგ განხილვას გვთავაზობს ე. ბალაჩკი (მაგ., Балацкий 2003), რომელიც ხაფანგებს განიხილავს მათემატიკური ფორმულების მეშვეობით და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული და დამტკიცებული აქვს რიგი თეორემები.

იმისათვის, რომ გავერკვიოთ “ტექნოლოგიური ხაფანგის“ წარმოშობის მიზეზებში, უნდა განვიხილოთ ორი მიდგომა:

პირველი მიდგომა გულისხმობს, რომ ტექნოლოგიის ბუნებისა და განვითარების მიმართულებიდან გამომდინარე, ტექნოლოგიის წინსვლა/განვითარება ჩასმულია აქტორთა კოგნიტურ ჩარჩოში. ამ ჩარჩოს რ. ნელსონი და ს. ვინტერი უწოდებენ ტექნოლოგიურ რეჟიმს (Nelson & Winter, 1977), ხოლო ჯ. დოსი უწოდებს ტექნოლოგიურ პარადიგმას (Dosi, 1982). ორივე შემთხვევაში ავტორები მიუთითებენ გარკვეული წესებისა და პრინციპების არსებობაზე, რომლებიც განაპირობებს განვითარების ე.წ. კალაპოტის ნაპირებს.

მეორე მიდგომა, კონკრეტული ტექნოლოგიის ათვისების შედეგად, ეფუძნება უკუკავშირის ზრდას. ეს არის დადებითი უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც ფუნქციონირებს იმისათვის, რომ გაზარდოს ამა თუ იმ ტექნოლოგიის ათვისების მიმზიდველობა მისი ათვისების პროპორციულად. მაგალითად, პ. დევიდი (David, 1985) და ე. არტური (Arthur, 1989) აღნიშნავენ, რომ იმ სიტუაციაში, სადაც ორი ან მეტი ტექნოლოგია კონკურენციას უწევს ერთმანეთს ბაზრის წილის დასაპყრობად, უკუკავშირის ზრდის არსებობა ნიშნავს, რომ ის არჩევანი, ოფცია, რომელსაც ახასიათებს პირველობა ბაზარზე, დიდი ალბათობით იქნება დომინანტური. ეს ხდება იმიტომ, რომ ადრეულ ეტაპზე ათვისებას შეუძლია შექმნას ე.წ. “ზვავის“ ეფექტი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველობის ფაქტორი არ არის ცალსახად დადებითი და ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

უკუკავშირის ზრდას, ტექნოლოგიურ ხაფანგთან მიმართებაში, ყოფენ ოთხ ძირითად კატეგორიად:

✓ მასშტაბის ეკონომია;

✓ სწავლების ეკონომია. ამ კუთხით უნდა აღვნიშნოთ კონცეფცია “სწავლა კეთების პროცესში“ (learning by doing concept), რომელსაც მჭიდროდ უკავშირებდნენ უკუკავშირის ზრდას ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. (მაგ.: Arrow, 1962; Lucas, 1988);

✓ ადაპტური მოლოდინი - ათვისების დონის ზრდა ამცირებს გაურკვევლობის (uncertainty) დონეს, უარყოფით მოლოდინებს ტექნოლოგიის ხარისხთან, სანდობასა და გამოყენების ხანგრძლივობასთან მიმართებაში;

⁴⁵ ზოგადად ექსტერნალია ნიშნავს ადამიანის საქმიანობის სხვათა კეთილდღეობაზე ზეგავლენას. მიუხედავად იმისა, დადებითი იქნება აღნიშნული ეფექტი, თუ უარყოფითი, ბაზარზე მყოფი აგენტების საბაზრო წონასწორობის პრინციპი დაირღვევა (პაპავა, 2011).

✓ ქსელური ექსტერნალიები - ყველაზე ხშირად ასოცირდება ტექნოლოგიურ ხაფანგთან და წარმოადგენს გარე უპირატესობას, რომელიც ენიჭება ტექნოლოგიის გამოყენებულს სხვათა მიერ იმავე ტექნოლოგიის გამოყენებით.

უკუგების ზრდას, როგორც "ტექნოლოგიური ხაფანგის" განმაპირობებელ ფაქტორს, ჰყავს კრიტიკოსებიც (მაგ. Liebowitz & Margolis, 1995). კერძოდ, ს. ლეიბოვიცი და ს. მარგულისი კითხვას შემდგენაირად აყალიბებენ: შეუძლია თუ არა მზარდი უკუგების არსებობამ, ტექნოლოგიის განვითარების ადრეულ და კონკურენციის ჯერ კიდევ გაურკვეველ ეტაპზე, უზრუნველყოს შედარებით დაბალ დონეზე მდგომი ტექნოლოგია ძლიერი საბაზრო პოზიციით?

სამწუხაროდ, ამ საკითხთან მიმართებაში დამატებითი ემპირიული თუ ანალიტიკური კვლევების სიმწირის გამო, რთულია დისკუსიის გამართვა. ერთი რამ, რაც ამ ეტაპზე არ საჭიროებს დისკუსიას, არის ის, რომ ტექნოლოგიურ არჩევანს აქვს გრძელვადიანი შედეგები, რომლებიც შესაძლებელია გადაიქცეს ხაფანგად როგორც ცალკეული საწარმოების, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის დონეზე.

"ტექნოლოგიური ხაფანგის" განმსაზღვრელი ფაქტორების განსახილველად გავაკეთოთ დაშვება, რომ საწარმო არ მიმართავს ერთდროულად ძველი და ახალი ტექნოლოგიის გამოყენების პრაქტიკას, არამედ მთლიანად უნდა გადავიდეს ახალ ტექნოლოგიაზე - ძველი შეცვალოს ახლით. საქმე გვექნება სამ ცვლადთან:

- ✓ ძველი მიმდინარე საწარმოო დანახარჯები;
- ✓ ახალი მიმდინარე საწარმოო დანახარჯები;
- ✓ კაპიტალური დანახარჯები.

პირველი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს საწარმოს მიერ ახალი ტექნოლოგიის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანზე, არის ის, რომ დაგროვილმა სხვაობამ ახალსა და ძველ მიმდინარე საწარმოო დანახარჯებს შორის უნდა დაფაროს კაპიტალური დანახარჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ნაკლებია თუ არა ახალი მიმდინარე საწარმოო დანახარჯები ძველზე, დიდი ალბათობით, ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლა არ შედეგება (Балацкий, 2003).

მეორე ფაქტორს წარმოადგენს საწარმოს განვითარების, ეკონომიკური ზრდის ტემპი. განვითარების მაღალი ტემპის მქონე საწარმოსთვის ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლება გაცილებით ეფექტიანი იქნება, ვიდრე განვითარების დაბალი ტემპის მქონე საწარმოსთვის, რომელიც, სავარაუდოდ, მსგავს პერსპექტივას არ განიხილავს და რიგ შემთხვევაში ტექნოლოგიურ ხაფანგში დარჩენა ურჩევნია.

მესამე ფაქტორად უნდა განვიხილოთ დროის პერიოდი, უფრო ზუსტად კი დაგეგმვის პერიოდი. თუ საწარმოს სტრატეგია ეფუძნება მოკლევადიან პერიოდს, მაშინ მისთვის ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლას აზრი ვერ ექნება. როდესაც ვსაუბრობთ გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაგეგმვის პერიოდებზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ გლობალურ, უადრესად კონკურენტულ გარემოში, საკმაოდ რთული ხდება გრძელვადიან პერიოდზე ორიენტაცია. ამდენად, ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი, როგორც ხაფანგის განმსაზღვრელი, უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს.

მეოთხე ფაქტორი დიდწილად განაპირობებს მესამე ფაქტორს. ეს არის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც განაპირობებს მომავლის განუსაზღვრელობის აღქმას. აუცილებელია განვასხვაოთ განუსაზღვრელობა და რისკი. განუსაზღვრელობა არის თვისებრივი მახასიათებელი, ხოლო რისკი მისი რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების შეფასების პროცესში, საწარმოს უხდება შესაძლო შედეგების პროგნოზირება, სადაც განუსაზღვრელობის აღქმის ფაქტორს დიდი როლი ენიჭება. ასე მაგალითად, ეკონომიკური აგენტების უნდობლობა მთავრობის მიერ გატარებული

პოლიტიკის მიმართ განაპირობებს მათ მიერ განუსაზღვრელობის აღქმას და შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქვეყნის ტექნოლოგიური ჩამორჩენის მიზეზი, რის შედეგადაც საწარმო თუ მოთიანად ეკონომიკური სისტემა, შეიძლება დიდი ხნით ჩარჩეს ტექნოლოგიურ ხაფანგში (Балацкий, 2003).

მესხეთე ფაქტორს წარმოადგენს სასტარტო პირობების ეფექტი. ცხადია, რომ სხვადასხვა საწარმოებს, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სხვადასხვა სასტარტო მდგომარეობა გააჩნია. მაგალითად განსხვავებული ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს “ტექნოლოგიური ხაფანგის“ დაძლევის შესაძლებლობას. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთნაირი სასტარტო პირობები სულაც არ წარმოადგენს სხვადასხვა სამეურნეო ობიექტების იდენტური განვითარების გარანტიას.

შეექვე ფაქტორად გვევლინება საწარმოს ზომა. მცირე ზომის საწარმოებს უფრო მეტად ახასიათებს ზრდის დიდი პოტენციალი. ასეთი საწარმოს ზრდის კვლადაკვალ ხდება წარმოების ზრდაც და ეს ფაქტორი განაპირობებს საწარმოო სიმძლავრეების განახლებას. რაც შეეხება დიდი ზომის კორპორაციულ სტრუქტურებს, მათ უკვე მოპოვებული აქვთ ბაზარზე გარკვეული წილი და მათი ზრდის პოტენციალი გაცილებით ნაკლებია როგორც ტექნოლოგიური, ისე სავაჭრო შეზღუდვების გამო. აქედან გამომდინარე, კვლავ ვუბრუნდებით უკვე ნახსენებ საწარმოს ეკონომიკური ზრდის ფაქტორს, რომლის გათვალისწინებითაც ხდება გადაწყვეტილების მიღება ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლების შესახებ.

“ტექნოლოგიური ხაფანგის“ წარმოშობას და განვითარებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. ამის ნათელი მაგალითია პოსტსაბჭოთა სივრცე. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის პირობებში წარმოებული პროდუქცია იყო დაბალხარისხიანი და არაკონკურენტუნარიანი, ცხადია, ამ ტიპის პროდუქციის ბაზარი არ არსებობდა. ამ ტიპის ეკონომიკას “ნეკროეკონომიკას“ უწოდებენ. ტრადიციული ეკონომიკის მიხედვით, არაკონკურენტუნარიანი წარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვერ იარსებებს, თუმცა პოსტკომუნისტურ სივრცესთან მიმართებაში ასე არ მომხდარა, რასაც კარგად ხსნის არატრადიციული ეკონომიკის (მაგ., პაპავა, 2011).

როგორც პოსტკომუნისტური სივრცის ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების პრაქტიკამ გვაჩვენა, გარდამავალი ეკონომიკის დროს ადგილი აქვს ეკონომიკური აგენტების დაინტერესებას მოკლევადიან ოპერაციებში, როგორც წესი, იმპორტირებული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვაში, ვინაიდან ამ ოპერაციებს გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს მოკლევადიან პერიოდში, ვიდრე, მაგ., წარმოებაში გრძელვადიან ინვესტიციებს.

“ტექნოლოგიური ხაფანგის“ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითს წარმოადგენს ლათინური კლავიატურის განლაგების QWERT მოდელი. (მაგ: David, 1985; Krugman, 1994). მის განსახილველად, პირველ რიგში, გავისხენოთ ისტორიული ფაქტები.

1868 წელს ამერიკელმა გამომგონებელმა კრისტოფერ ლეთემ შოულზმა მიიღო საბეჭდი მანქანის პირველი პატენტი. შემდეგ, კოლეგებთან და პარტნიორებთან ერთად, მან დაიწყო მუშაობა საბეჭდი მანქანის კონსტრუქციის გაუმჯობესებაზე, რის შედეგად 1871 წელს გაჩნდა თანამედროვე ლათინური კლავიატურის განლაგების QWERT მოდელის წინამორბედი. 1873 წელს შოულზმა უფლებები მიჰყიდა რემინგტონის კომპანიას, რომელმაც მცირეოდენი ცვლილებების შეტანის შემდეგ დაიწყო საბეჭდი მანქანების სერიული წარმოება და რვალიზაცია კლავიატურის განლაგების WERT მოდელით. აღნიშნული საბეჭდი მანქანა (Remington 1) წარმოადგენს სერიული წარმოების პირველ მოდელს და იპყრობს ბაზარს.

1936 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი აგუსტ დვორაკი იღებს პატენტს ლათინური კლავიატურის განსხვავებული განლაგების მოდელზე.

რომელიც ცნობილია როგორც “დვორაკის გამარტივებული კლავიატურა” - DSK. ითვლება, რომ დვორაკის კლავიატურა გაცილებით მარტივია სასწავლებლად და რამდენჯერმე ზრდის მბეჭდავების შრომის ნაყოფიერებას. აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა, რომ ეს ახალი მოდელი იმდენად ეფექტიანი იყო, რომ მბეჭდავების გადამზადების ხარჯები სრულად დაიფარებოდა ამ მოდელის გამოყენების დაწყებიდან 10 დღეში. მიუხედავად ამისა, როგორც ვიცით, დღემდე მსოფლიოში დამკვიდრებულია, და უკვე არა მხოლოდ საბეჭდო მანქანებზე, არამედ კომპიუტერულ ტექნიკაზეც, QWERT მოდელი.

ეს მოდელი წარმოადგენს ასევე კვალ-დამოკიდებულების კარგ ილუსტრაციასაც, რადგან ასახავს ჩვენ მიერ აღნიშნულ ოთხივე მახასიათებელს: ადგილი აქვს მზარდ უკუგებას, რადგან, რაც უფრო მეტი საბეჭდო მანქანა იყიდებოდა, მით უფრო მცირდებოდა მარკეტინგის ხარჯი. ადგილი ქონდა თვითგაძლიერებას, რადგან ყველა ბეჭდვის სასწავლო ლიტერატურა აგებული იყო QWERT მოდელზე. ამ მოდელმა ასევე შექმნა დადებითი უკუკავშირი, რადგან ერთ, QWERT მოდელზე მომუშავე მბეჭდავს შეეძლო დაებეჭდა სხვა საბეჭდო მანქანაზე. დასასრულ, რაც უფრო მეტი მოდელი იყო მოხმარებაში, მით უფრო ვითარდებოდა “ტექნოლოგიური ხაფანგი”.

QWERT მოდელის პირველობამ გამოიწვია მისი მასობრივი ათვისება და ფაქტობრივად სტანდარტად აღიარება, ასე რომ, გაცილებით უკეთესმა კონკურენტულმა მოდელებმა ვეღარ შეძლეს ამ დამკვიდრებული კვალ-დამოკიდებულების შეცვლა, ანუ ადგილი აქვს “ტექნოლოგიურ ხაფანგს”.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობენ ამ საყოველთაოდ აღიარებული მაგალითის კრიტიკოსებიც. 1956 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა ერლ სტრონგმა, საკითხის შესწავლის შემდეგ, დაასკვნა, რომ დვორაკის კლავიატურაზე გადამზადების ხარჯები არა მხოლოდ 10 დღეში, არამედ საერთოდ ვერასდროს იქნება დაფარული. ასევე, ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა, რომ დვორაკის კლავიატურის უპირატესობა QWERT მოდელზე საკმაოდ მცირე და ნაკლებად მნიშვნელოვანია, ამასთან, აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების მიერ ჩატარებულ კვლევებს არ მიუღია ოფიციალური რეპორტის სახე. ასევე სხვადასხვა დროს ტარდებოდა შეჯიბრები DSK და QWERTY მოდელის გამოყენებულ მბეჭდავებს შორის და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ვერც ერთ მოდელს ვერ მიენიჭა განსაკუთრებული უპირატესობა. ამ მაგალითის კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ, მიუხედავად კვალ-დამოკიდებულების კონცეფციისა, რთულად წარმოსადგენია, რომ ნაკლებად ეფექტიან QWERT მოდელს დღემდე ემუშავა.

ამ მაგალითის მთავარ კრიტიკოსებად ითვლებიან ს. ლეიბოვიცი და ს. მარგულისი, რომლებიც ასევე აკრიტიკებენ უილიამ არტურის მიერ განხილულ Beta და VHS ფორმატის ვიდეოჩამწერებს შორის კონკურენციის მაგალითს. მათი აზრით, ამ შემთხვევაშიც, წინა მაგალითის მსგავსად, დამკვიდრებული მოსაზრება არ ითვალისწინებს გარკვეულ დეტალებს.

ისევე, როგორც ნებისმიერი პროცესისთვის, “ტექნოლოგიური ხაფანგისთვისაც” არსებობს ე.წ. “გარდამავალი” მდგომარეობა. აქამდე ჩვენ ვაკეთებდით დაშვებას, რომ საწარმო არ მიმართავს ერთდროულად ძველი და ახალი ტექნოლოგიის გამოყენების პრაქტიკას, არამედ არჩევანი უნდა გააკეთოს ძველ და ახალ ტექნოლოგიას შორის და ამ არჩევანის შესაბამისად იმუშაოს მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებით. პრაქტიკაში ჩვენ ვხვდებით გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობას, როდესაც საწარმო იმუშაობს ერთდროულად ძველსა და ახალ ტექნოლოგიურ რეჟიმში: მაგ., პროდუქციის ნაწილს აწარმოებს ძველი ტექნოლოგიის გამოყენებით, ნაწილს კი ახალით. მაშასადამე, ადგილი აქვს შერეულ ტექნოლოგიურ სტრატეგიას.

ამ ტიპის სტრატეგიების გამოყენება საკმაოდ სარისკოა, რადგან არსებობს იმის საფრთხე, რომ ძველი ტექნოლოგია გაანეიტრალდება ახალი ტექნოლოგიური პროცესიდან მიღებულ/მისაღებ დადებით ეფექტს. დაუშვათ, საწარმოს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები მთლიანად ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად და ახდენს ძველი ტექნოლოგიის მხოლოდ ნაწილის ჩანაცვლებას ახალი ტექნოლოგიით. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, ძველი ტექნოლოგია უკვე ვეღარ იქნება სრულად დატვირთული. ახალი ტექნოლოგიის ამუშავება იწვევს მიმდინარე დანახარჯების ეკონომიას, მაგრამ, ამავდროულად, ძველი ტექნოლოგიის ეფექტიანობა მცირდება, ხოლო მისი მიმდინარე დანახარჯები კი იზრდება. ამის საფუძველზე ე. ბალაცკიმ ჩამოაყალიბა და მათემატიკურად დაამტკიცა შემდეგი თეორემა: როდესაც საწარმო მუშაობს ერთდროულად ორ ტექნოლოგიურ რეჟიმში, პროდუქციის წარმოების ზრდა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად ეფექტიანი მეთოდით წარმოებული პროდუქციის წილი ან საკმარისად დაბალია ან საკმარისად მაღალი (Балацкий, 2003).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში სისტემას შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება გარდამავალ მდგომარეობაშიც, წარმოების სხვადასხვა მეთოდების არსებობის პირობებში. ამ შემთხვევაში ძირითად დანაკარგებს კომპანია განიცდის ძველი მიმდინარე დანახარჯების გამო. მაგრამ ამ გზით ჩამოყალიბებული წონასწორობა არამდგრადია და ტექნოლოგიურ რეჟიმებს შორის ნებისმიერმა ფლუქტუაციამ, შესაძლოა მთელი სისტემა სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს.

ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურულ შემადგენლობას: თუ ის შედგება საკმაოდ მოქნილი და კონკურენტუნარიანი საწარმო ობიექტებისაგან, მაშინ მისთვის ინოვაციურ გზას ექნება აზრი. ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური მიდგომა ავტომატურად ნიშნავს საწარმოო ტექნოლოგიების ხშირ ცვლას, ამდენად აქტიური ინოვაციები შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს რიგი საწარმოებისათვის. ამ მიდგომით შეიძლება აიხსნას განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენის საკითხიც.

“ტექნოლოგიური ხაფანგის“ დაძლევა ან/და თავიდან აცილება შედარებით მარტივდება დიდი ზომის ბაზრებზე. პარადოქსულია, რომ ხაფანგის ჩამოყალიბება ასეთ ბაზრებზე ახალი ტექნოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპებზე ხდება. თუ ისეთ მოთამაშეს, როგორცაა სახელმწიფო, უნდა, რომ შეინარჩუნოს კონკურენტული ბალანსი დანერგვის პროცესის საწყის სტადიაზე მყოფ ტექნოლოგიებს შორის, მან შესაბამისი სტრატეგიული ნაბიჯები დასაწყისშივე უნდა გადადგას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმ ტექნოლოგიის სტიმულირება, რომელიც იმ მომენტისთვის უფრო წამგებიან პოზიციაშია. ცხადია, არსებობს სხვა გზებიც, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია გაზარდოს ტექნოლოგიების ბაზარი: მაგ., ბაზრის გეოგრაფიული არეალის გაზრდა; ტექნოლოგიების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების ნებართვა. ამრიგად, პრაქტიკაში ხაფანგიდან თავის დაღწევა შესაძლებელია, მაგრამ ლიტერატურაში დღემდე თითქმის არ ხდება ამის მოდელირება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., Carrillo-Hermosilla & Unruh, 2006).

ზოგადად, სახელმწიფოს ჩარევა არ უნდა განიხილებოდეს ერთგვარ პანაცეად, რადგან ალბათობა იმისა, რომ აღგილი ექნება სახელმწიფოს ჩარევის ფიასკოს, გაცილებით დიდია, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ თეორიულ მსჯელობებში, სადაც ხშირად ფიასკოს მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევენ. მისი ახსნა შესაძლებელია საზოგადოებრივი არჩევანის თეორიით. აღნიშნული თეორია სახელმწიფოს ჩარევის ეფექტიანობას აყენებს ეჭვის ქვეშ. ამას ხსნის იმით, რომ ადამიანი, იქნება ის საზოგადო მოღვაწე თუ კერძო პირი, მოქმედებს ერთნაირად, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საზოგადოება

შედგება ჰომო ეკონომიკუს-ებისგან. ამდენად, საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფ ადამიანებს ასევე ამოძრავებთ საკუთარი ინტერესები (პაპავა, 2011).

მხოლოდ საქმიანი აქტივობის ზრდა ვერ უზრუნველყოფს “ტექნოლოგიური ხაფანგების“ ლიკვიდაციას. არსებობს სიტუაციები, როდესაც საწარმო, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური ზრდის ზომიერი მანკვინებლები, მაინც რჩება ძველი ტექნოლოგიური რეჟიმის ჩარჩოებში. ხაფანგიდან გამოსვლა, ანუ არაეფექტიანი ტექნოლოგიური მდგომარეობიდან ამოვარდნა, შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო მიაღწევს განვითარების საკმარისად მაღალი ზრდის ტემპს, რომელიც საწარმოს ძველი ტექნოლოგიური ჩარჩოებიდან გამოსაყვანად ჩართავს ინერციის მექანიზმს.

ეს მოსაზრება ასევე ხსნის განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენის მაღალ მდგრადობას. ერთი შეხედვით, ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ ტექნოლოგიური ჩამორჩენის შენარჩუნება საწარმოო რეცესიის პირობებში, ბუნებრივია, ხოლო წარმოებისა და მთელი ეკონომიკის გამოცოცხლების პირობებში “ტექნოლოგიური ხაფანგები“ უნდა იქნეს დაძლეული. თუმცა, პოსტსაბჭოთა სივრცის მაგალითზე ვხედავთ, რომ რეცესიის რეჟიმის შეცვლა ეკონომიკური ზრდით არ ცვლის ვითარებას. მასშტაბური ტექნოლოგიური ინოვაციების უქონლობა წარმოადგენს ამ ტიპის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების ძირითად პრობლემას. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კარდინალური გაუმჯობესებისათვის საჭიროა მდგრადი და მაღალი ეკონომიკური ზრდა და საწარმოო დაგეგმვის გრძელვადიანი პორიზონტები (Балацкий, 2003).

“ტექნოლოგიური ხაფანგის“ დაძლევის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტრატეგია, რომლის მიხედვით, ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობდა ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე ჩინეთმა გააკეთა აქცენტი წარმოების მასშტაბის ზრდაზე. ქვეყანამ მიაღწია დასახულ მიზანს, თუმცა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი საკმაოდ დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პროდუქციამ დაიპყრო არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ სხვა ქვეყნების ბაზრების გარკვეული ნიშები. ამის შედეგად ჩინეთის ეკონომიკამ მიიღო განვითარების ძლიერი იმპულსი და ამისათვის საჭირო ტემპები შეიძინა. ამან საშუალება მისცა ქვეყანას, გადასულიყო შემდეგ ეტაპზე - ეროვნული წარმოების თანდათანობით ტექნოლოგიურ განახლებასა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე. ამ სქემას ჩინეთმა არაერთხელ მიმართა - ექსპანსიის ეტაპიდან გადავიდა საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლების ეტაპზე.

ხაფანგიდან თავის დასაღწევად მიზანმიმართული ქმედებების შესამუშავებლად საჭიროა მისი წარმოშობისა და განვითარების ყველა ფაქტორის გაანალიზება. ეკონომიკური ზრდა, როგორც ხაფანგიდან თავის დაღწევის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი, თავის მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს ინსტიტუციურ ხაფანგს. პოსტსაბჭოთა სივრცის შემთხვევაში, სადაც ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, თითქოსდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დღემდე მოქმედებს ორმაგი სტანდარტები, ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა არ მოიტანოს დადებითი შედეგები. პირიქით, სისტემური კორუფციის პირობებში, მმართველ ორგანოებს მიეცემათ შესაძლებლობა, ეკონომიკური ზრდაც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

დღესდღეობით ხაფანგების თეორია მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული და ხორცშესხმულია, თუმცა მისი განხილვის პროცესი კვლავ გრძელდება. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი მეტწილად მოიცავს გამოცდილების დაგროვებას, რაც, ცხადია, ვერ შეცვლის უკვე არსებულ ვითარებას.

საინტერესოა ასევე ანალიზის მიმართულება, რომელიც გულისხმობს ხაფანგების თეორიის ე.წ. “ჩაშენებას“ საერთო სამეცნიერო მიმართულებებში, მაგ.,

რეფორმების ეკონომიკურ თეორიაში, ინსტიტუტების ეკონომიკურ თეორიაში, ინოვაციების საერთო თეორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვ. (2011), "არატრადიციული ეკონომიკი", თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 391გვ.
2. Arrow, K.J. (1962), "The Economic Implications of Learning by Doing", *The Review of Economic Studies*, Volume 29, Issue 3, (June), 155-173.
3. Arthur, W. B. (1989), "Competing technologies, increasing returns and lock-in by historical events", *Economic Journal*, 99, 116-131.
4. Arthur, W. B. (1996), "Increasing returns and the new world of business", *Harvard Business Review*, (July-August), 100-109.
5. Carrillo-Hermosilla, J. and Unruh, G.C. (2006), "Technology Stability and Change", *An Integrated Evolutionary Approach*, *J. of Econ. Issues* 40, 707-742.
6. Cowan, R. (1990), "Nuclear power reactors: a study in technological lock-in", *The Journal of Economic History*, 50 (3), 541-567.
7. David, P. A. (1985), "Clio and the economics of QWERTY", *American Economic Review*, *Papers and Proceedings*, 75, 332-337.
8. Dosi, G. (1982), "Technological paradigms and technological trajectories: a suggested interpretation of the determinants and directions of technical change", *Research Policy*, 11, 147-162.
9. Katz, M. and Shapiro, C. (1986), "Technology adoption in the presence of network externalities". *Journal of Political Economy* 94: 822-841.
10. Kemp, R. (1994), "Technology and the transition to environmental sustainability", *Futures*, 26 (10), 1023-1046.
11. Krugman, P. (1994), "Peddling Prosperity", New York: W.W. Norton.
12. Leydesdorff, L. (2006), "The Knowledge-Based Economy: Modeled, Measured, Simulated". Boca Raton, FL: Universal Publishers.
13. Liebowitz, S. J. and Margolis, S. E. (1995), "Path dependence, lock-in and history", *Journal of Law, Economics, and Organization* 11: 205-226.
14. LUCAS, R.E. Jr. (1988), "On the Mechanics of Economic Development", *Journal of Monetary Economics* 22, 3-42. North-Holland.
15. Nelson, R. R. and Winter, S. G. (1977), "In search of useful theory of innovation", *Research Policy*, 6, 35-76.
16. Балацкий, Е. (2003), "Экономический рост и технологические ловушки", «Общество и экономика», №11, С. 53-76.

ქეთევან ღამბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

“ტექნოლოგიური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები
ანოტაცია

ნაშრომში განხილულია „ტექნოლოგიური ხაფანგის“ წარმოშობისა და განვითარების მიზეზები, განმსაზღვრელი ფაქტორები, თავისებურებები და მის დაძლევასთან დაკავშირებული სირთულეები. მოყვანილია როგორც უშუალოდ „ტექნოლოგიური ხაფანგის“, ისე მისი დაძლევის პრაქტიკული მაგალითები.

Ketevan Ghambashidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

TECHNOLOGICAL LOCK-IN AND OVERCOMING DIFFICULTIES
Annotation

The paper discusses the causes, determinants, characteristics and complexity of overcoming "Technological lock-in". Practical examples of lock-ins and their overcome are reviewed.

ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოსა და მიზობელ ქვეყნებში

სხვადასხვა ქვეყნებში ტარიფის განსაზღვრა დამოკიდებულია შემდეგ სპეციფიკურ ფაქტორებზე: ელექტროენერჯის გენერაციის, მიწოდებისა და დისტრიბუციის ხარჯებზე, ექსპორტ-იმპორტის მოცულობაზე, ელექტროენერჯის სექტორის განვითარების ეტაპზე, ინვესტიციების მოცულობასა და ბაზარზე არსებულ რისკებზე.

ეკონომიკურად სწორი ტარიფის შერჩევა მნიშვნელოვანია მომხმარებლების კეთილდღეობის მაქსიმიზაციისათვის, უზრუნველყოფს განხორციელებული ინვესტიციების შემოსავლიანობას და წარმოადგენს სექტორის სამომავლო განვითარების ძირითად ფაქტორს. ტარიფის ობიექტური შედგენა გულისხმობს ტარიფის დიფერენციაციას იმ კომპონენტებად, რომლებიც ასახავს მათთვის მიწოდებულ ელექტროენერჯიაზე გაწეულ ხარჯებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე.

თანამედროვე მსოფლიოში ტარიფების შედგენის განსხვავებული მეთოდოლოგიები გამოიყენება: საფეხურებრივი, საშუალო, ზღვრული, სეზონური, პიკური და ინოვაციური. ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიების განსხვავების მიუხედავად, ყველა მათგანს მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომერციული და კონკურენტული ურთიერთობები აერთიანებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომ – კომისია) უფლებამოსილებაა სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება. 2014 წელს კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში შემუშავებული და დამტკიცებულ იქნა ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას და ორ ძირითად პრინციპზეა აგებული: „წამახალისებელი“ (რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო დანახარჯების შემცირებას და, შესაბამისად, მოგების ზრდას) და კაპიტალზე ამონაგების ნორმის რეგულირება.

ისტორიულად, საქართველოს ელექტროენერჯის ტარიფი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 1997 წლის 1 აგვისტომდე ქვეყანაში ელექტროენერჯის ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის, გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისაგან შესასყიდი ტარიფი დაწესდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით – 4.5 თეთრი ერთ კილოვატ საათზე. 1998 - 2014 წლებში საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფი საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება:

ცხრილი 1

1997 - 2014 წლებში საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფი

| წელი | ტარიფი (Lკვსთ თეთრებში) | |
|-------------|-------------------------|-----------|
| | თბილისი | რეგიონები |
| 1997 წლამდე | 4,5 | 4,5 |
| 1998 | 6 | 6 |
| 1999 | 9 | 8 |
| 2000 | 9,8 | 8,5 |
| 2001 | 12,4 | 8,1 |
| 2002 | 13,7 | 8,5 |
| 2003 | 10,2 | 6,35 |
| 2006-2010 | 13.327 | 13.277 |
| 2010-2012 | 13.327 | 13.277 |
| 2013 | 11.327 | 12.277 |
| 2013-2014 | 11.197 | 12.215 |

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ცხრილიდან ჩანს, რომ 1997 წლიდან 2014 წლამდე ტარიფი თითქმის 8 ერთ-ეულით გაიზარდა, რაც 148%-იან ზრდას მიუთითებს. ტარიფის ყველაზე დიდი ზრდის მანქანების 2006-2012 წლებში შეინიშნება. ტარიფების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მოტივია ძირითადი აქტივების მატება, თბოელექტროსადგურებში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ფასის მატება, ინფლაცია და ვალუტის კურსის გაუფასურება.

ტარიფის ზრდის ტემპი შესამჩნევად განსხვავებულია თბილისსა და რეგიონებში. 2006-2010 წლებში, 2003 წელთან შედარებით, რეგიონებში ელექტროენერჯის ტარიფი თითქმის გაორმაგდა, 7 ერთეულით გაიზარდა და თითქმის თბილისში არსებულ ტარიფს გაუთანაბრდა. თუმცა, 2013 წლიდან ტრენდის ცვლილება შეინიშნება, რეგიონებში არსებული ტარიფი უკვე 8%-ით აღემატება თბილისში არსებულ ტარიფს. ზრდა მოხდა განხორციელებული ინვესტიციების გამო და ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 აგვისტოს 170 დადგენილებას „საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე“.

2006 წლიდან ელექტროენერჯის ტარიფი საქართველოში საფეხურებად არის დაყოფილი. აბონენტს, რომელიც თვეში 100 კილოვატამდე ელექტროენერჯიას მოიხმარს, ერთ კილოვატაში 13.5 თეთრის გადახდა უწევს, თუ თვეში 101 და 300 კვტს-მდე ელექტროენერჯიას ხარჯავს, მაშინ 16 თეთრის გადახდა უწევს, ხოლო მესამე კატეგორიის აბონენტს, რომელიც 301 კილოვატ საათზე მეტს მოიხმარს, ერთი კილოვატ ელექტროენერჯიაში 17.7 თეთრის გადახდა უწევს.

სომხეთი

ენერჯეტიკის სფეროში რეგულაციების გატარება სომხეთის საზოგადოებრივი მომსახურების მარეგულირებელი კომისიის პასუხისმგებლობაა, რომელიც დაარსდა 1997 წელს. საზოგადოებრივი მომსახურების მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტოა და სახელმწიფო ვერ ერევა მის გადაწყვეტილებებში. აღნიშნული მარეგულირებელი ორგანო პასუხისმგებელია ელექტროენერჯის, გაზის, გათბობისა და სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე. კომისიის საბჭო შედგება: თავმჯდომარის, 5 კომისიონერის და 107 მაღალკვალიფიციური თანამშრომლისაგან. სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება და ტარიფების დადგენა საჯარო მომსახურების მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა.

სომხეთის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი „ენერჯის დაზოგვისა და განახლებადი ენერჯიების შესახებ“ 2004 წლის 9 ნოემბერს, რომელიც განსაზღვრავს ეფექტური ელექტროენერჯის წარმოებასა და განახლებადი ენერჯის ხელშეწყობას. ბევრი შუალედური კანონმდებლობა ჯერ კიდევ დასამუშავებელია. თუმცა, არსებული feed-in-სატარიფო სისტემა კვლავ შენარჩუნებულია. შესაბამისად, შექმნის ფასი უფრო მაღალია ვიდრე ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი.

2009 წლის 1 იანვარს სომხეთში შემდეგი ტარიფები ჩამოყალიბდა (ტარიფი არ შეიცავს გადასახადებს და დაშვებულია, რომ სომხური დრამის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან არის 400):

- მცირე ჰესები (აშენებული ბუნებრივ აკვედუკზე) = 17.127 დრამა/კვტსთ (4.28 ცენტი აშშ/კვტსთ)
- მცირე ჰესები (აგებულია სარწყავ სისტემებზე) = 11.417 დრამა/კვტსთ (2.85 ცენტი აშშ/კვტსთ)
- მცირე ჰესები (აგებული სასმელი წყლის აკვედუკთან ერთად) = 7.613 დრამა / კვტსთ (1.90 ცენტი აშშ/კვტსთ)
- ქარის ელექტროსადგურები = 31.387 დრამა / კვტსთ (7.85 ცენტი აშშ/კვტსთ)

- ჰესები, რომლებიც გამოიყენებენ ბიომასას, როგორც ძირითად ენერჯიას = 32.803 დრამა / კვტსთ (8.20 ცენტი აშშ / კვტსთ).

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომპანია „აზერენერჯი“ წარმოადგენს როგორც ერთადერთ მწარმოებელს ბაზარზე, ასევე ერთადერთ მიმწოდებელს, შესაბამისად აზერბაიჯანის ელექტროენერჯიის ბაზარი არის მონოპოლიზებული. აზერბაიჯანის შემუშავებული კანონმდებლობა ითვალისწინებს არადისკრიმინაციული დაშვების პრინციპებს ქსელის ინფრასტრუქტურასთან, თუმცა არსებული რეალობის გათვალისწინებით ეს კანონი უგულებელყოფილია. აზერბაიჯანში არ არის შემუშავებული ქსელის კოდი, შესაბამისად ქსელის მდგრადობა და საიმედოობა ბევრ კითხვას ტოვებს.

ელექტროენერჯიის ქსელის ხელმისაწვდომობა და განხორციელებული ინვესტიციები გარანტირებულია ელექტროენერჯიის კანონის მიხედვით. არ არსებობს დაშვების ტარიფი წარმოებისთვის/საცალო ყიდვის და გადაცემის ან/და განაწილებისთვის. ყველა მხარემ, რომელიც მოითხოვს ხელმისაწვდომობას გადაცემ და სადისტრიბუციო ქსელთან, კანონის თანახმად, იგივე ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა შეასრულოს, განურჩევლად დისკრიმინაციისა და სხვა უპირატესობებისა.

ენერჯეტიკის მარეგულირებელ-სატარიფო საბჭოს მინიჭებული აქვს უფლება მოსიღებო, დაადგინოს ტარიფის მეთოდოლოგია, დაუმტკიცოს ამ სექტორში მოღვაწე კომპანიებს ტარიფი, შეიტანოს ტარიფთან დაკავშირებული სამართლებრივი ცვლილებები და მოაგვაროს ტარიფთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები. მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს ტარიფის ნაწილში არსებული ხარჯების ეკონომიკური დასაბუთება. გაანგარიშებული ტარიფი, განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ხდება საჯარო. მოსახლეობისათვის ხდება ერთიანი ტარიფის შედგენა, ხოლო კომერციული და ინდუსტრიული საწარმოებისთვის განსხვავებული ტარიფებია დადგენილი.

აზერბაიჯანის ელექტროენერჯიის სფეროში შემდეგი ტარიფები არსებობს:

- მწარმოებლისგან ელექტროენერჯიის შესყიდვის ტარიფი;
- საბითუმო გასაყიდი ტარიფი;
- საცალო გასაყიდი ტარიფი;
- ელექტროენერჯიის ექსპორტისა და იმპორტის ტარიფი.

მომსახურების სფეციფიკიდან გამომდინარე, ტარიფები განისაზღვრება აუცილებელი მოგების მიღების პირობით, თვითღირებულების, წარმოების, ტექნოლოგიური პარამეტრების ხარჯების გათვალისწინებით. ტარიფები გათვლილია ხარჯთსარგებლიანობის საფუძველზე წინა წლების ანგარიშებსა და მონაცემებზე, ტარიფების შედგენის დროს გაითვალისწინება საპროგნოზო მანუვრებლებიც. ასევე სატარიფო განაკვეთი აერთიანებს სუბსიდიის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება მთავრობის მიერ. ტარიფები აზერბაიჯანში არის შემდეგი:

- ელექტროენერჯიის საშუალო ტარიფი მწარმოებლებისა და საბოლოო მომხმარებლებისათვის 7,5 ცენტი აშშ / კვტსთ.
- ჰესებიდან მიღებული ელექტროენერჯიის ტარიფი 3,1 ცენტი აშშ / კვტსთ.
- ქარის ენერჯიიდან - 5,7 ცენტი აშშ / კვტსთ.

თურქეთი

თურქეთის ელექტროენერჯიის ბაზარი თავდაპირველად იმართებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპა-

ნიების მიერ. 2001 წელს, თურქეთის მთავრობამ მიიღო კანონი №4628, რომელმაც თანდათანობით თურქეთის ელექტროენერჯის მონოპოლიური ბაზარი კონკურენტუნარიან სტრუქტურად ჩამოაყალიბა.

ელექტროენერჯის ბაზრის მარეგულირებელი ერთეული (EMRA) თურქეთის რესპუბლიკაში ერთადერთ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს: ელექტროენერჯის, გაზის, ნავთობის და თხევადი გაზის ბაზარზე იგი ავტონომიური სუბიექტია და აწარმოებს ბაზრების და ბაზრის მოთამაშეების მონიტორინგს, აუდიტს და ზედამხედველობას, ამტკიცებს ტარიფებს. მისი ძირითადი მიზნებია:

ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი, სტაბილური და კონკურენტუნარიანი ენერჯობაზრის არსებობა,

მდგრადი, მაღალი ხარისხის და სანდო ენერჯომომარაგების უზრუნველყოფა დაბალ ფასად, გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე.

თურქეთში 2013 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომლის თანახმად ელექტროენერჯით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებები ითვალისწინებს:

- ბაზრის გაყოფას და სისტემის ოპერაციების განხორციელებას გადაცემის სისტემის ოპერატორების მიერ;
- ბაზრის დამოუკიდებელი ოპერატორის შექმნას;
- საცალო და საბითუმო ოპერაციების კომბინირებას მიმწოდებლის ლიცენზიაში,
- იმპორტის/ექსპორტის ნებართვის გაცემას გენერატორებსა (მხოლოდ ექსპორტი) და საცალო მოვაჭრეებზე (მიმწოდებლის ლიცენზიით).

2006 წელს შემოღებული 5 წლიანი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა ელექტროენერჯის ტარიფების ფასწარმოქმნის დაფუძნებას ხარჯებზე. აღნიშნული პერიოდი გაგრძელდა დამატებით 2 წელი. 2012 წლის შემდეგ ელექტროენერჯის ტარიფები თურქეთში დამოკიდებულია გაწეულ ხარჯებზე, რომელიც გულისხმობს როგორც გენერაციის პროცესთან დაკავშირებულ, ასევე ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ელექტროენერჯის გენერაციის ზრდადმა ხარჯებმა შეამცირა კერძო და საჯარო კომპანიების მომგებიანობა და შექმნა არასასურველი გარემო ინვესტიციებისათვის. იმისათვის რომ ელექტროენერჯის მწარმოებლებს შეძლებოდათ ელექტროენერჯის გაყიდვა რეგულირებულ ფასებზე მაღალ ფასად, ერთი ბაზრის ოპერატორის სისტემა იქნა შემოღებული. 2008 წელს, ელექტროენერჯის ზრდადი საწარმოო ხარჯების პირობებში და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების ხელშესაწყობად, CBP მექანიზმი გაეშვა მოქმედებაში.

ერთი ბაზრის ოპერატორის მიერ დადგენილი ფასების საშუალო ისტორიულად აღემატება თურქეთის გადამცემა ხაზების ოპერატორის ფასებს. მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდეგ, აღნიშნული ფასები მცირე ხნით იყო მიახლოებული ერთმანეთთან.

ელექტროენერჯის ბაზრის მარეგულირებელი ერთეულის აქტიურმა ჩართულობამ და კანონმდებლობის აღსრულებამ ბაზარზე უზრუნველყო ერთი მყიდველის მოდელის სრულ საცალო კონკურენტულ მოდელში ტრანზორმაცია. დღესდღეობით ტარიფები თურქეთში არის შემდეგი:

- ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი საბოლოო მომხმარებლებისათვის 14,2 ცენტი აშშ / კვტსთ.
- ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 9 ცენტი აშშ / კვტსთ.


რუსეთი

რუსეთში ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერჯოსექტორის დაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა გადაცემის ქსელის ოპერატორი, გამანაწილებელი კომპანიები და დამოუკიდებელი მწარმოებლები. დარგის რეფორმირებამდე ელექტროენერჯით ვაჭრობა ხორციელდებოდა საკმაოდ დაბალი რეგულირებული ფასებით და შესაბამისად წარმოდგენდა ინვესტიციებისათვის არასახარბიელო სექტორს. ამჟამად რუსეთის ენერჯოსექტორი საათობრივი ვაჭრობის სისტემაზე გადასული და ერთი დღით ადრე ახდენს მიწოდება-მოსმარების დაბალანსებას.

ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი მოსახლეობისთვის არის: 4 ცენტი აშშ/კვტსთ.

ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი სამრეწველო სექტორისათვის არის: 6 ცენტი აშშ/კვტსთ.

ცხრილი 2



Energy Community და მარეგულირებელი ორგანიზაციის ვებგვერდები

ცხრილი 2-ზე მოცემულია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების (სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და თურქეთის) ტარიფები 1998-2014 წლებში. მონაცემები აღებულია Energy Community-სა და ქვეყნების მარეგულირებელი ორგანიზაციის ვებგვერდებიდან და 1 კილოვატ საათი ელექტროენერჯის ღირებულება მოცემულია აშშ დოლარში.

საქართველოს, სომხეთსა და რუსეთს ელექტროენერჯიაზე თანაბარი ტარიფი გააჩნდათ 1998 წელს, თურქეთში არსებული ტარიფი 144%-ით აღემატებოდა იმ დროისათვის რეგიონში არსებულ მინიმალურ ტარიფს. აზერბაიჯანის ელექტროენერჯის ტარიფის გაანალიზება მხოლოდ 2007-2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი.

1998-2014 წლებში ქვეყნებში მზარდი ტრენდის მიუხედავად, ელექტროენერჯის ტარიფის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნებს შორის. მათ შორის საქართველოში ტარიფის ზრდა 180%-ით მოხდა და თურქეთში არსებულ ელექტროენერჯის ტარიფს მხოლოდ 24%-ით ჩამორჩებოდა.

საინტერესოა აგრეთვე ელექტროენერჯის ღირებულება საცალო ქსელში საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში, სადაც საშუალოდ, 1 კვტ სთ ელექტროენერჯია 8.1 აშშ ცენტი ღირს, საქართველოში კი საშუალოდ 9.62 აშშ ცენტი.

საცალო ტარიფების დონე საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში

| ქვეყანა | აშშ ცენტი/კვტსთ | საქართველოსთან შედარება (%) |
|-------------|-----------------|-----------------------------|
| სომხეთი | 4,67 | -51,5 |
| აზერბაიჯანი | 7,5 | -22 |
| საქართველო | 9,62 | 100 |
| რუსეთი | 6 | -37,6 |
| თურქეთი | 14,2 | 47,6 |

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”. №1934, საკანონმდებლო მაცნე №15.
2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე”, თბილისი, 07.07.06, №3190-IX.
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” წლიური ანგარიში – 2014.
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში- 2014 წ.
5. Azerbaijan National Case Study for Promoting Energy Efficiency Investment. An Analysis Of The Policy Reform Impact On Sustainable Energy Use In Buildings, [Http://Www.unece.Org/Fileadmin/DAM/Energy/Se/Pdfs/Gee21/Projects/Cs/CS_Azerbaijan.Pdf](http://www.unece.org/fileadmin/DAM/Energy/Se/Pdfs/Gee21/Projects/Cs/CS_Azerbaijan.Pdf)
6. Cooke, D. (2013). Russian Electricity Reform 2013 Update: Laying An Efficient And Competitive Foundation For Innovation And Modernisation. International Energy Agency, (S 107).
7. Erdogdu, E. (2007). Regulatory Reform In Turkish Energy Industry: An Analysis. Energy Policy, 35(2), 984-993.
8. Georgian Balancing Market Transition, USAID Hydro Power And Energy Planning Project (HPEP), Deloitte Consulting LLP, JUNE, 2014
9. International Energy Agency – Key World Energy Statistics. 2007-2010
10. In Depth Review of the Energy Efficiency Policy of Azerbaijan, ENERGY CHARTER SECRETARIAT, 2013
11. Municipal Energy Efficiency Policy Reforms In Georgia, [Http://Www.unece.Org/Fileadmin/DAM/Energy/Se/Pdfs/Gee21/Projects/Cs/CS_Georgia.Pdf](http://www.unece.org/fileadmin/DAM/Energy/Se/Pdfs/Gee21/Projects/Cs/CS_Georgia.Pdf)
12. Overview Of Competitive Power Markets And The Electricity Sector In Georgia, USAID Hydro Power And Energy Planning Project (HPEP), Deloitte Consulting LLP, Tuesday, AUGUST 15, 2013
13. Pricing On Contracting And Balancing Markets For Stage 1 Of Transition To Hourly Electricity Market In Georgia, Usaid Hydro Power And Energy Planning Project (HPEP), Deloitte Consulting LLP, August 05, 2014
14. Rangel, L. F. (2008). Competition Policy And Regulation In Hydro-Dominated Electricity Markets. Energy Policy, 36(4), 1292-1302.
15. Regional Electricity Market Review, USAID Hydro Power And Energy Planning Project (HPEP), Deloitte Consulting LLP, Tuesday, August 2013
15. Republic of Armenia: Power Sector Tariff Study (June 2013), ECSEG, EUROPE AND CENTRAL ASIA

16. Turkish Power Market Annual Report (2013), Usaid Hydro Power And Energy Planning Project (HPEP), Deloitte Consulting LLP, Tuesday, JULY 18, 2014
17. [Http://Ec.Europa.Eu/Eurostat/Statistics-Explained/Index.Php/Main_Page](http://Ec.Europa.Eu/Eurostat/Statistics-Explained/Index.Php/Main_Page)
18. [Http://Www.Esco.Ge/](http://Www.Esco.Ge/)
19. [Http://Www.Geostat.Ge/](http://Www.Geostat.Ge/)
20. [Http://Gnerc.Org/](http://Gnerc.Org/)
21. [Http://Www.Gse.Com.Ge/New/](http://Www.Gse.Com.Ge/New/)
22. [Https://Ec.Europa.Eu/Energy/En/Topics/International-Cooperation/Energy-Community](https://Ec.Europa.Eu/Energy/En/Topics/International-Cooperation/Energy-Community)
23. [Http://Hydropower.Ge/](http://Hydropower.Ge/)
24. [Http://Www.Teias.Gov.Tr/](http://Www.Teias.Gov.Tr/)
25. Www.Erranet.Org
26. <http://www.invest.gov.tr/enUS/investmentguide/investorsguide/Pages/BusinessPremises.aspx>
27. <http://Itv.ge/ge/videos/view/152869/555.html>

დავით ქადაგიძე
თსუ დოქტორანტი

ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში
ანოტაცია

ქვეყნებში ტარიფის განსაზღვრა დამოკიდებულია შემდეგ სპეციფიკურ ფაქტორებზე: ელექტროენერჯის გენერაციის, მიწოდებისა და დისტრიბუციის ხარჯებზე, ექსპორტ-იმპორტის მოცულობაზე, ელექტროენერჯის სექტორის განვითარების ეტაპზე, ინვესტიციების მოცულობაზე და ბაზარზე არსებულ რისკებზე.

ისტორიულად, საქართველოს ელექტროენერჯის ტარიფი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ტარიფების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მოტივია ძირითადი აქტივების მატება, თბოელექტროსადგურებში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ფასის მატება, ინფლაცია და ვალუტის კურსის გაუფასურება.

1998-2014 წლებში საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების (სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და თურქეთის) ტარიფების მზარდი ტრენდის მიუხედავად, ელექტროენერჯის ტარიფის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

David Kadagidze
Doctoral student of TSU

ELECTRO POWER TARIFFS IN GEORGIA AND NEIGHBORING COUNTRIES

Annotation

Despite of the increasing trend in Georgia and its neighbor countries for the 1998-2014 years, the rate of growth of the electricity tariff in each countries varied considerably.

Tariffs varies by country. Their determination depends on country specific factors, such as: electricity generation, supply and distribution costs, export- import value, the level of electricity sector development, investment value and market risk.

Historically electricity tariff in Georgia is characterized with increasing trend. The main factors that draw increase of tariffs are: increasing assets, higher price of natural gas consumed in thermal power substations, inflation and the depreciation of exchange rate.

გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და შედეგები

მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა მსოფლიოს ეკონომიკური გარემოსთვის. ფინანსური კრიზისისგან გამოწვეული დანაკარგები ქვეყნების მიხედვით მშპ-ის 6% – 14% ფარგლებშია⁴⁶ და მოსალოდნელია, რომ მისი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება.

კრიზისი რამდენიმე ეტაპად განვითარდა. 2007 წლის დასაწყისში აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე დაწყებული პრობლემები მალევე გადაიზარდა განვითარებული ქვეყნების ფინანსურ კრიზისში. მსოფლიოს უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტების დანაკარგებს საკრედიტო პირობების გამკაცრება და დაკრედიტების შემცირება მოჰყვა, რამაც ეკონომიკური აქტივობის შეფერხება განაპირობა. სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა 2008 წლის სექტემბერში, როდესაც მსოფლიოს რამდენიმე უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი გაკოტრდა.

თავდაპირველად აშშ-ს საფინანსო ბაზრებზე დაძაბულობა ე.წ. „საბპრაიმ“ იპოთეკური სესხების პრობლემებს მოჰყვა. კრიზისის დასაწყისში მისი გავლენა მსოფლიოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, საკმაოდ მოკრძალებული იყო. ფინანსური კრიზისის ძირითად მიზეზს უძრავი ქონების ბუშტი წარმოადგენდა, რომლის წარმოქმნას ხელი შეუწყო ახალმა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, გლობალურმა მაკროეკონომიკურმა დისბალანსმა შეუწყო ხელი, რომელსაც წინეთის და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მიერ მაღალი დანაზოგები ქმნიდა. მაღალი დანაზოგების პირობებში ინვესტიციების ათვისებას ადგილობრივი ეკონომიკა ვეღარ ახერხებდა და, შესაბამისად, მათ საერთაშორისო აქტივების დაგროვება უწევდათ. ამას ისიც ამწვავებდა, რომ ეს ქვეყნები უმეტესად ფიქსირებული ან მართვადი კურსის პირობებში ფუნქციონირებდნენ და ადგილობრივ ვალუტას საკმარისად გამყარების საშუალებას არ აძლევდნენ, რაც ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვებს ზრდიდა. შესაბამისად, დიდი ოდენობით ინვესტიციები იქნა მიმართული განვითარებული ქვეყნების გრძელვადიან და ურისკო აქტივებში, რასაც შედეგად მათი სარგებლის განაკვეთების შემცირება მოჰყვა. ეს პროცესი ავიწროვებდა განვითარებული ქვეყნების კომერციულ ბანკებს, რომელთაც, დაბალი სარგებლის განაკვეთების გამო, შემცირებული შემოსავლიანობის კომპენსაცია უფრო რისკიანი დაკრედიტებით უწევდათ.

ბანკებმა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა დაიწყეს, რომლებიც, ერთი შეხედვით, მომგებიანი და უსაფრთხო ჩანდა. ე.წ. „სეკურიტიზაცია“⁴⁷ და „სტრუქტურირებული ფინანსური ინსტრუმენტები“ აღმოჩნდა ის საშუალება, რომლითაც მაღალრისკიანი აქტივებიდან (მათ შორის დაბალი საკრედიტო სტანდარტებით გაცემული რისკიანი იპოთეკური სესხებიდან – ე.წ. „სუბპრაიმ“ სესხებიდან) შედარებით დაბალრისკიანი და ლიკვიდური ფინანსური აქტივების

⁴⁶ შეფასება მიღებულია მშპ-ს მიმდინარე დონის შედარებით იმ წარმოსახვით დონესთან, რომელიც ფინანსური კრიზისის გარეშე იქნებოდა (BIS, 84th Annual Report, III Growth and Inflation: drivers and prospects).

⁴⁷ აღნიშნული გულისხმობს, რომ მაგ., სხვადასხვა იპოთეკური სესხების გაერთიანება ერთ აქტივად შემდგომ შესაძლოა გადაიყიდოს ინვესტორზე. ამ ფასიანი ქაღალდის უკან კვლავ იპოთეკური სესხები დგას, თუმცა ნაცვლად ერთისა უკვე რამდენიმე.

სინთეზირება გახდა შესაძლებელი. ამ ინსტრუმენტებით ფინანსური სექტორი უძრავი ქონების ბაზარს დიდი ოდენობის დაკრედიტებას აწვდიდა, რამაც განაპირობა ფასების ხანგრძლივი და სწრაფი ზრდა. ფასების მზარდი ტენდენცია სპეკულაციურ მოლოდინებში გადაიზარდა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამწვავებდა ფასების ზრდის ტენდენციას⁴⁸.

რისკიანი აქტივებიდან დაბალრისკიანი ფინანსური აქტივების შექმნის იდეა სტატისტიკურ პრინციპს ეფუძნება, რომლის მიხედვითაც იდიოსინკრატიული რისკის შემცირება დივერსიფიცირების მეშვეობით არის შესაძლებელი. შესაბამისად, სეკურიტიზაციამ შექმნა იმის საშუალება, რომ რისკიანი აქტივების ისეთიანი სტრუქტურირება მომხდარიყო, რომ მათგან დაბალი რისკის მქონე ფულადი ნაკადების მიღება ყოფილიყო შესაძლებელი. აღნიშნული მიდგომა ადვილად გავრცელდა ბანკების საქმიანობაში, რადგან იგი, ერთი შეხედვით, რისკებისგან მარტივად დაზღვევის საშუალებას წარმოადგენდა, რაც ბანკებისთვის რისკიანი დაკრედიტების მიზიდველ საშუალებას ქმნიდა.

ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზაში მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები მართლაც დაბალი რისკით ხასიათდებოდა, თუმცა სისტემური რისკის მიმართ ძალიან მგრძობიარენი აღმოჩნდნენ. ფინანსური ბაზრის ეკონომიკურ ამოცანას რისკის შეფასება და კაპიტალის ოპტიმალურად გადანაწილება წარმოადგენს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რთულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, ფინანსურმა ბაზარმა ამ ფუნქციის შესრულება ვერ შეძლო და რისკის მართვის ნაცვლად დამატებითი რისკი შექმნა. ამის უპირველესი მიზეზი ახალი ინსტრუმენტების გაუმჭვირვალობა იყო, რაც მათი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარეობდა. წარმოებული საკრედიტო ინსტრუმენტები, რომლებიც ე.წ. „სეკურიტიზაციის“ და „ფინანსური სტრუქტურირების“ შედეგად იყო მიღებული, იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მასთან ასოცირებული რისკების სრულყოფილად გაანალიზება ბაზრისათვის ძნელი აღმოჩნდა. ინვესტორები სრულად მიენდნენ სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებს, რამაც ბაზრის მონაწილეების ე.წ. „ჯოგურ ქცევას“ შეუწყო ხელი.

თავის მხრივ, სარეიტინგო სააგენტოების მიერ რისკების არაადეკვატურად შეფასების მთავარი მიზეზი მისი პროციკლურობა⁴⁹ გახდა, რაც სარეიტინგო კომპანიების მეთოდოლოგიაში სისტემური და მაკროეკონომიკური რისკების გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო. მოდულები, რომლებიც რისკების შეფასებისას სტრესული სცენარების ანალიზისთვის გამოიყენებოდა, უმეტესწილად ეკონომიკური ციკლის მხოლოდ აღმავალი ფაზის მონაცემებს ეყრდნობოდა და ვერ ითვალისწინებდა იმ მიზეზშედევობრივ კავშირებს, რომელიც ეკონომიკური ვარდნის პირობებში წარმოიშობოდა. რეალურად კი, ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც თითქმის ურისკო აქტივებად იყო შეფასებული, გაცილებით მაღალრისკიანი აღმოჩნდა.

ფინანსურ ბაზარზე რისკების დაგროვების ერთ-ერთ მიზეზს საზედამხედველო პოლიტიკის „ხარვეზები“ წარმოადგენდა, რამაც სეკურიტიზაციის ცუდი პრაქტიკის გამოყენებას შეუწყო ხელი. საფინანსო სექტორის საზედამხედველო ორგანოებმა ვერ შეძლეს ჯეროვნად ეპასუხათ ფინანსური ინოვაციების სწრაფი განვითარებისთვის. იმ საზედამხედველო ორგანოებმაც კი, რომლებიც ყველაზე განვითარებულ საზედამხედველო პრაქტიკას იყენებდნენ, როგორც აღმოჩნდა

⁴⁸ Self-fulfilling expectations.

⁴⁹ საკრედიტო რეიტინგების პროციკლურობა გულისხმობს, რომ ეკონომიკის ბუმის ფაზაში სარეიტინგო შეფასებები გადაჭარბებულად მაღალია, ხოლო ეკონომიკური რეცესიის ფაზაში პირიქით. იხ. Turner 2009 “The Turner Review: A regulatory Response to the Global Banking Crisis”, Financial Services Authority, UK

საკმაოდ გვიან გააცნობიერეს, რომ საფინანსო ინსტიტუტები ხშირად გარესაბალანსო აქტივების გამოყენებით ცდილობდნენ კაპიტალის დამატებითი მოთხოვნისთვის დაედწიათ თავი⁵⁰.

სეკურიტიზაცია ბანკებს საშუალებას აძლევდა, ბალანსზე არსებული სესხები გარესაბალანსო უწყისზე გადაეტანათ და ფინანსურ ბაზრებზე გადაეყიდათ, რაც მათ დამატებითი საკრედიტო რესურსის მოზიდვის საშუალებას აძლევდა. ბანკები სესხების გაცემის, სტრუქტურირებით და გადაყიდვით მარჯას და საკომისიო შემოსავლებს ღებულობდნენ. ბანკის ბალანსზე არსებული სესხი მაღალი კაპიტალის მოთხოვნის ობიექტია, თუმცა, მისი სეკურიტიზაციის და გაყიდვის შემდეგ, ის ბანკის სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ხვდება, რაც, თავის მხრივ, ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს. სეკურიტიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები და კაპიტალი კვლავ სესხების გაცემას ხმარდებოდა. ეს საზედამხედველო ხარვეზი ბანკებს საშუალებას აძლევდა, რისკები კაპიტალის ზრდის გარეშე გაეზარდათ.

საფინანსო სექტორი, სხვა სექტორებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ლევერეჯის⁵¹ პირობებში ფუნქციონირებს და მას ე.წ. „შეზღუდული პასუხისმგებლობის პრობლემა“ ახასიათებს⁵². შესაბამისად, არარენტაბელობის შემთხვევაში ბანკების მმართველთა ინტერესები არ არის ყოველთვის საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამისი. საფინანსო სექტორის სწორედ ეს განსხვავებაა მათი რეგულირების ერთ-ერთი მიზეზი. კერძოდ, არასწორად სტრუქტურირებული ინტერესები ხელს უწყობს ბანკებს, გარკვეულ რისკებზე წავიდნენ, რაც შესაძლოა არ იყოს საზოგადოებრივ ინტერესებში. კრიზისს წინ უძღოდა ის გარემოება, რომ ბანკებმა რისკის ჭარბად აღება და ფინანსური ზედამხედველობის პრაქტიკაში არსებული „ხარვეზების“ გამოყენება დაიწყეს, ხოლო დანაკარგების რეალიზაციის შემთხვევაში, მთელი დატვირთვა გადასახადების გადამხდელებზე გადავიდა. თავის მხრივ, ბანკების მმართველ მენეჯერთა კომპენსაციის სქემები არ იყო სწორად ჩამოყალიბებული, რაც მათთვის გრძელვადიანი რისკების ფასად მოკლევადიანი სარგებელის მიღების წახალისებას ახდენდა (მაგ., Benanke, 2009).

ყოველივე ამან ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვანი რისკების აკუმულირება განაპირობა, რაც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა. თავდაპირველად ე.წ. „საბპრაიმ“ იპოთეკური სესხების გაკოტრებები გაზარდა, რასაც სარეიტინგო კომპანიების მხრიდან მსგავსი ტიპის აქტივებზე საკრედიტო რეიტინგების მნიშვნელოვანი გაუარესება მოჰყვა. შესაბამისად, აღმოჩნდა რომ ფინანსურ ინსტიტუტებს მაღალი ფასი ჰქონდათ გადახდილი ამ აქტივების შესაძენად (რადგან ეგონათ, რომ დაბალი რისკის მქონე იყო). აქტივების გადაფასებამ მრავალი ფინანსური ინსტიტუტის საბალანსო უწყისის გაუარესება განაპირობა და მათი გადახდისუნარიანობაზე საფუძვლიანი ეჭვი წარმოშვა. ბანკების საკუთარი კაპიტალი, რომელიც მსგავსი შემთხვევებისთვის დანაკარგების დაფარვისთვის ბუფერს წარმოადგენს, აღარ იყო საკმარისი. ასევე, მნიშვნელოვან სირთულეებს წააწყდნენ ბანკები ახალი კაპიტალის მოზიდვისას, რადგან კაპიტალის საჭიროება ტოტალური ხასიათის იყო მთელი ფინანსური სისტემისთვის.

⁵⁰ მაგალითად, Caprio, Demirgüç-Kunt and Kane, 2008.


⁵¹ ლევერეჯი წარმოადგენს კომპანიის აქტივების ფარდობას მის საკუთარ კაპიტალთან (ანუ აქტივების ფარდობა აქტივებსდაკლებული ვალდებულებებთან).

⁵² აღნიშნული გულისხმობს, რომ ზარალის შემთხვევაში ბანკისთვის მაქსიმალური დანაკარგი შემოსახდურულია კაპიტალის ოდენობით. შესაბამისად, აქტივების შესაძლო დაკარგვისას ბანკის კაპიტალი ზარალს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს (ბაზელის მიხედვით, კაპიტალიზაციის საშუალო დონე 8%-ია).

მთავრობებისა და ცენტრალური ბაზების მხრიდან გატარებული ზომების წყალობით ნაწილობრივ წარმატებით მოხერხდა აღნიშნული კრიზისის შეკავება 2008 წლის სექტემბრამდე. ასევე, საფინანსო ბაზარზე არსებობდა განცდა, რომ არსებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრებას მთავრობა არ დაუშვებდა (საკმარისად დიდი ინსტიტუტები იყვნენ საიმისოდ, რომ მთავრობას მათი გაკოტრება დაეშვა, “too big to fail”). ეს განცდა გაქარწყლდა იმ პერიოდის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის „ლემონ ბრაზერსის“ (Lehman Brother) გაკოტრებით. ამ ფაქტმა ფინანსურ ბაზარზე უზარმაზარი ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. ბაზრის მონაწილეებმა გააცნობიერეს, რომ გაზრდილი იყო ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრების რისკები, რამაც ფინანსურ ინსტიტუტებს შორის უნდობლობა გააჩინა. მკვეთრად შემცირდა ბანკთაშორის ვაჭრობა, ბანკებმა რისკიანი აქტივების ფორსირებული გაყიდვა დაიწყეს (fire selling) და ლევერეჯის უკონტროლოდ შემცირების პროცესი წარიმართა, რაც უძრავი ქონების ფასების კიდევ უფრო მეტად შემცირებას განაპირობებდა. ამ ყოველივეს ფონზე, უპრეცედენტოდ გამკაცრდა ეკონომიკის დაკრედიტების სტანდარტები, რამაც ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შეზღუდა.

მოთხოვნის შემცირების გამო ინფლაცია სწრაფად დაეცა, რამაც ე.წ. „ფიშერის დეფლაციის ეფექტი“ გამოიწვია. ფასების შემცირებამ სესხების დაფარვა კიდევ უფრო გაართულა. ამ ყოველივეს ფონზე, საკრედიტო პორტფელის ხარისხი უფრო და უფრო უარესდებოდა. ფინანსური სიძნელეების გამო, სესხების გლობალურმა დანაკარგმა 4,1 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

გლობალური ფინანსური კრიზისი დრამატულად შეეხო განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს. კერძოდ, გლობალური გარემოს გაუარესების ფონზე მკვეთრად შემცირდა კაპიტალის შედინება აღნიშნულ ქვეყნებში. ასევე, განვითარებული ქვეყნების მხრიდან მოთხოვნის შემცირება უარყოფითად აისახა განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტზე. აღნიშნულმა მკვეთრად გაუარესა მათი მიმდინარე ანგარიში (იხ. დიაგრამა 1) და გაცვლითი კურსის დევალვაციის წინაშე დააყენა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები. ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის მქონე ქვეყნების ეკონომიკა კიდევ უფრო დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ.



წყარო: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი (IIF)

გამოყენებული ლიტერატურა

1. BIS, 2009, *79th Annual Report*, Bank for International Settlements, Basel, June.-----
----- 2011, *81st Annual Report, V. Financial Regulatory Reform: Accomplishments, Pitfalls, Prospects*, Bank for International Settlements Basel, June.
2. ----- 2012, *82nd Annual Report, VI. Post-crisis Evolution of the Banking Sector*, Bank for International Settlements, Basel, June.
3. Blanchard, O., Dell’Ariccia, G., and Mauro, P., 2013, *Rethinking Monetary Policy II: Getting Granular*, IMF Staff Position Note, SDN/13/03, April
4. BIS, 2010, *Guidance for national authorities operating the countercyclical capital buffer*, Basel Committee on Banking Supervision, Basel, December.
5. კაკულია ნ., 2012, ეკონომიკური რყევების თეორიები ეკონომიკური კრიზისის ასპექტით, ეკონომიკა და ბიზნესი, 1, იანვარი-თებერვალი.

ზვიად ზედგინიძე
თსუ დოქტორანტი

გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და შედეგები
ანოტაცია

სტატია მიმოიხილავს გლობალური ფინანსური კრიზისის გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგებს. ასევე აღწერილია გლობალური ფინანსური კრიზისის განვითარების ეტაპები. სისტემური რისკები, რომლის დაგროვებაც ხელი შეუწყო გლობალურმა მაკროეკონომიკურმა დისბალანსმა, ვერ იქნა იმდროინდელი საზედამხედველო პრაქტიკით გამოვლენილი. სწორედ აღნიშნული რისკები გახდა ფინანსური კრიზისის დაწყებისა და გამწვავების მთავრი წყარო.

Zviad Zedgenidze
Doctoral student of TSU

GLOBAL FINANCIAL CRISIS: REASON AND RESULTS
Annotation

The study describes the global financial crisis, the reasons behind it and its consequences to the real economy. The global macroeconomic imbalances alleviate systemic risks in the financial sector of the developed world which were not prevented by the financial supervisory bodies. These systemic risks were the main cause of the financial crisis which was spread to the entire world.

სოციალური დაცვის აქტუალური საკითხები საქართველოში

დაზღვევის ისტორია იმდენად ძველია, რომ შეუძლებელია დადგინდეს მისი წარმოშობის ზუსტი თარიღი. საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე არსებობდა ურთიერთდახმარების ტრადიცია. სტიქიური უბედურებებისა თუ ავადმყოფობის დროს ადამიანები აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს, სახსრებს, შესაძლებლობებს, რათა დახმარებოდნენ დაზარალებულებს, ობლებს, დარბებს, და ავადმყოფებს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოქმედებდა გარკვეული წესები, რომლებიც არეგულირებდნენ სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევას. მართალია პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ ხდებოდა ინდივიდუალური რისკის საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე გადანაწილება.

სოციალური დაცვის/უზრუნველყოფის იდეა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ორგანიზებული და გარკვეულწილად სავალდებულო ხასიათი მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს მიიღო. აშშ-ში სოციალური დაცვა პირველად გვხვდება 1934 წლის რუხველტის მოხსენებაში.⁵³ ერთ-ერთი პირველი სოციალური დაზღვევის სქემა კი დიდ ბრიტანეთში გვხვდება, მაგრამ ეს იყო შემოწირულობების საფუძველზე, არ იყო სავალდებულო და კარგად ორგანიზებული.

ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვის შინაარსს და მისადმი მიდგომებს შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: ისტორია, ტრადიციები, ფასეულობათა სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემის შინაარსი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის.

ზოგადად, სოციალური დაცვის სისტემები არ არის მიმართული ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. იგი გამიზნულია მხოლოდ გარანტირებული მინიმუმის შესაქმნელად. ცხოვრების მაღალი ხარისხი ინდივიდუალური ზრუნვის საგანია, რომლის პირობებსაც სახელმწიფო ქმნის. მაგალითად, საგადასახადო სტიმულებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით და სხვ. სოციალური დაცვის სისტემის დანიშნულება კი ისაა, რომ შექმნას სოციალური რისკების მართვის მექანიზმები და დაიცვას მოსახლეობა სიღარიბისგან.

სოციალური უზრუნველყოფის სიტემა ოთხი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ესენია: 1. სოციალური დაზღვევა; 2. სოციალური დახმარება; 3. სოციალური კეთილდღეობა და 4. საზოგადოების ჯამრთელობის შენარჩუნება.⁵⁴

სოციალური დაზღვევა მიმართულია კომპენსაციის გადანაწილების პრინციპით სოციალური რისკების (შემოსავლების (ხელფასი) დაკარგვა, შრომის უნარის შეზღუდვა (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, სიბერე და სხვა) უარყოფითი შედეგების შერბილებისაკენ. სოციალური დაზღვევა ფინანსდება სადაზღვევო შენატანებით.

სოციალური დახმარება მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების სისტემა, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების ყოფის გაუმჯობესებაზე, რომლებსაც ემუქრებათ სიღარიბეში ყოფნა ან ჩავარდნა ამ ჩარევების გარეშე. სოციალური დახმარების ფულად სარგებელს

⁵³ <http://www.ssa.gov/history/briefhistory3.html>

⁵⁴ http://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/society/social_security_system.pdf

უწოდებენ შემწობას, ხოლო არაფულად სარგებელს დ შეღავათებსა და სოციალურ სერვისს.

სოციალური კეთილდღეობის ქვეშ ცხოვრების ხარისხი მოიაზრება. იგი მჭიდრო კავშირშია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა გარემოს ხარისხი (წყალი, ჰაერი და ა.შ), კრიმინალის დონე, ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბები, მნიშვნელოვანი სოციალური დახმარებების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე რელიგიური და სულიერი ცხოვრების ასპექტები.

საზოგადოების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში კი მოიაზრება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად მიმართული საგანმანათლებლო, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს და პროფესიული ფაქტორების კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს პროგრესს, მაშინ, როდესაც ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, როგორც ადამიანის განვითარების აუცილებელი ასპექტი, გულისხმობს საზოგადოებრივ პროგრესს. მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების დარგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისათვის შესაბამისი უსაფრთხო გარემოს შექმნას, გააზრებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას, სოციალური სტრესების მოხსნას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსახლეობის აღზრდასა და წრთვას პირველადი სამედიცინო ცოდნისა და ჩვევების მისაღებად.⁵⁵

მე-20 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მოსახლეობის სოციალური დაცვა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების სოციალური პოლიტიკის მთავარ ამოცანად იქცა. ეს საკითხი დღესაც აქტიურად დგას დღის წესრიგში როგორც განვითარებად, ისე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებშიც. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გამართული სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის გზების ძიება ეკონომიკური კვლევების ცენტრალურ ნაწილად აქცია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოციალური დაცვის ისეთი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უპასუხებდა დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს.

დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, საქართველოში სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა, რაც განპირობებული იყო რიგი ობიექტური გარემოებებით. კერძოდ: შეიარაღებული კონფლიქტებით და მათი სავალალო შედეგებით; კვალიფიციური სოციალური კადრების არარსებობით, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით, და სხვა.

ეს საკითხი მწვავედ დგას ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რადგან საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველყოფის რეფორმების გატარებას. მათ შორის, ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფის გზების ძიება.

სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი დამოუკიდებელ საქართველოში ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 2003 წლამდე და 2003 წლიდან დღემდე პერიოდი.

2003 წლამდე ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემაში იკვეთებოდა რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

- ა) დემოგრაფიული ცვლილებები (მოსახლეობის დაბერება, სიკვდილიანობის ზრდა)
- ბ) სოციალური ტრანსფერტების არამიზნობრივი განკარგვა;
- გ) საგადასახადო ბაზის სიმცირე, რომელიც გამოწვეული იყო ერთის მხრივ შრომის დაბალი ანაზღაურებით, ხოლო მეორე მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სიმცირით;

⁵⁵ http://www.medportal.ge/masalebi/adamiani_da_janmrteoba.htm

მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება სოციალური დაცვის სისტემაში საქართველოს მთავრობამ 2004 წლიდან დაიწყო. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის დახმარება. სოციალური დახმარება უნდა მიეღო მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც რეალურად საჭიროებდა დახმარებას სახელმწიფოსგან. 2005 წელს საქართველოში დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა.

2006 წლის სექტემბერში, პირველად ამოქმედდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი ვერ შეარბილა.

2007 წელს შემუშავდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის პირველი სახელმწიფო პილოტური პროგრამა, რომელმაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყო.

2008 წელს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცესში ამოქმედდა სადაზღვევო ვაუჩერი. სოციალური მომსახურების სააგენტო მოქალაქეებს გადასცემდა ვაუჩერს სამედიცინო დაზღვევის დასაფინანსებლად.

2009 წელს სადაზღვევო ვაუჩერები გაიცა უმწეო მოსახლეობაზე, დევნილებზე, პედაგოგებზე, სახალხო არტისტებზე, მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებზე და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარებზე. ხოლო 2012 წელს საქართველოს მთავრობის №165 დადგენილებით ბენეფიციარების წრე გაფართოვდა და სადაზღვევო ვაუჩერებით სარგებლობის უფლება მიეცათ: 0-5 წლის (ჩათვლით) ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს, შშმ ბავშვებს და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს.

2011 წლის მარტში მთავრობამ განახორციელა სურსათის ვაუჩერის პროგრამა ყველა ოჯახს გადაეცა 30 ლარის ღირებულების ვაუჩერი. ასევე მოსახლეობას გადაეცა ელექტროენერჯის 20 ლარიანი ვაუჩერი.

ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების პარალელურად არაერთი ერთჯერადი პროგრამა იქნა განხორციელებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სწორეს ამ პროგრამების ერთჯერადი დადებითი ეფექტის გამო, ქვეყანაში სოციალური ფონი დიდად არ გაუმჯობესებულა. 2012 წლისათვის მოსახლეობისთვის კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩებოდა სურსათზე ხელმისაწვდომობა. ამ დროისთვის ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 9.7%-ს შეადგენდა⁵⁶.

2013 წლიდან ქვეყანა სოციალური დაცვის კონსერვატიულ მოდელზე იწევს გადასვლას.⁵⁷ ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესების ახალი

⁵⁶ საქსტატის მონაცემები


⁵⁷ ლიბერალური მოდელის ძირითადი პირობაა სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა საბაზრო ურთიერთობებში და მარეგულირებელი ღონისძიებების მაქსიმალურად შეზღუდვა. ლიბერალური სოციალური მოდელის მქონე ქვეყნებში მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერა ხორციელდება მაღალ დონეზე განვითარებული სადაზღვევო სისტემის საშუალებით, რომელშიც სახელმწიფო თითქმის არ ერევა და მხოლოდ გარკვეული გარანტიების რეგულირებით შემოიფარგლება. ამ ქვეყნებში სადაზღვევო შენატანები, როგორც წესი, დაბალია და ადგილი არა აქვს მნიშვნელოვან ტრანსფერულ დანახარჯებს. სოციალური ამოცანის გადასაწყვეტად მთავრობა დებულებს შესაბამის კანონმდებლობას და შეიმუშავებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს დასაქმების მიზანმიმართულ პოლიტიკას, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიზანმიმართულ დახმარებასა და სუბსიდირებას.

ტალღა იწყება. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით არერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რომელთაგან მინდა გამოვყო შემდეგი ღონისძიებები:

- 2013 წლის 1 სექტემბრიდან 150 ლარამდე, ხოლო 2015 წლის 1 სექტემბრიდან 160 ლარამდე გაიზარდა ასაკობრივი პენსიის ოდენობა; 2016 წლის ივნისიდან კვლავ იგეგმება პენსიის 20 ლარით ზრდა;
- 2013 წლის 1 სექტემბრიდან ასევე 150 ლარამდე გაიზარდა მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა გასაცემლის ოდენობა;
- მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთათვის და შშმ ბავშვთათვის გასაცემლის ოდენობა გაიზარდა 70-დან 100 ლარამდე;
- 2013 წლის სექტემბრიდან მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთა გასაცემლის ოდენობა 55 ლარიდან გაიზარდა 100 ლარამდე;
- 2013 წლის ივლისიდან გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საარსებო შემწეობის ოდენობა და შეადგინა ოჯახის უხუცეს წევრზე 60 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე 48 ლარი.
- 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დეკნისზე ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრა 45 ლარით, ნაცვლად 22 და 28 ლარისა.

ცხრილი 1

საპენსიო და სოციალური პაკეტის რიცხოვნობა 2007-2014 წლებში
საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, ათასი



წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo

- 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც მთელი ქვეყნის მოსახლეობა მოიცვა,

მატერიალური დახმარება გაიცემა მისი საჭიროების მკაცრი შემოწმების საფუძველზე. ლიბერალურ მოდელში შექმნილია მაქსიმალური პირობები სამეწარმეო აქტივობის განვითარებისთვის. ლიბერალური მოდელი გამოიყენება ძირითადად არაევროპულ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და სხვ. მაშინ როცა კონსერვატიული მოდელის მიმდევრები არიან ევროპული განვითარებული სახელმწიფოები გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, შვედეთი, დანია და ნორვეგია. ამ ქვეყნების მთავრობები ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავენ ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დასაფინანსებლად.

გარდა კერძო დაზღვევის მქონე პირებისა. სახელმწიფოს ბიუჯეტდანი გაწეული ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. 2013 წელს პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 70 მლნ ლარი, 2014 წელს პროგრამის ბიუჯეტისათვის 200 მლნ ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა ნომერის ბოლოსათვის ხარჯმა 278 მლნ ლარს გადააჭარბა, 2015 წლის მონაცემებით პროგრამის ბიუჯეტი 470 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო 2016 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ზრდა იგეგმება 285 მლნ ლარით.

ზემოთ ჩამოთვლილი გატარებულ რეფორმების მიუხედავად, საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებას ქონდა რიგი ნაკლოვანებები, მაგალითად: სადაზღვევო ბაზარს გამოეთიშნენ კერძო სადაზღვევო კომპანიები, (აღფა, არქიმედე) რომლებმაც 2011 წელი 22 მლნ, ხოლო 2012 წელი 7,2 მლნ ლარის ზარალით დაასრულეს. ხოლო 2013 წელს მათ შეწყვიტეს სადაზღვევო საქმიანობა. სადაზღვევო კომპანიების მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამიძაბა, რაც მთავრობამ სახელმწიფო პროგრამების ნაწილი გააუქმა და ისინი სადაზღვევო პაკეტში ისე შეიტანა, რომ ინდუსტრიისთვის არაფერი უკითხავს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური იქნება ლიბერალური და კონსერვატიული სოციალური დაცვის მოდელების პოზიტიური მახასიათებლების შერწყმა და მორგება ჩვენი ქვეყნის რეალობასთან. ცხადია, ასეთი მიდგომა სერიოზულ მუშაობას საჭიროებს არა მარტო სახელმწიფოებრივ, არამედ საზოგადოებრივ დონეზეც; ეს განსაკუთრებით ეხება სამეცნიერო კვლევებს, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალური მოდელის დამუშავების თვალსაზრისით. გარდა ამისა, აუცილებელია ღია დისკუსიები, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს, რათა უკეთ გამოვლინდეს მათ ინტერესები და პრიორიტეტები.

მართებულად არ მიმაჩნია განვითარების მოცემულ ეტაპზე ლიბერალური ან კონსერვატიულ მოდელისათვის დამახასიათებელი ყველა პრინციპის უპირობოდ გაზიარება. ვფიქრობ, უფრო მისაღებია „ოქროს შუალედის“ არჩევა ამ ორ მოდელს შორის და საკუთარი, ქართული სოციალური დაცვის მოდელის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წლიური ანგარიში 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015 წლებში.
2. ნანა ჭიპაშვილი, სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ, <https://heconomic.wordpress.com/2013/07/11/social/>
3. თეა კასრაძე, სიღარიბე - გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, ჟურნალი "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე" №5, 2013.
4. დამოუკიდებელი საქართველო და სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები http://issuu.com/georgianpolitics3/docs/report_color_geo_web
5. Поик В.Д. „Основы социального страхования: организация, экономика и право“, Учебник. -М.: Изд-во РАГС. 2007.
6. Frevel B., Dietz B. Sozialpolitik kompakt. VS Verlag für Sozialwissenschaften/ GWV Fachverlage GmbH. Wiesbaden. 2008.
7. Social Protection in the European Union - Luxemburg. http://ec.europa.eu/employment_social/social_protection/missoc_tables_archives_en.htm 2006.

თამილა სირბილაძე

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი*

**სოციალური დაცვის აქტუალური საკითხები საქართველოში
ანოტაცია**

ნაშრომი ეძღვნება სოციალური დაცვის პრობლემატიკას თანამედროვე საქართველოში. სტატიაში განხილულია სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები წლების მიხედვით; გამოყოფილია სოციალური დაცვის სისტემის რეფორმის მიღწევები და პრობლემები; განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ნაშრომში გაშუქებულია ჯერ კიდევ გადაუჭრელი მწვავე სოციალური საკითხები და შემოთავაზებულია მათი შესაძლო დაძლევის გზები.

Tamila Sirbiladze

Doctoral student of CIU

ACTUAL ISSUES OF SOCIAL PROTECTION IN GEORGIA

Annotation

This thesis refers to issues of social protection in Georgia nowadays. This article reviews stages of formation and development of social protection system by years. There are listed achievements and issues of social protection system. The article focuses on the benefits and disadvantages of the State Program for Common Insurance. Article outlines unsolved social issues and proposes ways of their resolution.

Teona Gatsrelia

Iv. Javakhisvili Tbilisi State University,

Master in Economics

**Specifics of The United States Health Care System:
Patient Protection and Affordable Care Act
(ObamaCare)**

Health care spending is a key component of any industrialized country's economy. It provides a major source of employment, often for highly skilled workers and in rural areas without other significant industries. In addition, the development of drugs and medical technologies can lead to breakthrough products, innovation hubs, and new markets. Most important, health spending satisfies fundamental individual and social demands for services that bring improved health, greater productivity, and longer lives.

The Question of how society should pay for the health care system of its citizens is one that countries have answered in a very different ways. Indeed, it is difficult to think of any other large economic sector where the institutional design is as varied as it is in health care - the arrangements whereby countries mix private and public funding of health care, and the methods they use for paying for drugs and the service if the doctors and hospitals, are strikingly different.

One of the major coverage provisions of the 2010 Affordable Care Act (ACA)⁵⁸ is the expansion of Medicaid eligibility to nearly all low-income individuals with incomes at or below 138 percent of poverty (\$27,724 for a family of three¹). This expansion fills in historical gaps in Medicaid eligibility for adults and was envisioned as the vehicle for extending insurance coverage to low-income individuals, with premium tax credits for Marketplace coverage serving as the vehicle for covering people with moderate incomes. While the Medicaid expansion was intended to be national, the June 2012 Supreme Court ruling essentially made it optional for states.

According to the latest number there are forty four million Americans without health care coverage. This is due to the cost or to the availability of health insurance. It was with this in mind that President Obama passed the Affordable Care Act notably known as Obama Care. This is supposed to provide every American with health insurance. While Obama Care is highly controversial it is designed to make the lives of Americans better.

Obama's Health Care Reform, commonly called ObamaCare but officially called the Patient Protection and Affordable Care Act (PPACA) or Affordable Care Act (ACA) for short, was signed into law on March 23, 2010 and will be active till 2022 year. The ACA is meant to “provide affordable, quality health care for all Americans and reduce the growth in health care spending, and for other purposes”. ObamaCare's reform of the health care system under the ACA has been an ongoing effort to reform the national health care system. Although reform has taken great strides under President Barack Obama, efforts to reform healthcare have been in motion for decades.

Below are some reasons ObamaCare health care reform was signed into law.

1. PBS reports that 44 million Americans were without health insurance. Part of this is due to the extraordinary costs of quality health insurance in the US. HealthCare reform ensures these Americans have access to health care.
2. The Medicaid part D prescription drug “donut hole” coverage gap was leaving seniors unable to afford their medication or paying out of pocket. The ACA closes the donut hole.

⁵⁸ <https://www.irs.gov/Affordable-Care-Act>

3. Government funding for private Medicare Advantage plans is costing the taxpayer money, it was supposed to save the taxpayer money when going on the private market. Obama's Health Care Reform reigns in the wasteful spending.

4. Insurance companies could deny you for pre-existing conditions or drop you when you get sick. In 2014 you can no longer be denied coverage or treatment based on health status.

